საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
3 სექტემბერი **სამშაბათი** 2013
№ 207 (14 123) ფასი 80 თეთრი

# მე ამას არ დავუშვებ!

## ...ადრე ნაკრებში 16-17 წლის ბიჭებს იმისთვის ათამაშებდნენ, რომ გაეყიდათ




2-3

თემურ ქეცბაია
თამუნა ყულუმბეგაშვილი ფოტო

# გურული ფირალები და გაძარცვული ჩემპიონი

2



გუშინ ქობულეთში. გურია-დინამო (თბ) 2:1
ფოტო: www.fcdinamo.ge

# ბოლო დღის ტრანსფერები




**წუხელ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდი ამოიწურა. რადგან აგვისტოს ბოლო დღეები შაბათ-კვირა იყო, „ფანჯარა“ კიდევ ორი დღით დარჩა ღიად. როგორც ხდება ხოლმე, „დედლაინზე“ რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი განხორციელდა.**

**არსენ ვენგერი** „არსენალის“ გულშემატკივრებს ბოლოსკენ ხმაურიან ტრანსფერ(ებ)ს ჰპირდებოდა. „მეთოფეთა“ ფანებს უკვე იმედი გადაწურული ჰქონდათ, როცა მათმა საყვარელმა კლუბმა სატრანსფერო რეკორდი დაამყარა - ინგლისური პრესის მტკიცებით, 42,5 მილიონ ფუნტად მადრიდის „რეალიდან“ გერმანელი **მესუთ იოზილი** შეიძინა. 24 წლის ნახევარმცველის ტრანსფერი გვიან ღამით „არსენალის“ ვებგვერდმაც დაადასტურა.

აქამდე, „არსენალს“ ფეხბურთელში ამხელა თანხა არასოდეს გადაუხდია. გუშინვე, იოზილმა სამედიცინო შემოწმება მიუნხენში (სადაც ეროვნული გუნდის შეკრებაზეა) გაიარა. როგორც ჩანს, **გარეთ ბეილის** სარეკორდო ტრანსფერის შემდეგ „რეალში“ იოზილისა და **კაკას** („მილანში“ დაბრუნდა) ადგილი აღარ დარჩა.

„დეილი მეილის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, გერმანელმა 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იოზილი კვირაში 140 ათას ფუნტს მიიღებს.

ამას გარდა, ვენგერმა „პალერმოდან“ იტალიელი გოლკიპერი **ემილიანო ვივიანო** იჯარით აიყვანა.

ბოლო დღეს აქტიური იყო „ლივერპული“, რომელმაც 3 ფეხბურთელი დაიმატა, მათ შორის, მთავარი შენაძენი **მამადუ სახოა** „პარი სენ-ჟერმენიდან“ - 23 წლის მცველში „მერსისაიდელებმა“ 18 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. „ლივერპულის“ ამ და სხვა ტრანსფერების შესახებ შიდა გვერდებში წაიკითხავთ.

მოკლედ გაგაცნობთ „დედლაინზე“ განხორციელებულ რამდენიმე საინტერესო ტრანსფერს: **მორგან ამალფიტანო** (28 წლის) „მარსელიდან“ „ვესტ ბრომვიჩში“ იჯარით გადავიდა; პრემიერლიგის გზას დაადგა **მარკო არნაუტოვიჩიც** (24), რომელიც „ვერდერიდან“ „სტოკ სიტიში“ აღმოჩნდა; **სტივენ აირლენდი** (27) „ასტონ ვილამ“ იმავე „სტოკ სიტის“ ათხოვა.

24 წლის ჩეხი ფორვარდი **ლიბორ კოზაკი** 7 მილიონ ფუნტად „ლაციოდან“ „ას-




ტონ ვილაში“ გადაბარგდა. 32 წლის **პეტერ ოდემვინგი** „ვესტ ბრომვიჩიდან“ უელსურ „კარდიფ სიტიში“ 2,2 მილიონ ფუნტად გადავიდა.

„ჩელსიმ“ 20 წლის ფორვარდი **რომელუ ლუკაკუ**, რომელმაც „ბაიერნთან“ სუპერთასის მატჩში გადამწყვეტი პენალტი გააფუჭა, ერთწლიანი არენდით „ევერტონს“ დაუთმო.

„სანდერლენდმა“ კი ბოლო მომენტში ორი იტალიელის ტრანსფერი სრულჰყო - „ლივერპულიდან“ იჯარით აიყვანა ფორვარდი **ფაბიო ბორინი** (22), ხოლო „ნაპოლიდან“ - ნახევარმცველი **ანდრეა დოსენა** (31), რომელსაც ასევე აქვს პრემიერლიგაში თამაშის გამოცდილება: 2008 წლის ივლისიდან „ლივერპულში“ წელიწადნახევარი გაატარა და 31 მატჩი ჩაატარა.

„ხეტაფემ“ **ალვარო ვასკესი** (22) „სუონსის“ ათხოვა. ის უელსელთა შეტევის ხაზში **ვილფრიდ ბონისა** და **მიგელ მიჩუს** შეუამხანაგდება. „ჰალ სიტიმ“ 5 მილიონ ფუნტად იყიდა **შეინ ლონგი** „ვესტ ბრომვიჩიდან“.

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა **ჟოზუა გილავოგიმ** თბილისში ჩამოსვლამდე კლუბი შეიცვალა - „სენტ ეტიენიდან“ „ატლეტიკოს“ მიაშურა. 22 წლის საყრდენი მადრიდელებს დაახლოებით 10 მილიონი ევრო დაუჯდათ.

„დეილი მეილის“ მტკიცებით, „მანჩესტერმა“ 27,5 მილიონ ფუნტად შეიძინა 25 წლის ბელგიელი შემტევი **მარუან ფელაინი,** რომელმაც „იუნაიტედში“ გაშვების მოთხოვნით „ევერტონის“ ბაზაზე დებოში მოაწყო. გაზეთის დაბეჭდვამდე, „მანჩესტერის“ ოფიციალურ ვებგვერდს ფელაინის ტრანსფერი დადასტურებული არ ჰქონდა. ამას გარდა, იგივე „მანჩესტერი“ ბოლო მომენტამდე იმედოვნებდა „რეალიდან“ მარცხენა მცველ **ფაბიო კოენტრაოს** (25) იჯარით აყვანასაც.

ასევე ბოლო მომენტამდე გაურკვეველი იყო ესპანელი **ხუან მატას** (25) შესაძლო ტრანსფერი „ჩელსიდან“ „პარი სენ-ჟერმენში“, რის თაობაზეც მოლაპარაკებები გვიან ღამემდე მიმდინარეობდა...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



საქართველოს ნაკრები. მთავარი მწვრთნელის პრესკონფერენცია

# თემურ ქეცბაია:

# ყენია ჩემს მოთხოვნებს ვერც პიროვნულად აკმაყოფილებს და ვერც ფეხბურთელის რანგში

## როგორ თქვა? ცივი წყალი დალიოსო? ნაკრებისთვის ცხელ წყალსაც დავლევ, მაგრამ...

6 და 10 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საფრანგეთსა და ფინეთს უმასპინძლებს. ჩვენმა გუნდმა შეკრება უკვე დაიწყო. გუშინ თემურ ქეცბაია მედიას შეხვდა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სანაკრებოს თემების გარდა, ქართული ფეხბურთის პრობლემებზეც ილაპარაკა:

- ორი ძნელი თამაშისთვის ვემზადებით. კარგია, რომ ძლიერ ნაკრებებს ვეთამაშებით. თავიდანვე გეტყვით, რომ წინასწარ სიაში ცვლილებებია: დავით კვირკველიას გიორგი ფოფხაძე ჩაანაცვლებს, გიორგი ილურიძეს - გრიგოლ დოლიძე, ხოლო ლევან მჭედლიძეს - ირაკლი მოდებაძე. იმედია, გულშემატკივარი ორივე თამაშზე მოვა, რადგან ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს მატჩები, სატურნირო თვალსაზრისით კი ფინეთთან შეხვედრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. დიდი ხნის შემდეგ, ჩვენ გვაქვს შანსი, ჯგუფში მე-3 ადგილი დავიკავოთ, რაც ქართული ფეხბურთისთვის უდავოდ პოზიტიური მოვლენა იქნება.

**- ამ ბოლო ხანს თარგამაძესა და ოქრიაშვილს „ილიჩივეცში" 15-20 წუთი თუ ათამაშებენ. ამაზე რას იტყვით?**

- ასე ბევრი ფეხბურთელია. მაგალითად, კობახიძეს საერთოდ არ ათამაშებენ, მაგრამ ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესოა.

**- ვიცით, რომ ევროთასებზე ქართული კლუბების გამოსვლას თვალს ადევნებდით. თქვენი აზრით, ჯგუფურ ეტაპზე გასვლა შეუძლებელი იყო ჩვენი ფინანსების, მომზადების ხარისხისა და გუნდების შემადგენლობების გათვალისწინებით?**

- გუნდებს მოსამზადებლად თვეთვენახევარი ჰქონდათ, მათი ფინანსური მდგომარეობა კი ყველამ ვიცით. შეიძლება, გუნდი მწირი ბიუჯეტით ისე დააკომპლექტო, რომ ბევრად დიდი შეძლების კლუბები გამოაგდო, მაგრამ მგონია, რომ ჩვენმა გუნდებმა მაქსიმუმი გააკეთეს. პლეი-ოფში 12 გოლი გაუშვეს, თავად კი ერთიც ვერ გაიტანეს. ეს სამწუხარო რეალობაა და ხალხს სიმართლე უნდა ვუთხრათ და არა - ზღაპრებით ვკვებოთ. ოთხი წელია ვამბობ,



საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. IV ტური

# მახარაძის ფირალებმა ისევ ჩემპიონი გაძარცვეს

02.09. ქობულეთი. ჩელე არენა. 1000 მაყურებელი

გურია 2
დინამო (თბ) 1

1:0 ისიანი (45. კუკულაძის პასით), 2:0 შენგელია (75), 2:1 მერებაშვილი (85)

| გურია 4-2-3-1 | დინამო 4-1-3-2 |
|---|---|
| ბობლიაშვილი | ზარქუა |
| ჩუენსუ | ხურციძე |
| იობაშვილი | კვარაცხელია |
| ჩიკვილაძე | გველესიანი |
| ჯიშკარიანი | გლიშიჩი |
| ე. კილაძე | ხმალაძე |
| ჯოჯუა | სეთურიძე |
| კუკულაძე | გოგა |
| კოშკაძე | მერებაშვილი |
| შალამბერიძე | ხოჭოლავა |
| ისიანი | ვუო |
| მწვრთნელი დ. მახარაძე | მწვრთნელი დ. უჰრინი |

**გურია**

52. კუკულაძე - **შენგელია**
67. კილაძე - **დარჩიძე**
84. ჯოჯუა - **ქეიშვილი**

*სათადარიგოები:* გოგუაძე, ჩაგელიშვილი, ტორონჯაძე, გაჩეჩილაძე

**დინამო**

58. ვუო - **ლექვთაძე**
75. გოგა - **მიქაბერიძე**
83. ხოჭოლავა - **შინდაგორიძე**

*სათადარიგოები:* მიგინეიშვილი, შაშიაშვილი

გაფრთხილება: კუკულაძე (22), ისიანი (45), გველესიანი (44), შალამბერიძე (47), ვუო (50), ლექვთაძე (60), კოშკაძე (76), მერებაშვილი (90+4), ჩუენსუ (90+4)

არბიტრი: ა. ბასლეჰლო



დუშან უჰრინი (მარცხნივ) და დავით მახარაძე ფოტო: www.fcdinamo.ge

მართალია, „დინამომ" ამ მატჩისთვის ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე მოისაკლისა, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ელიტლიგაში დაბრუნებული გურულების გამარჯვებას. მით უმეტეს, იმ ფონზე, რაც სეზონის წინ „გურიაში" ხდებოდა...

მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ქობულეთში გაიმართა, წომინალურ მასპინძელს ქომაგობა არ დაჰკლებია - ლანჩხუთიდან ჩასული 500-მდე ქომაგის გარდა, „გურიას" ადგილობრივებიც გულშემატკივრობდნენ. მატჩი თბილისელთა შეტევებით დაიწყო. უკვე საწყის წუთებში „დინამოს" რამდენიმე შანსი მიეცა, თუნდაც ის ეპიზოდი, როცა **სეთურიძის** კარგი გარღვევა ვერ დააგვირგვინა ჩინებულ სიტუაციაში მყოფმა **ხოჭოლავამ**. ხოლო ცოტა ხანში, **მერებაშვილის** მახვილგონივრული პასის შემდეგ, **პატრიკ ვოუს** გატანის შანსი იუბილარ **მინდია ბობლიაშვილის** ჩინებულმა რეაქციამ მოუსპო. მოგვიანებით, ვუომ მერებაშვილის კიდევ ერთი პასი ვერ გამოიყენა.

მე-20 წუთზე პირველი ხიფათი „გურიამაც" შექმნა - კუთხურიდან მოწოდებული ბურთი „დინამოს" მეკარე **თორნიკე ზარქუამ** რის ვაი-ვაგლახით მოიგერია. მალევე, ბურთისთვის მებრძოლ **ვილი ისიანს** მცველმა ხელი ჰკრა და გურულებმა მეორედ მოითხოვეს თერთმეტმეტრიანი, თუმცა **აბდულა ბასლეჰლომ** ყური არ უგდო. საერთოდ, „გურია" კიდევ ორჯერ ითხოვდა პენალტს და ორივეჯერ - ხელით თამაშისთვის. მეორე შემთხვევას მოედანზეც და ტრიბუნაზეც, მცირე შეხლა-შემოხლა გაიმართა. ქომაგებს შორის კინკლაობის გამო მატჩი რამდენიმე წუთით შეწყდა, ხოლო ლაინსმენის შეურაცხყოფისთვის „გურიას" ერთ-ერთ წარმომადგენელს შეიძლება დისკვალიფიკაცია არ ასცდეს...

ტაიმის ბოლომდე „დინამოს" კიდევ ერთხელ მიეცა შანსი, მაგრამ მერებაშვილმა ბობლიაშვილს ვერ აჯობა. სამაგიეროდ, გოლი მასპინძლებმა „მოამწიფეს": ჯერ, საჯარიმოში დანიშნულ თავისუფალ დარტყმას **ალეკო კოშკაძე** აგვირგვინებდა (უძლიერესი დარტყმა კარს ასცდა), ხოლო შემდეგ, მანვე, ახლოდან ვერ გამოიყენა კარგი მომენტი, **ჩიკვილაძის** სახიფათო დარტყმული კი იდეალურ პოზიციაში მყოფ **ჯიშკარიანს** რიკოშეტით მიუვიდა, მაგრამ ამ ეპიზოდშიც მეკარემ იყოჩაღა. რაც შეეხება გოლს, ლანჩხუთელებმა, როგორც იტყვიან, ის მეტოქეს „გასახდელში დააწიეს" - ტაიმის ბოლო წუთზე **კუკულაძის** ჩაწოდებული ისიანმა გოლად აქცია - 1:0.

მეორე ტაიმი მომენტებით დატვირთული აღარ ყოფილა. ამაში „დამნაშავე" **დავით მახარაძის** გუნდი იყო - „დინამო", ფაქტობრივად, ხეირიან ხიფათს ვერ ქმნიდა. როცა **დუშან უჰრინის** კრებული შეტევის გადამწყვეტ ფაზაზე უნდა გადასულიყო, გოლი ჩემპიონის კარში გავიდა - მარცხენა ფლანგზე ჯიშკარიანმა გაილაღა, პასიც ჩინებული გაუკეთა ისიანს, რომელმაც მეკარეს ბურთი გადაუგდო, მაგრამ „დუბლი" ჩაუშალა მცველმა, რომელმაც ცარიელი კარი დაიკავა.

თუმცა „დინამო" მაინც ვერ გადარჩა - შეცვლაზე შესულმა და საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილმა **ალეკო შენგელიამ** მწვრთნელს იმედები გაუმართლა და დამატებაზე აულებელი „გაისროლა" - 2:0.

ბოლოსკენ, მატჩს ინტრიგა მერებაშვილმა დაუბრუნა, როცა ჩინებული დარტყმით ბობლიაშვილს ბურთზე თვალი გააყოლებინა. დინამოელებმა მეტი ველარ შეძლეს. საბოლოოდ, 2:1 და გამოდის, რომ „გურია" წელს მოქმედი ჩემპიონების რისხვად იქცა - ხუთიოდ თვის წინ ხომ ლანჩხუთელებმა „ზესტაფონი" გამოთიშეს სათასო მარათონს...

**მატჩის შემდეგ**

**დუშან უჰრინი (დინამოს მთავარი მწვრთნელი):** - უპირველესად, მივულოცავ მეტოქეს გამარჯვებას. თავიდან მატჩი ჩვენი უპირატესობით წარიმართა და მინიმუმ ოთხი კარგი შანსი გვქონდა, ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ. მეტოქემ გატანა დაგვასწრო და როცა ჩვენ გათანაბრებაზე ვფიქრობდით, მეორე გოლიც მივიღეთ, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

**- ბატონო დუშან, რატომ არ გყავდათ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წევრი? ან რას მივაწეროთ, რომ განაცხადში 2 ფეხბურთელით ნაკლები შეიყვანეთ?**

- რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებულია, იგივე უსტარიცი, ჩისკო... ხოლო დანარჩენები, ვინც დღეს განაცხადში ვერ მოხვდნენ, გადაყვანილები არიან მეორე გუნდში.

**- მათ შორის ჯაბა დვალიც?**

- დიახ, დვალიც.

**- მიზეზი რა არის?**

- ეს ჩვენი შიდა სამზარეულოა. მაპატიეთ, მაგრამ ვერ დაგიკონკრეტებთ.

**დავით მახარაძე (გურიის მთავარი მწვრთნელი):** - ჩემმა კოლეგამაც აღნიშნა, რომ დასაწყისში უპირატესობა „დინამოს" მხარეს იყო, ორჯერ აშკარად გადავრჩით. თუმცა შემდეგ მოვუმატეთ და შედეგიც მივიღეთ. „დინამო" შესუსტებული შემადგენლობით იყო, თან -ნამგზავრი, რამაც გავლენა მოახდინა გუნდზე, ვფიქრობ, მეტოქე ფსიქოლოგიურადაც რთულ მდგომარეობაში იყო. ვერ ვიტყვი, რომ ამ შეხვედრის მოგებას ველოდით, თუმცა ბიჭებთან ნასაუბრები მქონდა, რომ მხოლოდ ღირსეული თამაში არ იყო საკმარისი და მთავარი უნდა ყოფილიყო ქულების აღება. დღეს ეს მოვახერხეთ და მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს ფეხბურთელებს თავდადებული გარჯისთვის.

**მათე გურული**
ქობულეთიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩიხურა | 4 | 3 | 0 | 1 | 8 | 4 | 9 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 6 | 2 | 7 |
| 3 | დილა | 3 | 2 | 1 | 0 | 6 | 2 | 7 |
| 4 | ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 5 | 3 | 7 |
| 5 | სიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6 | 4 | 6 |
| 6 | მერანი | 4 | 2 | 0 | 2 | 4 | 5 | 6 |
| 7 | გურია | 4 | 2 | 0 | 2 | 3 | 6 | 6 |
| 8 | მეტალურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 4 | 6 | 5 |
| 9 | დინამო (თბ) | 3 | 1 | 1 | 1 | 4 | 4 | 4 |
| 10 | ზუგდიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3 | 6 | 4 |
| 11 | ზესტაფონი | 4 | 0 | 1 | 3 | 3 | 6 | 1 |
| 12 | სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1 | 5 | 0 |

*ცხრილი მომზადებულია gff.ge-ს მიხედვით*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გ. დოლიძე (დილა) | 3 |
| დ. ტატანაშვილი (ჩიხურა) | 3 |
| თ. კაპანაძე (ტორპედო) | 2 |
| ნ. საბანაძე (ტორპედო) | 2 |
| დ. კირკიტაძე (მეტალურგი) | 2 |
| ი. მოდებაძე (დილა) | 2 |
| ე. ლოზჯანიძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| გ. კორიფაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| ლ. თოთაძე (სიონი) | 2 |
| ლ. ახალაია (სიონი) | 2 |
| გ. დათუნაიშვილი (ჩიხურა) | 2 |

**V ტური**
**13 სექტემბერი. პარასკევი**

დინამო-ზუგდიდი
მერანი-ჩიხურა
სიონი-ვიტ ჯორჯია
ტორპედო-გურია
მეტალურგი-სპარტაკი
ზესტაფონი-დილა





> თქვენ გგონიათ, დაცვითი ფეხბურთი მიყვარს? თავდამსხმელი ვიყავი და შეტევას არაფერი მირჩევნია...

ჩვენი ფეხბურთის დონე დაბალია და საქმეს მივხედოთ-მეთქი, მაგრამ სამწუხაროდ, არაფერი ხდება. არადა, ფეხბურთის განვითარება სახელმწიფოს ინტერესში უნდა იყოს. „დილას" თამაშზე სტადიონი შეივსო, გარეთ კიდევ 20 ათასი იდგა. დღეს საქართველოში კიდევ რომელ ძალას შეუძლია ერთ დაძახებაზე 30 ათასი კაცის შეკრება? ამიტომ არის ჩვენი ფეხბურთი იმის ღირსი, რომ ყურადღება მიაქციონ.

**- ხელისუფლებასთან ამის თაობაზე არ გილაპარაკიათ?**

- ჩემი აზრი არავის აინტერესებს და ვის ველაპარაკო?! ვთქვი, რომ ასაკობრივი შეზღუდვა აუცილებელია, რათა 16-17 წლის ბავშვების გადინება მაინც შევაჩეროთ, მაგრამ არველაძეების მაგალითი მოიყვანეს, თავიდანვე ევროპაში რომ არ წასულიყვნენ, ვერაფერს მიაღწევდნენო. არველაძეებმა საქართველოს ჩემპიონატში ითამაშეს, ასე გაიზარდნენ და უცხოეთშიც ამის შემდეგ წაიყვანეს. ახლა ევროპაში ქართველებს აღარ იწვევენ, რამდენიმეა ჰოლანდიაში, ევროპულ ლიგებსა და რუსეთ-უკრაინაში. არადა, ბევრმა საქართველო ჩვენი ფეხბურთით გაიცნო და იმის ღირსი მაინც არ არის, რომ სახელმწიფო დაეხმაროს?!

**- რატომღაც, ჩვენთან დამკვიდრებული აზრია, რომ ფეხბურთს მხოლოდ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში აფინანსებენ. არადა, კვიპროსში, სადაც კომუნიზმი არასოდეს ყოფილა, ფეხბურთი სწორედ სახელმწიფოს ფულით განავითარეს...**

- დიახ, ასე იყო. კლუბებს დაფინანსება მხოლოდ ევროკავშირში შესვლის შემდეგ შეუმცირეს. მაგრამ მთლიანად ზურგი არ შეუქცევიათ. ყაზახეთში სახელმწიფო კლუბებს 3 მილიონ დოლარს ურიცხავს, სულ კი ფეხბურთის განვითარებაზე მილიარდ დოლარს ხარჯავს. ცხადია, ამხელა ფული ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ რაღაც მაინც ხომ უნდა გავაკეთოთ? ადრე ბიზნესმენები ფეხბურთში ფულს ხელისუფლების შიშით არ აბანდებდნენო, მაგრამ ახლა წნეხი მოიხსნა და ვინც იყო, ისინიც გაქცევაზე არიან. არადა, ტალანტებს ხელი ხომ უნდა შევუწყოთ?! კიდევ კარგი, მოედნები მაინც გაკეთდა, მაგრამ გაცილებით მეტია საჭირო.

**- ფრანგებს 2006 წელსაც ვუმასპინძლეთ და პირწმინდად დავმარცხდით. შეადარეთ მაშინდელი და ახლანდელი საფრანგეთი.**

- ახლა არანაკლები გუნდი ჰყავთ. მაგრამ ვეცდებით, გულშემატკივრებს იმედი თამაშის პირველივე წუთიდან არ მოვუკლათ. მანამდე გვსურდა, რომ ამხანაგური შეხვედრა აქ ჩაგვეტარებინა, მაგრამ არავინ ჩამოდის და ძალით ვერ დავითანხმებთ... სულ იმაზეა ლაპარაკი - ნაკრები შემტევ ფეხბურთს არ თამაშობსო. ყაზახებთან 5 შემტევი სტილის ფეხბურთელი ვათამაშე, ბოლოს მოედანზე 3 თავდამსხმელი გვყავდა და მაინც წავაგეთ. თქვენ გგონიათ, დაცვითი ფეხბურთი მიყვარს? თავდამსხმელი ვიყავი და შეტევას არაფერი მირჩევნია. მაგრამ ისიც მახსოვს, ვითომ კარგად რომ ვთამაშობდით და ვაგებდით. ჩვენი წარსულიც გავაანალიზე, დღევანდელ რეალობასაც გადავხედე და მივხვდი, რომ სხვა არჩევანი არ გვქონდა.

**- საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ნაკრების კანდიდატებს აკვირდებით?**

- ვაკვირდები ყველგან, სადაც ამის საშუალება მაქვს. ხშირად დავყვები ახალგაზრდულ და ასაკობრივ ნაკრებებს. ვცდილობ, ახალგაზრდებს შანსი მივცე და ბევრიც გავსინჯეთ. სამწუხაროდ, თავი ყველამ ვერ გამოავლინა, რადგან საქართველოს ჩემპიონატში სასურველი დონე არ არის - ამას გულისტკივილით ვამბობ. ევროპა ლიგის პლეი-ოფიდან გრანდებს არ გამოვუგდივართ და აბა დავფიქრდეთ, ნამდვილი გრანდები რამდენით არიან ჩვენზე წინ.

**- თქვენსა და ყენიას შორის არსებული კონფლიქტი იმას ნიშნავს, რომ მას ნაკრებში აღარ გამოიძახებთ?**

- მე მასთან კონფლიქტი არ მაქვს. ნაკრები ჩემი კი არა, იმ ხალხისაა,

> ოთხი წელია ვამბობ, ჩვენი ფეხბურთის დონე დაბალია და საქმეს მივხედოთ-მეთქი, მაგრამ...

ვინც ჯიბიდან ბოლო თეთრს იღებს და ბილეთს ყიდულობს. როგორ თქვა, ცივი წყალი დალიოსო? ნაკრებისთვის ცხელ წყალსაც დავლევ, მაგრამ ამ სიტყვებზე პასუხი თქვენც უნდა მოსთხოვოთ! გეკითხებით, რედაქტორი სამსახურში თქვენს იმედად რომ არის და უმიზეზოდ არ მიხვალთ, არ გაგათავისუფლებენ? ადრე ნაკრებში 16-17 წლის ბიჭებს იმისთვის ათამაშებდნენ, რომ შემდეგ გაეყიდათ - ამას მე არ დავუშვებ! მოთამაშეებს მხოლოდ იმ დროს კი არ მოვიწვევ, როცა რომელიმე კლუბი აკვირდება, ნაკრებში იქნებიან ისინი, რომელთაც ფეხბურთი უყვართ და ჩვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

**- ყენია თქვენს მოთხოვნებს პიროვნულად ვერ აკმაყოფილებს?**

- ...სხვათა შორის, როგორც ფეხბურთელიც! ოღონდ, ვინმემ რამე გააკეთოს, თვალებს დავხუჭავ და ცივს კი არა, ცხელ წყალსაც დავლევ, მაგრამ...

**მერაბ მამულაშვილი**

**თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები**



ჯანო ანანიძეს (მარცხნივ), გია გრიგალავას და გიორგი ფოფხაძეს თემურ ქეცბაია აკვირდება

## I ლიგა. I ტური

### A ზონა

**საპოვნელა–იმერეთი 3:0**

30.08. თერჯოლა. 500 მაყურებელი

1:0 ლ. შავგულიძე (45, პენალტით), 2:0 ლ. შავგულიძე (66), 3:0 ლ. შავგულიძე (75)

საპოვნელა: ა. გიორგაძე, დ. ჩხიკვაძე, დ. ბაქრაძე, ზ. ენდელაძე, ლ. შავგულიძე (82. დ. ხუჯაძე), ა. ბუცხრიკიძე, დ. შუღლაძე (82. ვ. ცხადაძე), იაგო დეისაძე, შ. ცქიფურიშვილი, ვ. ჭრელაშვილი, თ. დარსაველიძე (67. ზ. აბულაძე).

სათადარიგოები: დ. არეშიძე, კ. კუბლაშვილი, ნ. სირაძე, ვ. კახეთელიძე

მწვრთნელი: მ. გენაძე

იმერეთი: ს. მეძველია, გ. ხელაძე (38. ვ. ბრეგაძე), ლ. გაჩეჩილაძე, ა. ტყეშელაშვილი, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი, გ. ხვიჩია, ზ. სადილიანი (46. ნ. ჩიხლაძე), ბ. ჩხეტიანი (59. მ. აშვეთია), დ. სულაბერიძე, გ. მანაგაძე.

სათადარიგოები: გ. ბურძენაძე, დ. ხაბურძანია, თ. ბაბუნაშვილი, ჯ. კილაძე

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: თ. დარსაველიძე; ზ. სადილიანი, ვ. ბრეგაძე, ა. ტყეშელაშვილი, გ. ხვიჩია

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**ალგეთი–სქური 1:0**

30.08. თბილისი. 200 მაყურებელი

1:0 ა. ონუაკალუსი (25)

ალგეთი: მ. ძიძიგური, რ. კიკალიშვილი, გ. ჭოველიძე, გ. პატარქალიშვილი. ე. ანიგბო, თ. მოსიაშვილი, ი. ჯოჯიშვილი, გ. ჩიქოვანი, ზ. ტიელიძე, ა. ონუაკალუსი, ბ. ფოჩხუა (46. მ. მახათაძე, 89. ი. ალასანია).

სათადარიგოები: ბ. ლაბუჩიძე, დ. როხვაძე, ლ. ეზიეშვილი, რ. კორღალიძე, ჯ. სულაქველიძე

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

სქური: ნ. ჯოლოგუა, დ. რაფავა, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, ა. კალანდია, თ. ფურთუხია, ზ. ქვარცხავა, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, გ. კვირკვია (68. კ. სოსელია), ბ. ხოჯანაშვილი (80. ზ. ლარიბაშვილი).

სათადარიგოები: დ. შონია, გ. ჭკუასელი, ი. ქარდავა, ბ. სვანიძე, ტ. ხარჩილავა

მწვრთნელი: გ. ციკოლია

გაფრთხილება: მ. მახათაძე, ა. ონუაკალუსი; ზ. ქვარცხავა, ლ. ბოჯგუა, ნ. ჯოლოგუა

არბიტრი: გ. ვარდიძე

**მეშახტე–კახეთი 2:0**

30.08. ტყიბული. 300 მაყურებელი

1:0 თ. სანიკიძე (35), 2:0 თ. გოგიჩაძე (74)

მეშახტე: დ. მემარნიშვილი, ნ. ხარაბაძე (90. ა. ქაშაკაშვილი), თ. გოგიჩაძე (75. გ. გვენეტაძე), ლ. ჯანგიძე, ი. ჭანკვეტაძე, ი. კილაძე, თ. სანიკიძე, ბ. კოლუაშვილი (86. დ. სოფრომაძე), მ. ულენტი, ო. გიორგობიანი, ბ. ჯიშიაშვილი.

სათადარიგო: ა. სახელაშვილი

მწვრთნელი: დ. რუხაძე

კახეთი: გ. აბულაშვილი, გ. ლომიძე, გ. მურველაშვილი. კ. ბაგალიშვილი, ლ. მაჭარაშვილი, ვ. მურადაშვილი, ამირან ნატროშვილი, გ. ჩიტალაძე, ჯ. ცისკარაული, ზ. პოპიაშვილი (46. ალექსანდრე ნატროშვილი), ი. ხუციშვილი.

სათადარიგო: ხ. დავითაშვილი

მწვრთნელი: რ. თორლაშვილი

გაფრთხილება: გ. მურველაშვილი

არბიტრი: თ. ხუჭუა

**ჩხერიმელა–ადელი 3:1**

30.08. ხარაგაული. 500 მაყურებელი

1:0 ლ კოსტავა (9), 2:0 ბ. შარვაძე (16), 3:0 დ. კოსტავა (30)

ჩხერიმელა: მ. ლომსაძე, ი. გვეტაძე, თ. ლურსმანაშვილი (80. გ. ჯიმშელეიშვილი), გ. მეტრეველი, ლ. მჭედლიშვილი, ვ. აფციაური, დ. კოსტავა, ი. ჩუბინიძე, გიორგი კიკნაძე (58. თ. კიკნაძე), ზ. ქურდობაძე, ბ. შარვაძე (65. გ. ზაქარაშვილი).

სათადარიგოები: გ. ნიქაბაძე, ბ. ოკრიბელაშვილი, კ. ოკონკვო

მწვრთნელი: ე. ჯიმშელეიშვილი

ადელი: გ. თურმანიძე, გ. ბერაძე, ლ. ჯინჭარაძე (86. ვ. ტყებუჩავა), გ. ცაბუტაშვილი, კ. ჩადუნელი, პ. ტურე, ვ. ლერუ (24. ნ. ხორნაული), ლ. ცხადაძე, გ. ოქრუაშვილი, გ. ტყეშელაშვილი (55. თ. ყურფანაშვილი), დ. ლოლობერიძე.

მწვრთნელი: რ. ძოძუაშვილი

გაფრთხილება: პ. ტურიე

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

**დინამო 2–გაგრა 1:1**

31.08. თბილისი. 100 მაყურებელი

1:0 ბ. რუხაძე (22), 1:1 გ. ფალავანდიშვილი (86)

დინამო 2: ლ. ტყეშელაშვილი, ლ. შერგელაშვილი, ბ. მახარობლიძე, ბ. მელიქიძე, ო. კაკაბაძე, ნ. დიასამიძე (46. თ. კიტოვანი), შ. გვაზავა (46. გ. მურცხვალაძე), ბ. რუხაძე, ზ. თევზაძე, ს. ლობჟანიძე, ბ. ზივზივაძე (81. გ. ოთარიშვილი).

სათადარიგოები: ა. სარიშვილი, ვ. მათიაშვილი, თ. მაკასარაშვილი, ტ. ხაინდრავა

მწვრთნელი: რ. მუმლაძე

გაგრა: გ. ბეგაშვილი, ც. ხარაბაძე, კ. ზარნაძე, ლ. კალანდაძე (60. ვ. ჭაბუკიანი), გ. ფალავანდიშვილი, ნ. ჭკუასელი, გ. ჯულელი, თ. ყიშკარიანი, ბ. ქარდავა (32. რ. წანკურიალაშვილი), ჯ. ჯერემია, ი. ფიფია (46. გ. გადრანი).

სათადარიგოები: ა. მუსელიანი, გ. დობორჯგინიძე, რ. კაკუბავა, თ. ფარცელიძე

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

გაფრთხილება: ბ. მელიქიძე, გ. მურცხვალაძე, თ. კიტოვანი

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

**კოლხეთი–მერცხალი 3:0**

30.08. ფოთი. 300 მაყურებელი

1:0 დ. სიჭინავა (10), 2:0 დ. სიჭინავა (11), 3:0 ზ. ქანთარია (39)

კოლხეთი: ლ. ძაგანია, გ. კილასონია, პ. ცხვიტარია, გ. ჩადუნელი, ლ. კაკულია, ო. გოგონაია, ა. ქორჩილავა, გ. ჭელია (46. ლ. გულუა), დ. სიჭინავა, გ. ლემონჯავა (46. ა. სარსანია), ზ. ქანთარია.

სათადარიგოები: ა. ჯანელიძე, ა. წაბრია, ი. მაღრაძე, ი. მოისწრაფიშვილი

მწვრთნელი: ზ. ინიაშვილი

მერცხალი: ი. მურუსიძე, თ. ჩხატარაშვილი, გ. ხამაშურიძე, გ. მექვაბიშვილი, ჯ. პაპავა (45. გ. გობრინიძე), ს.ვ. ჩიგოგიძე, ლ. ათუაშვილი (54. გ. ცერცვაძე), ლ. კოტრიკაძე (29. ნ. ხინთიბიძე), ი. ღლონტი, ი. ბაჯელიძე, ე. გოგუაძე.

სათადარიგოები: დ. სურგულაძე, ლ. ესაძე, რ. ჭაფოძე

მწვრთნელი: ს. გაგუა

გაფრთხილება: გ. კილასონია, გ. ჩადუნელი, ო. გოგონაია; ი. ბაჯელიძე, ნ. ხინთიბიძე

არბიტრი: ბ. გლუშჩუკი

### მომდევნო ტური

**4 სექტემბერი**

მერცხალი-მეშახტე
სქური-კოლხეთი (ფ)
იმერეთი-ალგეთი
ადელი-საპოვნელა

**5 სექტემბერი**

გაგრა-კახეთი
დინამო 2-შუქურა

*ჩხერიმელა ისვენებს*

## ამბები

### თავისუფალი გორგიაშვილით დილა დაინტერესდა



თორნიკე გორგიაშვილი

„ზესტაფონისა" და მისი მოთამაშის, **თორნიკე გორგიაშვილის** ხანგრძლივი დავა გუშინ დასრულდა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომიტეტმა გორგიაშვილის მოთხოვნა დააკმაყოფილა და კლუბთან მისი კონტრაქტი ბათილად ცნო. სააპელაციო კომიტეტმა (თავმჯდომარე **თამარ წერეთელი**, წევრები - **დავით ქარსელაძე, გიორგი ციხისთავი**) გააუქმა ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტის 2013 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება, 2012 წლის 20 აგვისტოს „ზესტაფონსა" და თორნიკე გორგიაშვილს შორის დადებული ხელშეკრულება გააბათილა და ფეხბურთელს თავისუფალი აგენტის სტატუსი მიენიჭა. იქვე მითითებულია, რომ გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეგახსენებთ, რომ გორგიაშვილისა და „ზესტაფონის" დავა 2013 წლის 5 ივლისს დაიწყო, როცა ფეხბურთელმა საჩივარი შეიტანა სფფ-ს ფეხბურთელის სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტში, რომელმაც მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ გორგიაშვილმა სფფ-ს საპელაციო კომიტეტს მიმართა და სანადელსაც მიაღწია.

და ბოლოს: გორის „დილას" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გვითხრა - რადგან გორგიაშვილი თავისუფალი აგენტი გახდა, სიამოვნებით დავიმატებთ, სირცხვილია, ასეთი დონის ფეხბურთელი უგუნდოდ იყოსო...

### არაბული ალკორკონში ჩაირიცხა

**ბაჩანა არაბული** ესპანეთის სეგუნდა დივიზიონში ითამაშებს. გუშინ „საბურთალოს" პრეზიდენტმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა** გვითხრა, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი მადრიდის „ალკორკონში" ნახევარწლიანი იჯარით გადადის. ეს ის „ალკორკონია", ორი წლის წინ „რეალი" რომ გააგდო სამეფო თასიდან, დღეს კი სეგუნდა დივიზიონს 3 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (9) ლიდერობს.

*„არაბულის ტრანსფერს მისი არაევროკავშირელობა აბრკოლებდა, მაგრამ ეს პრობლემა მოგვარდა - ბაჩანა „ალკორკონში" 6-თვიანი იჯარით ითამაშებს. მიმაჩნია, რომ მისთვის ეს სასურველი ტრანსფერია. იმედია, იჯარის დასრულების შემდეგ, არაბულით პრიმერა დივიზიონის კლუბებიც დაინტერესდებიან", - გვითხრა „საბურთალოს" პრეზიდენტმა.*

**მერაბ მამულაშვილი**

● ფუტსალი

# იბერია გადარჩა და ემზადება

უეფას თასის წინასწარი ჯგუფური ეტაპის მატჩები დასასრულს მიუახლოვდა, შემოდგომაზე კი ტურნირის ძირითადი ნაწილი დაიწყება. უკვე ცნობილია II ჯგუფში „იბერია სტარის“ მეტოქეთა ვინაობა და შეხვედრების განრიგი. მატჩებს უნგრეთის ქალაქი დიორი უმასპინძლებს. ელიტრაუნდში ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის. „იბერია „სტარის“ შეხვედრათა განრიგი ასეთია:

1 ოქტომბერი. 18:30 (თბილისის დროით). **იბერია სტარი-გრანდ პრო ვარნა (ბულგარეთი)**; 2 ოქტომბერი. 18:30. **ტანგო სარაევო (ბოსნია)-იბერია**; 4 ოქტომბერი. 21:30. **იბერია-დიორი ეტო (უნგრეთი).**

„იბერია სტარმა“ უეფაში უკვე წარადგინა განაცხადი: **1. ერნესტ აკოპოვი (მეკარე); 3. ალექსანდრე ძაბირაძე; 4. მურთაზ კაკაბაძე; 5. ზურაბ ლუკავა; 7. გიორგი ალთუნაშვილი; 8. ირაკლი თოდუა; 9. გიორგი თოთლაძე; 10. ვახტანგ ჯვარაშვილი; 11. ლაშა სიგუნავა; 12. თორნიკე ბუკია (მეკარე); 17. გაგა თიბილაშვილი; 20 გიორგი ტიკურიშვილი.** მწვრთნელი: **ალიკ სარქისიანი.**

კლუბის მენეჯერი **გიორგი დარჯანია**: *„ფინანსური პრობლემების გამო, „იბერია სტარი“ იძულებული იყო, ყველა ბრაზილიელი გაეშვა. ამჟამად გუნდში არც ერთი ლეგიონერი აღარ არის. ძველებიდან დარჩნენ აკოპოვი, ძაბირაძე, ალთუნაშვილი, ჯვარაშვილი და თიბილაშვილი, დანარჩენები - მეკარე ბუკია, კაკაბაძე, ლუკავა, თოდუა, თოთლაძე, სიგუნავა და ტიკურიშვილი - ახალწვეულები არიან“.*

დარჯანიასვე თქმით, არსებობს იმედი, რომ თბილისის მერია და სპორტის სამინისტრო 2014 წლის ბიუჯეტში „იბერია სტარისთვისაც“ გამონახავენ ფინანსებს.

ამასობაში, ფინეთის ქალაქ ტამპერეში დასრულდა უეფას თასის G ჯგუფის მატჩები. ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა მალტის „ჰიბერნიანსი“, რომელსაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი **ავთანდილ ასათიანი** ავარჯიშებს. გადამწყვეტ მატჩში „ჰიბერნიანსმა“ დანიურ „გენტოფტეს“ (სამი ესპანელი ლეგიონერი ჰყავს) 3:2 სძლია. გადამწყვეტი გოლი **დავით ბობოხიძის** ანგარიშზეა.

მართალია, „ჰიბერნიანსი“ ძირითად ეტაპზე ვერ გავიდა, მაგრამ ამ გუნდმა მალტის ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა.

## ფუტსალს ბათუმიც შეუერთდება

საქართველოს ფუტსალის კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი **ბექა კვიციანი** ბათუმში იმყოფებოდა და საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ პრეზიდენტ **ოთარ ფედიჩკინს** შეხვდა. როგორც ირკვევა, მოლაპარაკები გარკვეული შედეგით დასრულდა.

*„ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ ბათუმის „დინამო“ ფუტსალის გუნდს დააფუძნებს და საქართველოს ჩემპიონატშიც გამოიყვანს. მათ გარდა, გუნდს გამოიყვანს გორი, თბილისში კი ახლახან დაფუძნდა „გრანდი“. მიმაჩნია, რომ რეგიონებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, თუ გვსურს, რომ ფუტსალის ეროვნული ჩემპიონატი მხოლოდ თბილისური კლუბებით არ შემოიფარგლოს. ჩვენი ფუტსალის მომავალს მხოლოდ ამაში ვხედავ“,* - ამბობს კვიციანი.

**მერაბ მამულაშვილი**

● ვეტერანის აზრით...

# უფულოდ წარმატება შეუძლებელია

თბილისის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“ და თბილისის „ლოკომოტივი“, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული და ოლიმპიური ნაკრებები - ის გუნდებია, რომელთა მაისურებიც **ელგუჯა ხუციშვილს** მოურგია. მას ისეთი ცნობილი ფეხბურთელების გვერდით უთამაშია, როგორებიც იყვნენ **ვლადიმირ მუნტიანი, ვლადიმირ ფედოტოვი, ბერადორ აბდურაიმოვი...**

კარიერის დასრულების შემდეგ ხუციშვილი, რომელსაც 70 წელი შეუსრულდა, იყო მთავარი მწვრთნელი გორის „დილაში“, „შევარდენი 1906-ში“, თსუ-ში, „ვიტ ჯორჯიაში“. ამჟამად, ბატონი გუჯა „ვიტ ჯორჯიას“ აღმასრულებელი დირექტორია.

გამოცდილი სპეციალისტი ამბობს, რომ ქართული ფეხბურთის უმთავრესი პრობლემა მწირი ფინანსებია.

*„1965 წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრებიდან ოლიმპიურში გადამიყვანეს. კარგად მახსოვს, მექსიკის 1968 წლის ოლიმპიადისთვის მზადება მთელი სამი წლით ადრე დავიწყეთ. საუკეთესო პირობები გვქონდა, ათასგვარ ტურნირზე გვიშვებდნენ, ოღონდ, ოლიმპიადიდან მედლებით დავბრუნებულიყავით. სამწუხაროდ, ბოლოს ოლიმპიადაზე ჩვენს ნაცვლად საბჭოთა კავშირის ნაკრები გაუშვეს, მაგრამ ეს დრო დაუვიწყარიც იყო და ახლანდელი გადასახედიდან - საყურადღებოც. ყველა მოთამაშე განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ვიყავით, ნაკრებებს „ჩიტის რძეს“ არ აკლებდნენ. ასევე იყო კლუბებშიც. მაგრამ იმ უზარმაზარი იმპერიის ნაკრებები და გუნდებიც ვერ აღწევდნენ ყოველთვის წარმატებებს...*

*მსგავსი კი არა, ამის ნახევარი პირობები რომ იყოს დღეს, ქართული ფეხბურთი ბევრად მაღალ დონეზე იქნებოდა. ჩვენს ფეხბურთს ბევრი პრობლემა აწუხებს, მაგრამ უმთავრესი მაინც ესაა - თანამედროვე მოთხოვნებს ძალიან ჩამოვრჩით, რაც მწირი ფინანსების შედეგია. ცხოვრება წინ მიდის, ათასგვარი მეცნიერული მიღწევები ინერგება, რასაც ჩვენ ვერ ვახერხებთ. ეს არ არის მხოლოდ საფეხბურთო სამყაროს ბრალი, მთავარი - ქვეყანაში არსებული საერთო მდგომარეობაა...*

*ყველა ვხედავთ, რომ გუნდები სულს ღაფავენ, ბევრს ჩემპიონატში მონაწილეობის საშუალება არ გააჩნია, მოთამაშეთა უმრავლესობას კი - კარგად მომზადების პირობა. ამ ყველაფრის მერე ძლიერ ნაკრებებზე ოცნება არარეალურია. მე ბევრი ნიჭიერი მოთამაშე მინახავს, რომელმაც ასეთ ფეხბურთს სხვა სფეროში მუშაობა ამჯობინა. ესაა უმთავრესი პრობლემა, ფეხბურთი კი გამონაკლისი ვერ იქნება, მასაც ქვეყნის მსგავსად უჭირს. „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი გურამ რუხაძე გუნდისთვის ბევრს წვალობს, მაგრამ სახელმწიფო გვერდში თუ არ დაუდგა, მას და კერძო კლუბების მეპატრონეებს გაუჭირდებათ. ლაპარაკი პატრიოტიზმსა და ენთუზიაზმზე სიყალბეა - ფეხბურთს ფული სჭირდება და არა ლოზუნგები. რაც არ უნდა ვიტრიალოთ, ბოლოს მაინც ფინანსებთან მივდივართ“,* - ამბობს ელგუჯა ხუციშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**


ელგუჯა ხუციშვილი

## მილოცვა

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი დაბადების 70 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავენ ვეტერან ფეხბურთელს ელგუჯა ხუციშვილს.**

● ქართული გუნდები ევროტურნირებზე

# მცირე ნუგეში და იშვიათი გამონათება

**ზედიზედ მესამე წელიწადია ქართული გუნდები ევროპალიგის პლეი ოფში გადიან, მაგრამ ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა კვლავაც საოცნებოდ გვრჩება. ვიმეორებთ - ევროპალიგაზეა ლაპარაკი, თორემ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე რომ ქართული გუნდი მოხვდეს, სიმართლე გითხრათ, უკვე აღარც გვჯერა! უფრო ზუსტად, არსებობს კიდევ რამდენიმე ვარიანტი: კერძოდ, იმის იმედად უნდა დავრჩეთ, რომ უეფას მართლაც რეფორმატორმა პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ იქნებ კიდევ რაიმე „მოიფიქროს“ ჩვენნაირი ქვეყნებისათვის. თუმცა, რეალურად ვიმსჯელოთ და გულახდილად ვთქვათ: დღევანდელი ქართული საკლუბო ფეხბურთის დონე ნამდვილად არ აკმაყოფილებს ევროპალიგის ჯგუფური ეტაპის მოთხოვნებს, რომ აღარაფერი ვთქვათ - ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე. არადა, ვინმემ, შესაძლოა, ისიც „შეგვახსენოს“, რომ ევროპალიგის 2013-2014 წლების გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ რამდენიმეა ძლიერი კლუბი („ტოტენჰემი“, „ლაციო“, „ფიორენტინა“, კიევის „დინამო“, „რუბინი“, „ვალენსია“, პსვ), დანარჩენები კი აშკარად „დაბალი წონის კატეგორიას“ წარმოადგენენ („სენტ გალენი“, „ელფსბორგი“, „ესბიერგი“, „ფერეირა“, „პანდური“, „თუნი“, „ეშტორილი“, „რიეკა“, „აპოლონი“, „ტრომსო“, და ასე შემდეგ).**

**ჰო, კინაღამ ყარაღანდის „შახტიორი“ გამოგვრჩა - ვისთვის პროვინციულ-პერიფერიული კლუბი, რეალურად კი ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი აღმოჩენა, რამდენიმე წამი რომ დააკლდა უპრესტიჟულესი ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად. აი, ასე - თურმე, „პანდურის“ თუ „ეშტორილს“ არაფერი ესაქმებათ ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე და ამ დროს, „ქრონიკული უილბლობითა“ თუ „არაობიექტური მსაჯობით“ დაჩაგრული ქართული კლუბები კვლავაც განზე რჩებიან!**

**ვინ იცის, იქნებ „ვილაცებს“ არც სურდეთ ქართული კლუბების ტრიუმფული სვლა ევროტურნირებზე და ყველა დასაშვები თუ დაუშვებელი მეთოდებით გვილობავენ გზას ჯგუფური ეტაპისკენ? თუმცა, ამ შემთხვევაში, ეს სარკაზმიც უადგილოდ გვეჩვენება და ისლა დაგვრჩენია ბოლო წლებში კი არა, უკვე ტრადიციად დამკვიდრებულ რეალობას შევეგუოთ: ევროტურნირების ელიტაში ქართული კლუბების ადგილი ჯერჯერობით არ არის! ერთადერთი, თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ ამ ბოლო წლებში გარკვეული „გამონათებებია“ და ასე იყო წლეულსაც გორის „დილას“ მაგალითზე...**

## უარესიც გვახსოვს...

ამ ზაფხულს ევროტურნირებზე ოთხი ქართული გუნდი მონაწილეობდა და ოთხივეს ჯამური მაჩვენებელი ასეთია: 18 მატჩი, 5 მოგება, 5 ფრე და 8 წაგება (ბურთების სხვაობა - 20-29). კატასტროფული შედეგი ნამდვილად არ არის, რამეთუ ბევრად უარესიც გვახსოვს (ისეთი შემთხვევაც ყოფილა, ყველა ქართულ გუნდს ევროტურნირებზე ასპარეზობა პირველსავე ეტაპზე დაუმთავრებია).

თუმცა, უკვე არაერთხელ ნათქვამს კვლავაც მივუბრუნდებით და ვიტყვით, რომ ხშირად რეალობის შეგრძნებას ვკარგავთ ხოლმე: აი, როცა ევროტურნირების საწყის ეტაპზე ჩვენზე ბევრად სუსტ მეტოქეს (ასეთები ყოველთვის იყვნენ, არიან და, ალბათ, იქნებიან კიდეც) სოლიდური ანგარიშით დავამარცხებთ, მაშინვე ეიფორიაში ვვარდებით! არადა, იმავე ფარერების, სან მარინოს, ჩრდილოეთ ირლანდიის, უელსისა თუ ისლანდიის გუნდებთან დიდი ანგარიშით მოგება სრულიადაც არ ნიშნავს ჩემპიონთა თუ ევროპალიგის ჯგუფური ეტაპისათვის მზადყოფნას.

უფრო ზუსტად, როგორც კი მომდევნო ეტაპზე საშუალო-ევროპული დონის მეტოქეს გადავეყრებით, ჩვენი გუნდების რეალური ძალა მაშინვე გამოჩნდება. თუმცა, ვატყობთ, თემას გადავუხვიეთ და ევროტურნირებზე ქართული გუნდების წლევანდელ ასპარეზობას დავუბრუნდეთ.

თბილისის „დინამომ“ ასპარეზობა ჩემპიონთა ლიგაზე დაიწყო და ევროპალიგაზე გააგრძელა; **დუშან უჰრინის** გუნდმა 6 მატჩი ჩაატარა, 2 მოიგო, 1 ფრედ ითამაშა, 3 წააგო (ბურთების სხვაობა 10-13). ასევე 6 მატჩი გამართა გორის „დილამ“, - წლევანდელ ევროტურნირებზე ქართული გუნდებიდან ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება რომ დატოვა. არადა, ახალი მწვრთნელის (**გიორგი დევდარიანი**) ხელმძღვანელობით, ფაქტობრივად, ახალი გუნდი ასპარეზობდა, თუმცა ისე როგორც შარშან, „დილამ“ წლეულსაც მოახერხა ევროპალიგის პლეი ოფში გასვლა.


დილა-ჰაიდუკი
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

მართალია, ვენის „რაპიდი“ უფრო ძლიერი გუნდი აღმოჩნდა, ვიდრე ბევრ ქართველ გულშემატკივარს ეგონა, „დილას“ გამოსვლა კრიტიკულად მაინც არ უნდა შეფასდეს. თანაც, „დილა“ ერთადერთი ქართული კლუბია, წლევანდელი ევროტურნირები დადებითი ბალანსით რომ დაამთავრა: 6 მატჩი, 3 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება (ბურთების სხვაობა - 5-4). პირველსავე ეტაპზე გამოეთიშა ასპარეზობას ქუთაისის „ტორპედო“, თუმცა ეს მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო.

ახალ მწვრთნელსა (**ჟერარდ სარაგოსა**) და ახალ ფეხბურთელებს „ტორპედოსთან“ (და, საერთოდ ქუთაისთან) ადაპტაციისათვის გარკვეული დრო რომ სჭირდებოდათ, შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა. ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით „ტორპედო“ ბევრად უკეთ არის შეთამაშებული, ვიდრე ევროტურნირების პირველ ეტაპზე, და რაც მთავარია, გუნდის ესპანელმა თავკაცმაც, ძირითადი შემადგენლობის ბირთვიც ჩამოაყალიბა.

შეგახსენებთ, რომ ევროპალიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ტორპედო“ შინ დამარცხდა სლოვაკურ „ჟილინასთან“ (0:3), სამაგიეროდ საპასუხო შეხვედრაში 3:3 ითამაშა.

დაბოლოს, დებიუტანტ „ჩიხურაზეც“: გამოცდილი სპეციალისტის **სოსო ფრუიძის** გუნდში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი თამაშობდა, სხვადასხვა დროს ევროტურნირებზე არაერთი მატჩი რომ ჩაუტარებია. დებიუტანტის კვალობაზე „ჩიხურას“ ასპარეზობასაც ვერ ვუწოდებთ წარუმატებლობას, - ბოლოს და ბოლოს, გუნდმა ერთი ეტაპი დასძლია! შვეიცარიულ „ვადუცთან“ საშინაო ფრეს (0:0) გასვლაზეც საყაიმო ანგარიში (1:1) მოჰყვა, მაგრამ სტუმრად გატანილი გოლის წყალობით მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საჩხერული კლუბი გავიდა.

აი, შემდგომი ბარიერი კი „ჩიხურასთვის“ დაუძლეველი აღმოჩნდა: შვეიცარიული „თუნი“ თავისი ქვეყნის „მასშტაბითაც“ არასდროს ყოფილა გრანდი, მაგრამ „ჩიხურაზე“ ბევრად მაღალი დონის გუნდი რომ იყო, ორივე მატჩმაც დაადასტურა (2:0, 3:1)...

## ახალი ანტირეკორდი

თბილისის „დინამოს“ ისეთი მეტოქე შეხვდა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, ვიფიქრეთ, ევროტურნირებზე ქართული გუნდების მიერ დიდი ანგარიშით მოგების ახალი რეკორდი დამყარდებოდა, თუმცა ჩვენმა ჩემპიონმა მხოლოდ 6:1 იკმარა. ასე რომ, კვლავაც ძალაში რჩება ერთდროულად სამი ქართული გუნდის რეკორდი: ბათუმის „დინამო“ - ფარერების „ტორსჰავნი“ 6:0, ქუთაისის „ტორპედო“ - სომხეთის „ერებუნი“ 6:0, „ზესტაფონი“ - ჩრდილოეთ ირლანდიის „ლისბერნი“ 6:0.

...სამაგიეროდ, „დინამომ“ ახალი ანტირეკორდი დაამყარა: ჩვენს ყველაზე ტიტულიან კლუბს აქამდე არასდროს წაეგო საშინაო მატჩი ხუთბურთიანი სხვაობით და აი, „ტოტენჰემთან“ 0:5 დამარცხდა! ისე, ქართული გუნდებისგან უარესებიც გვახსოვს: ფოთის „კოლხეთი“ - სერბეთის „ცრვენა ზვეზდა“ 0:7, თბილისის „ლოკომოტივი“ - საბერძნეთის პაოკ-ი 0:7, თბილისის „ვიტ ჯორჯია“ - პოლონეთის „ვისლა“ 2:8 და ასე შემდეგ...

## რამაზ შენგელიას ნიშნული

დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით ქართული გუნდები ევროტურნირებზე 1993 წლიდან ასპარეზობენ და იქიდან მოყოლებული მხოლოდ სამმა ფეხბურთელმა შეძლო „ჰეთ-თრიქის“ შესრულება: **თეიმურაზ ტულუშმა** (ბათუმის „დინამო“), **გიორგი მეგრელაძემ** (ქუთაისის „ტორპედო“) და **ჯაბა დვალმა** („ზესტაფონი“).

ამ უკანასკნელმა წლევანდელ ევროტურნირებზე თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 2 გოლი გაიტანა, სულ კი 16 დაუგროვდა და ევროტურნირების ქართველ ბომბარდირთა სიას კვლავაც ერთპიროვნულად ლიდერობს. ოღონდ, ამ შემთხვევაში 1993-2013 წლების პერიოდს ვგულისხმობთ, თორემ საერთოდ, ევროტურნირებზე ყველაზე მეტი გოლი ლეგენდარულ **რამაზ შენგელიას** აქვს გატანილი (19). თანაც, ნურც იმას დავივიწყებთ, თუ რა დონის მეტოქეების კარში გაჰქონდა ის ერთიმეორეზე ეფექტური თუ უმნიშვნელოვანესი გოლები ქართული ფეხბურთის ყველა დროის ნომერ პირველ ბომბარდირსა და, საერთოდ, ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს...

## ყველა ქართული გუნდი

ქართველებისგან ევროტურნირებზე „ჰეთ-თრიქებით“ განებივრებულნი ნამდვილად არა ვართ, სამაგიეროდ, უამრავი „დუბლია“ შესრულებული და ამ მხრივ, გამონაკლისი, არც წლევანდელი ზაფხული ყოფილა. თანაც, ამ სამი „დუბლიდან“ ორი დებიუტანტმა შეასრულა: „დინამოს“ კოტდივუარელი ლეგიონერი **პატრიკ ვუო** „სტრეიმურთან“ მატჩში შეცვლაზე შევიდა და დროის მოკლე მონაკვეთში 2 გოლის გატანა მოასწრო.

ვუო ადრე სხვადასხვა ევროპულ (კვიპროსის, პორტუგალიის) კლუბებში თამაშობდა, „ტორპედოს“ ახალწვეული **თორნიკე კაპანაძე** კი პირდაპირ... პირველი ლიგიდან (წყალტუბოს „სამგურალი“) მოხვდა ევროტურნირებზე და „ჟილინასთან“ საპასუხო შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა. მესამე „დუბლი“ კიდევ ერთმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა, გორის „დილას“ მარცხენა გარემარბმა **მიხაილ გორელიშვილმა** შეასრულა. ახლა კი წლევანდელი ევროტურნირების ყველა ქართული გოლი:

**ჩისკო - 2, ვუო - 2, უსტარიცი - 2, დვალი - 2, ე. გრიგალაშვილი - 1, გლიშიჩი - 1** (ყველა - „დინამო“); **მიხაილ გორელიშვილი - 2, ირაკლი მოდებაძე, გიორგი ილურიძე, გრიგოლ დოლიძე** (ყველა - „დილა“), **თორნიკე კაპანაძე - 2, ალეკო მზევაშვილი** (ორივე - „ტორპედო“), **ჯაბა ჯიღაური, გიორგი რეხვიაშვილი** (ორივე - ჩიხურა“).

აქვე, ორი უილბლოც უნდა ვახსენოთ: **დარკო გლიშიჩმა** („დინამო“) და **ვაჟა ლომაშვილმა** („ჩიხურა“) „ავტოგოლები“ მიითვალეს.

...წლევანდელ ევროტურნირებზე „დინამომ“ და „დილამ“ ექვს-ექვსი მატჩი ჩაატარეს, „ჩიხურამ“ - ოთხი, „ტორპედომ“ - ორი; ყველაზე მეტი (6) მატჩი ჩაატარეს **ნუკრი რევიშვილმა, მამუკა კობახიძემ, ლაშა გვალიამ, გიორგი ილურიძემ, დავით ბოლქვაძემ, გრიგოლ დოლიძემ, გიორგი გურულმა** (ყველა - „დილა“), **გიორგი ლორიამ, გივი კვარაცხელიამ, გიორგი მერებაშვილმა, ელგუჯა გრიგალაშვილმა, დავით კვირკველიამ** (ყველა - „დინამო“).

თუმცა, ამათგან მხოლოდ ხუთმა ითამაშა ექვსივე მატჩი შეუცვლელად: ნუკრი რევიშვილმა, მამუკა კობახიძემ, ლაშა გვალიამ, გიორგი ლორიამ და გივი კვარაცხელიამ.

**გია ტუხაშვილი**



● ფეხბურთი რეგიონებში. შიდა ქართლი

# გია რევაზიშვილი
# დილას წარმატება რეგიონში ფეხბურთის განვითარების სტიმულია

**შიდა ქართლის საფეხბურთო ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორი გორის „დილაა“. ამ კლუბის წარმატებული გამოსვლა შიდა და ევროასპარეზზე არა მხოლოდ ამ რეგიონის, არამედ ზოგადად, გარკვეული სტიმულია ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის. მაგრამ, ამას გარდა, რეგიონში არის პრობლემებიც, რომელიც დროულ რეაგირებასა და გადაჭრას ითხოვს. სწორედ ამის თაობაზე ვესაუბრეთ შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ გია რევაზიშვილს.**

**- ბატონო გია, „დილას“ წარმატებები, ალბათ, დადებითად აისახება რეგიონში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე, მასობრიობის თვალსაზრისით, მის კიდევ უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად...**

- საფეხბურთო სკოლებში ვარჯიშის მსურველი პატარების რაოდენობის ზრდა აშკარაა, რადგან „დილას“ ბოლოდროინდელი წარმატებები მათთვის გადამდებია. მსურს, „ლელოს“ საშუალებით დიდი მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც გორის „დილას“ ბოლო წლების აღმასვლაში თუნდაც მცირე წვლილი შეიტანა. სხვათა შორის, რეგიონს ახლახან კიდევ ერთი საფეხბურთო სკოლა შეემატა, რომელიც გორში სუხიშვილების უნივერსიტეტთან ერთად იფუნქციონირებს და მას მე ვუხელმძღვანელებ.

**- რეგიონის არაერთი არენა სავალალო მდგომარეობაშია. ამას წინათ, „ლელო“ ხაშურის „ივერიის“ გაპარტახებული სტადიონის თაობაზეც წერდა. რა ეშველება ამ საქმეს?**

- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მომთხოვა და მიიღო დეტალური ინფორმაცია ჩვენი რეგიონის ყველა იმ სტადიონის მდგომარეობაზე, სადაც თავად ფედერაციის ან მისი რეგიონული სტრუქტურის მიერ ორგანიზებული ტურნირები იმართება. ფეხბურთის ფედერაციაში არსებობს კომისია, რომელიც ამ საკითხს შეისწავლის. კომისია ჩამოვა, ადგილზე გაეცნობა სიტუაციას და ეცდება, შესაძლებლობის ფარგლებში დაგვეხმაროს. ამ მომენტისთვის, გორის ცენტრალური არენის გარდა, ნორმალურ მდგომარეობაშია, გორშივე, „ქართლისა“ და აგარის სტადიონის მინდვრები, ხოლო ხაშურის, კასპისა და ქარელის სტადიონებზე საფარის მხრივ მწვავე პრობლემა გვაქვს. იმედია, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ამ პრობლემის გადაჭრაში დაგვეხმარებიან.


გია რევაზიშვილი

**- ხაშურის „ივერიას“ წლეულს მეორე ლიგიდან პირველში გადასვლის საშუალება მიეცა, თუმცა ამაზე უარი თქვა, პირველ ყოვლისა, სწორედ საშინაო არენის უქონლობის გამო. კასპსა და ქარელს კი მეორე ლიგაშიც არ ჰყავთ გუნდები...**

- კასპში ერთ-ერთი საუკეთესო ბავშვთა საფეხბურთო სკოლაა, რომელსაც სოფლებშიც აქვს გახსნილი ჯგუფები. ამ რაიონს თავისუფლად შეუძლია, მეორე ლიგაში ღირსეულად მოასპარეზე გუნდი ჰყავდეს. შარშან ქარელშიც ჰქონდათ სურვილი, აღედგინათ საფეხბურთო კლუბი „იბერია“, რაზეც ამ რაიონის გამგებელიც მელაპარაკა, თუმცა წლეულს მუნიციპალიტეტები ძირითადად სოციალურ პროექტებს მიიჩნევენ პრიორიტეტად და საფეხბურთო პრობლემატიკის მოგვარება სამომავლოდ გადაიდო.

**- თქვენ საფეხბურთო აკადემია „ქართლი 2011“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელიც ბრძანდებით. ამ აკადემიის საფეხბურთო კლუბმა „ქართლი 2011“-მა მაისში დასრულებული მეორე ლიგის გათამაშება დიდი უპირატესობით მოიგო, თუმცა პირველ ლიგაში გადასვლის ნაცვლად, ეს გუნდი დაიშალა. არადა, მისი მფლობელისგან ხმამაღალი დაპირებებიც გვესმოდა, კლუბში ათეულობით მილიონის ჩადებასთან დაკავშირებით...**

- მართალი ხართ, ამ აკადემიის დამფუძნებელი, ჩემს მეგობარ, რუსეთში მცხოვრებ პაატა ფილიევთან ერთად, მეც გახლავართ. ფაქტობრივად, მე შევქმენი ეს აკადემია. თავიდან ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ ფილიევმა ორგანიზაციაში რამდენიმე არაკომპეტენტური პირი მოიყვანა, რამაც უარყოფითად იმოქმედა აკადემიის განვითარებაზე. ცოტა ხანში მეც ჩამოვშორდი მის მმართველ სტრუქტურას. ვფიქრობ, იმ ეტაპზე საჭირო იყო აკადემიის განვითარების სხვა რელსებზე გადაყვანა, რაც არ მოხდა და დღესდღეობით, ფაქტობრივად, აღარც ფუნქციონირებს. რაც შეეხება საფეხბურთო კლუბს, მისი დაარსება მთლიანად ფილიევის ინიციატივა იყო. მიმაჩნდა, რომ ვიდრე აკადემიის ბავშვთა საფეხბურთო სექციების აღზრდილებს არ დავეყრდნობოდით, არ იყო აუცილებელი მეორე ლიგაში გუნდის გაყვანა. ამას ხომ გაცილებით დიდი ხარჯი დასჭირდებოდა? ფილიევი შეგვპირდა კიდეც, რომ ფინანსური თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. შედეგად კი, გუნდს, რომელმაც მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ერთი მატჩი წააგო და პირველ ადგილზე დამსახურებულად გავიდა, 11 თვის ხელფასი აქვს მისაღები. წარმოიდგინეთ, ამდენი ხნის განმავლობაში ანაზღაურებას ვერ იღებენ მწვრთნელები, აკადემიის ადმინისტრაცია, მომსახურე პერსონალი...

> **„...შეგვპირდა კიდეც, რომ ფინანსური თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა...“**

**- ბოლო წლებში ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა ძალიან ნაყოფიერად მუშაობს და მალე „დილას“ პირველ გუნდსაც მიაწვდის ცვლას...**

- მრავალი წლის განმავლობაში ამ სკოლის ხელმძღვანელი თავად გახლდით, თუმცა ახლა მას სხვები უდგანან სათავეში. მსურს, ყველა მწვრთნელს დიდი მადლობა გადავუხადო ნაყოფიერი მუშაობისთვის. „დილას“ პერსპექტიული თაობა ეზრდება. როგორც მთავარი გუნდის, ისე საფეხბურთო სკოლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში ძალზე დიდია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ზვიად სიჭინავას წვლილი. ჩვენ უნდა ვაფასებდეთ იმ ადამიანების საქმიანობას, ვინც მხარში გვიდგას რეგიონში ფეხბურთის განვითარების საქმეში.

**- სამწუხაროდ, „დილამ“ ევროპა ლიგის მატჩები საკუთარ ქალაქში ვერ ჩაატარა. არადა, გორელი მაყურებელი ფეხბურთს მხურვალედ ქომაგობს და საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი დასწრებაც სწორედ გორშია. ამაზე რას იტყოდით?**

- ბოლო პერიოდში სტადიონზე შესრულებულმა სამუშაოებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას საშუალება მისცა, ასაკობრივი ნაკრებების მატჩების გორში ჩატარებაზე ეფიქრა. უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ოქტომბერში გორის ცენტრალურ სტადიონზე ორ მატჩს გამართავს. სავარაუდოდ, შემოდგომაზე გორში ითამაშებს ახალგაზრდული ნაკრებიც. სამომავლოდ კი, იმედია, „დილას“ გულშემატკივრები თავიანთი საყვარელი გუნდის ევროპულ მატჩებსაც გორის სტადიონზე ნახავენ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ბრაზილია. სერია A. XVII ტური



ალექსანდრე პატომ „ფლამენგო“ ორჯერ დაამწუხრა

# ხუთეული გამოიკვეთა

**გრემიო–პონტე პრეტა 1:0**

**გოლი:** 1:0 კლებერი (60)
**გაძევება:** ჯოვანი (54. პონტე პრეტა)

**ნაუტიკო–ატლ. პარანაენსე 1:4**

**გოლები:** 0:1 ლეო (5), 0:2 ევერტონი (19), 1:2 ხ. ოლივერა (42), 1:3 ედერსონი (80), 1:4 ედერსონი (90)

**პორტუგეზა–ბაია 4:2**

**გოლები:** 1:0 მოიზეს მოურა (2), 2:0 ჟილბერტო (5-პენ), 3:0 ჟილბერტო (7), 3:1 ფერნანდაო (56-პენ), 4:1 ბერგსონი (60), 4:2 ვალისონი (73)

**ფლუმინენსე–სანტოსი 0:2**

**გოლები:** 0:1 ტიაგო რიბეირო (13), 0:2 სისერო (29)

**კორინთიანსი–ფლამენგო 4:0**

**გოლები:** 1:0 პატო (25), 2:0 პატო (35), 3:0 რომარინიო (75), 4:0 გერერო (84-პენ)

**ვიტორია–კრისიუმა 0:1**

**გოლი:** 0:1 მარსელი (17-პენ)

**კრუზეირო–ვასკო 5:3**

**გოლები:** 1:0 ვილიანი (1), 1:1 ვილი (18), 2:1 ლუკას სილვა (32), 3:1 ჟულიო ბაპტიშტა (39), 3:2 ანდრე (40), 3:3 ვილი (43), 4:3 ლუკას სილვა (67), 5:3 ვინისიუს არაუჟო (87)
**გაძევება:** დაგობერტო (90. კრუზეირო)

**გოიასი–ატლ. მინეირო 0:0**

**გაძევება:** ვიტორი (72. გოიასი)

**კორიტიბა–ინტერნასიონ. 0:0**

**გაძევება:** ალანი (83. ინტერნასიონალი)

**ბოტაფოგო-სან პაულო 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრუზეირო | 17 | 10 | 4 | 3 | 38-17 | 34 |
| 2. გრემიო | 17 | 9 | 4 | 4 | 23-15 | 31 |
| 3. ატლ. პარან. | 17 | 8 | 6 | 3 | 32-23 | 30 |
| 4. ბოტაფოგო | 17 | 8 | 6 | 3 | 27-19 | 30 |
| 5. კორინთიანსი | 17 | 7 | 8 | 2 | 19-7 | 29 |
| 6. კორიტიბა | 17 | 6 | 7 | 4 | 20-17 | 25 |
| 7. ინტერნასიონ. | 16 | 5 | 9 | 2 | 27-24 | 24 |
| 8. ბაია | 17 | 6 | 5 | 6 | 17-20 | 23 |
| 9. გოიასი | 17 | 5 | 8 | 4 | 17-21 | 23 |
| 10. ვიტორია | 17 | 6 | 4 | 7 | 21-24 | 22 |
| 11. სანტოსი | 15 | 5 | 7 | 3 | 18-12 | 22 |
| 12. კრისიუმა | 17 | 6 | 2 | 9 | 22-28 | 20 |
| 13. ატლ. მინეირო | 16 | 5 | 5 | 6 | 15-19 | 20 |
| 14. ვასკო | 17 | 5 | 5 | 7 | 26-32 | 20 |
| 15. ფლამენგო | 17 | 4 | 7 | 6 | 17-21 | 19 |
| 16. ფლუმინენსე | 17 | 5 | 3 | 9 | 19-24 | 18 |
| 17. პორტუგეზა | 17 | 3 | 7 | 7 | 22-28 | 16 |
| 18. პონტე პრეტა | 16 | 4 | 3 | 9 | 18-25 | 15 |
| 19. სან პაულო | 16 | 3 | 6 | 7 | 15-18 | 15 |
| 20. ნაუტიკო | 15 | 2 | 2 | 11 | 9-28 | 8 |

**ბომბარდირები:** 12 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე); 10 - ვილიამი (პონტე პრეტა); 8 - ბიანკუჩი (ვიტორია), ანდრე (ვასკო და გამა); 7 - რაფაელ მარკეში (ბოტაფოგო), ფერნანდაო (ბაია)

**ბრაზილიის სერია A-ს პირველი წრის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი. საბოლოო დასკვნის გაკეთება ჯერ ადრეა, მაგრამ ტენდენციებზე საუბარი ნამდვილად შეიძლება. ნელ-ნელა გამოიკვეთა იმ გუნდების სია, რომლებიც ტიტულისთვის და ლიბერტადორესის თასის საგზურისთვის იბრძოლებენ...**

## ხუთეული

ამ მომენტისთვის, პირველ ხუთ ადგილზე მყოფი გუნდები სხვებს აშკარად ალემატებიან, რაც ამ ტურშიც დამტკიცდა. კვინტეტიდან გამარჯვება მხოლოდ „ბოტაფოგომ“ ვერ მოიპოვა, რომელმაც გაჭირვებული „სან პაულო“ ვერ დაამარცხა, სხვა ყველა გუნდმა კი აქტივში მორიგი სამი ქულა ჩაიწერა.

## კორინთიანსის პირველი უხვგოლიანი

„კორინთიანსი“ ამ ტურამდე ე.წ. „ნაკლების“ გუნდი იყო - 16 ტურში, ამ გუნდის მონაწილეობით ჩატარებულ შეხვედრებში სამი ან მეტი გოლი არ გასულა და აი, ეს სერიაც შეწყდა, თანაც მთლიანად **ტიტეს** გუნდის დამსახურებით.

ოთხბურთიანი სხვაობით მოსაგებად, „ტიმაო“ უკეთეს მეტოქეს ძნელად თუ იპოვიდა - „კორინთიანსმა“ ხომ ბრაზილიის ყველაზე პოპულარული გუნდი, „ფლამენგო“ გაანადგურა. უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვით, „ფლას“ 45 მილიონამდე ადამიანი გულშემატკივრობს, რაც ბრაზილიის მოსახლეობის თითქმის მეოთხედს შეადგენს.

შესანიშნავი მატჩი ჩაატარა **ალექსანდრე პატომ** - „მილანის“ ყოფილმა ფორვარდმა პირველივე ტაიმში დუბლი შეასრულა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა, რადგან „კორინთიანსს“ ერთ შეხვედრაში ორი გოლი ამ სეზონში არ გაუშვია. მასპინძელთა მეკარე **კასიომ** კარი ამჯერადაც მშრალად შეინახა, მეორე ტაიმში კი პატოს **რომარინიო** და **ხოსე პაოლო** გერერო მიეხმარნენ - 4:0.

„ფლამ“ მეტოქესთან ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო, უკანასკნელად კი ამ გუნდმა „კორინთიანსი“ 2009 წელს დაამარცხა და იმის მერე მხოლოდ 2-ჯერ შეძლო ქულის ალება, 5-ჯერ კი დამარცხდა.

## მოგება და ფრე

„გრემიო“ და „ინტერნასიონალი“ დაპირისპირებული გუნდები არიან. ორივე ქალაქ პორტუ ალეგრის წარმოადგენს და მათ ერთმანეთზე საძულველი მეტოქე არ ჰყავთ.

„გრემიომ“ ამ ტურში „პონტე პრეტას“ უმასპინძლა და **კლებერის** ერთადერთი გოლით ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. **რენატო გაუჩოს** გუნდმა „ბოტაფოგოს“ გადაასწრო და მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

„ინტერნასიონალმა“ კი „კორიტიბას“ ვერ მოუგო. ამ უკანასკნელმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ნელ-ნელა მოუკლო და წინ გაქცეულ ლიდერებს ჩამორჩა. თუ „გრემიომ“ მიჯრით 5 შეხვედრაში იმარჯვა, „ინტერის“ წაუგებელი სერია უკვე 6 მატჩია გრძელდება, მაგრამ ამ 6 შეხვედრიდან **დუნგას** შეგირდებმა ერთიც ვერ მოიგეს. დიახ, „ინტერნასიონალმა“ ზედიზედ მე-6 მატჩი დაასრულა ფრედ, რაც მართლაც საოცარი შედეგია.

## პარანაენსეს საოცარი გარდასახვა

„ატლეტიკო პარანაენსემ“ ბოლო ადგილზე მყოფი „ნაუტიკო“ გაანადგურა. **ვაგნერ მანჩინის** გუნდი აგრძელებს ყველას გაოცებას - წლევანდელი სეზონის დებიუტანტი უკვე მესამე ადგილზეა, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანია ის, რომ „ატლეტიკოს“ უკვე 10 მატჩია არ წაუგია და აქედან 7 მოიგო, არადა ამ სერიის დაწყებამდე, გუნდი ბოლოსწინა ადგილზე იყო და ისე ჩანდა, რომ წელს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის უნდა ებრძოლა.

მორიგი გოლები გაიტანა **ედერსონმა** - 24 წლის ფორვარდი, რომელსაც წლევანდელ სეზონამდე უმაღლეს ლიგაში ნათამაშები არ ჰქონდა, 12 გოლით ბომბარდირთა დავის ერთპიროვნული ლიდერია.

## სანახაობა ბელუ ორიზონტიში

„კრუზეირომ“ და „ვასკომ“ გულშემატკივრებს საფეხბურთო სპექტაკლი შესთავაზეს. გუნდებმა ერთმანეთის კარში 8 გოლი გაიტანეს, აქედან, მასპინძელთა გასახარად, მათი გუნდის ანგარიშზე 5 ბურთი იყო.

**ვინისიუს არაუჟოს** გარდა, ყველა ფეხბურთელმა თავის კლუბში პირველი გოლები გაიტანა. „ვასკოს“ მხრიდან ორი გოლი ახალგაზრდა **ვილიმ** შეაგდო, ორი საგოლე პასი კი **ფაგნერმა** მიითვალა. „კრუზეიროდან“ გამოირჩეოდა **ჟულიო ბაპტიშტა**, რომელიც ახალ კლუბში პირველ შეხვედრას ატარებდა.

**პაულო ოლივეირიას** გუნდმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და ლიდერობა შეინარჩუნა.

**ტატო ბაციკაძე**

ტრანსფერი

# სამი ფეხბურთელი ბოლო დღეს

## ლივერპულმა სახო და ილორი იყიდა, მოზესი იჯარით აიყვანა

სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს „ლივერპულმა“ გასაძლიერებლად 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი დახარჯა და სამი ფეხბურთელი შეიძინა. აქედან **ვიქტორ მოზესი** გუნდს იჯარით შეუერთდა „ჩელსიდან“. **მამადუ სახოზე** უკვე ვწერდით - 23 წლის ფრანგში „ლივერპულმა“ 18 მილიონი ფუნტი გადაუხადა „პარი სენ-ჟერმენს“.

ინგლისელთა მეორე შენაძენი კი პორტუგალიელი **ტიაგო ილორი** (ლისაბონის „სპორტინგი“) გახლავთ - 20 წლის ილორი ლონდონშია დაბადებული, ის პორტუგალიის 19 და 20-წლამდელთა ნაკრების წევრია.

ილორიმ, რომელიც „ლივერპულს“ 7 მილიონი ფუნტი დაუჯდა შემდეგი განაცხადა: *„ლივერპულს“ დიდებული გუნდი ჰყავს. ვფიქრობ, ეს ჩემთვის დიდებული ვარიანტია. „ლივერპულს“ დიდი ისტორია აქვს და მეც მინდა მისი ნაწილი გავხდე“.*

როჯერსმა ამ ზაფხულს 8 ფეხბურთელი დაიმატა: **კოლო ტურე, იაგო ასპასი, ლუის ალბერტო, სიმონ მინიოლე, ალი სისოკო,** ვიქტორ მოზესი, მამადუ საკო და ტიაგო ილორი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჩელსელი ვიქტორ მოზესი „ლივერპულის“ მაისურით

ამბები

## ბარნეტა აინტრახტში არენდით

„შალკემ“ 28 წლის გარემარბი **ტრანკვილიო ბარნეტა** ფრანკფურტის „აინტრახტში“ გაანათხოვრა. მას გელზენკირხენული კლუბის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისა და დამკვიდრების შანსი არ ჰქონდა. იჯარა ერთწლიანია.

## ლასოგა: ჰერტადან ჰამბურგში

**პიერ-მიშელ ლასოგა** ბერლინის „ჰერტადან“ „ჰამბურგში“ გადაბარგდა. 21 წლის თავდამსხმელი „ჰამბურგში“ ერთ წელს იჯარით დაჰყოფს. *„ლასოგა სწორედ ისეთი თავდამსხმელია, როგორსაც ვეძებდით,“* - ეს „ჰამბურგის“ სპორტული დირექტორის, **ოლივერ კროიცერის** სიტყვებია.

## ყენიას ახალი თანაგუნდელი

მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე „ფორტუნამ“, სადაც **ჩვენებური ლევან ყენია** თამაშობს, „აუგსბურგიდან“ ცენტრფორვარდი **არისტიდ ბონსე ერთი** წლით ინათხოვრა. ბურკინაფასოელი თავდამსხმელი მწვრთნელ **მარკუს ვაინცირლის** გეგმებში ალარ ჯდებოდა, დიუსელდორფელებს კი ელიტაში გამოცდილი თავდამსხმელი სჭირდებოდათ.

## ჰელმესი კიოლნში დაბრუნდა

„ბედნიერი ვარ, რომ ისევ „კიოლნში“ უნდა ვითამაშო. ფიზიკურად ძალიან კარგ ფორმაში ვარ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ „კიოლნი“ დაბრუნდეს იქ, სადაც მისი ადგილია - პირველ ბუნდესლიგაში,“ - ასეთი სიტყვებით წარდგა 29 წლის თავდამსხმელი **პატრიკ ჰელმესი** კიოლნში, ჟურნალისტების წინაშე. ჰელმესი „თხებში“ 2005-დან 2008 წლამდე თამაშობდა. „ვოლფსბურგში“ ის ალარ სჭირდებოდათ, რის გამოც იმ კლუბში დაბრუნება გადაწყვიტა, საიდანაც საფეხბურთო სამყარომ გაიცნო.

## არნაუტოვიჩი სტოკში

როგორც იქნა, ბრემენის „ვერდერმა“ 24 წლის ავსტრიელი წინახაზელი **მარკო არნაუტოვიჩი** მოიშორა: საკმაოდ მძიმე ხასიათის და ექსცენტრიკული ფეხბურთელი კარიერას პრემიერლიგაში გააგრძელებს და „სტოკ სიტის“ ღირსებას დაიცავს. „ვერდერის“ ფორმით არნაუტოვიჩს ბუნდესლიგაში 4 წელი აქვს გატარებული და 72 მატჩი, 14 გოლი და 10 საგოლე პასი დაუგროვდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი

# აბრამოვიჩმა აფრიკელი ჟორდანიას ათხოვა

ლონდონის „ჩელსიმ“ „პორტუსგან“ 3,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა 21 წლის განელი **კრისტიან ატსუ**. აფრიკელმა წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება, მაგრამ მას წლეულს ჟოზე მოურინიოს გუნდში ვერ ვნახავთ.

**რომან აბრამოვიჩმა** ატსუ თავის პარტნიორ **მერაბ ჟორდანიასთან** გაუშვა იჯარით ჰოლანდიურ „ვიტესში“. ახალგაზრდა ფეხბურთელს შეტევის მარცხენა ფლანგზე ან უკანდახეული ფორვარდის პოზიციაზე შეუძლია თამაში. „ვიტესში“ მას **გიორგი ჭანტურიას** შემცვლელად განიხილავენ, რომელსაც ჯერ კიდევ დარჩა დისკვალიფიკაცია მოსახდელი.

გასულ სეზონში მან „პორტუში“ 17 მატჩში 1 გოლი გაიტანა. 2010/11 წლების სეზონში ის „პორტუს“ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. „ჩელსისთან“ ატსუმ 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კრისტიან ატსუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. IV ტურის შეჯამება

# გელზენკირხენის პრინცი და დორტმუნდის გმირი

## კევინ ბოატენგი უკვე შალკეს ლიდერია, ბორუსია კი მხითარიანით დაფრინავს


კევინ-პრინს ბოატენგმა სადებიუტო მატჩში კარგად ითამაშა

მიუნხენის „ბაიერნმა“ ამ სეზონში პირველად ვერ მოიგო და ქულებთან ერთად, ლიდერობაც დაკარგა. ოთხი ტურის შემდეგ ოთხივე თამაში მხოლოდ ერთ კლუბს, დორტმუნდის „ბორუსიას“ აქვს მოგებული და შესაბამისად, ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს სათავეში ერთპიროვნულად სწორედ იურგენ კლოპის გუნდი ჩაუდგა. თუმცა გერმანიის ჩემპიონატის მეოთხე ტურში სხვაც ბევრი რამ იყო საინტერესო: მაგალითად ის, რომ „შტუტგარტმა“ ახალი მწვრთნელით „ჰოფენჰაიმი“ 6:2 გაანადგურა. პირველი გამარჯვებები იზეიმეს „ჰამბურგმა“ და „შტუტგარტმაც“. ამასთან, 4 ტურის შემდეგ მოგების გარეშე სამი გუნდია (ფრაიბურგი, ნიურნბერგი და ბრაუნშვაიგი), წაგება კი მხოლოდ „დორტმუნდს“ და „ბაიერნს“ არ აქვთ. წარმოგიდგენთ ბუნდესლიგის მე-4 ტურის პოზიტივებსა და ნეგატივებს.

### პოზიტივები

- „შტუტგარტის“ პირველი და ძალიან ხმაურიანი გამარჯვება არა მარტო ახალი მწვრთნელის, **თომას შნაიდერის**, არამედ ბოსნიელი თავდამსხმელის, **ვედად იბიშევიჩის** დამსახურებაცაა, რომელმაც „ჰოფენჰაიმთან“ ჰეთთრიკი შეასრულა, უკვე ხუთი გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა რეიტინგს მაინცელ **ნიკოლაი მიულერთან** ერთად ლიდერობს.

- „შტუტგარტის“ დარად, ასევე 4-ბურთიანი სხვაობით და პირველად მოიგო „ჰამბურგმაც“ - **ტორსტენ ფინკის** გუნდმა ღრმა კრიზისიდან გამოსვლა აუტსაიდერ „ბრაუნშვაიგის“ განადგურებით (4:0) დაიწყო. შესაბამისად, ჰამბურგში ფინკის გაგდებასა და **ფელიქს მაგათის** მიყვანაზე საუბრები შეწყდა. დროებით თუ დიდი ხნით, ამას მომავალი გვიჩვენებს.

- „ჰამბურგის“ გამარჯვებას ორი მთავარი გმირი ჰყავდა: ბუნდესლიგის „უკანასკნელი დინოს“ „მფარველი ანგელოზი“ **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, რომელმაც გოლიც გაიტანა და თითქმის ყველა შეტევაში მონაწილეობდა და ახალგაზრდა თურქი შემტევი **ჰაქან ჩალჰანოღლუ**, რომელმაც დუბლი შეასრულა. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, მომავალი ჩალჰანოღლუსიაო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თავად ჰაქანმა გერმანიის ნაკრებზე უარი თქვა და თავისი მომავალი თურქეთის ეროვნულ ნაკრებს დაუკავშირა.

- „შალკეს“ ბლიც-ახალწვეულმა **კევინ-პრინს ბოატენგმა** „ლევერკუზენთან“ (2:0) საკმაოდ კარგად ითამაშა, მაგრამ ფაქტია, რომ მეტი შეუძლია. გელზენკირხენული კლუბისთვის ამაზე მნიშვნელოვანი სეზონში პირველი გამარჯვების მოპოვება იყო და კიდევ ის, რომ ბოატენგი მოედანზე უკვე ლიდერივით იქცეოდა. „შალკეს“ მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** კი პირდაპირ მიაკრა გუნდის ახალი ლიდერის იარლიყი.

- „გლადბახი“ კარგად ათამაშდა და „ვერდერი“ 4:1 დაამარცხა. გმირები **მაქს კრუზე** და **რაფაელი** გახდნენ, რომელთა ანგარიშზე თითო გოლი და თითო საგოლე პასია. **ლუსიენ ფავრის** გუნდს უკვე 10 გოლი აქვს გატანილი და ამ მაჩვენებლით 4 ტურის შემდეგ მხოლოდ „ჰოფენჰაიმს“ (12 გოლი) ჩამორჩება. ცნობისათვის: „ბაიერნის“ ანგარიშზე 7 გოლია, „დორტმუნდმა“ კი 9 გოლის გატანა მოახერხა.

- მიონხენგლადბახელებმა **გრანიტ ჯაკა** თავის დროზე დიდი იმედებით გადაიბირეს და მასზე უდიდესი ავანსები გასცეს, მაგრამ შვეიცარიელი იმედებს ვერა და ვერ ამართლებდა. „ვერდერთან“ კი, როგორც იქნა, ისე ითამაშა, როგორც მისგან ელოდებოდნენ და **ხუან არანგოს** 60-მეტრიანი, უზუსტესი პასით გოლი გაატანინა. საინტერესო ის არის, რომ ეს ჯაკას პირველი საგოლე პასი იყო ბუნდესლიგაში...

- „აინტრახტთან“ მატჩის წინ „დორტმუნდის“ თავკაცმა იურგენ კლოპმა თქვა, **ჰენრიხ მხითარიანი** მაგარი იარაღიაო და ფრანკფურტელები ამ მოსაზრების სისწორეში ორგზის დარწმუნდნენ: სომეხმა გამთამაშებელმა კვირას „აინტრახტს“ ორი ეფექტური გოლი გაუტანა და „დორტმუნდს“ მეოთხე თამაშიც მოაგებინა.

- „ჰანოვერი“ საკუთარ მოედანზე კვლავ უძლეველია: **მირკო სლომკას** გუნდმა მესამე საშინაო შეხვედრაც მოიგო და თან საკმაოდ კარგ ფორმაში მყოფი „მაინცი“ დაამარცხა (4:1). „წითლებს“ 4 ტურის შემდეგ 9 ქულა აქვთ, რაც „ჰანოვერისთვის“ 1965 წლის შემდეგ საუკეთესო სტარტს ნიშნავს.

- „მაინცის“ თავდამსხმელმა ნიკოლაი მიულერმა მეოთხე ტურშიც შეძლო გოლის გატანა, თუმცა მისი გუნდი 1:4 დამარცხდა.

- „ჰანოვერისა“ არ იყოს, საკუთარ მოედანზე „ვოლფსბურგიც“ კარგად გამოიყურება. „მგლებმა“ მეორე საშინაო შეხვედრაც მოიგეს (2:0 „ჰერტასთან“) და წინა სეზონსაც თუ მივათვლით, „ფოლკსვაგენ-არენაზე“ 7-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ.

- „აუგსბურგმა“ ნიურნბერგში ბოლო 37 წლის მანძილზე პირველად მოიგო (1:0).

- მე-4 ტურის ერთ-ერთი უმთავრესი პოზიტივი კი „ფრაიბურგი“ გახლდათ. **კრისტიან შტრაიხის** ახალგაზრდულმა გუნდმა წინა სამშაბათს „ბაიერნთან“ ფრე გაახერხა.

### ნეგატივები

- ბრემენის „ვერდერმა“ პირველ სამ ტურში მხოლოდ 1 გოლი გაუშვა და ისის იყო, საფეხბურთო გერმანიაში ნელნელა ალაპარაკდნენ, რობინ დუტმა „ვერდერის“ დაცვა დაალაგაო, რომ „მუსიკოსებმა“ მე-4 ტურში „გლადბახისგან“ 4 გოლი მიიღეს...

- 4 თამაში, 4 წაგება, მხოლოდ 1 გატანილი ბურთი: უკვე ცხადად გამოჩნდა, რომ „ბრაუნშვაიგის“ ადგილი ელიტაში მართლა არ ყოფილა. საქმე იმაშიცაა, რომ არც „ჰამბურგი“ „უქნია ღმერთს“ და ბრაუნშვაიგელები უმაქნის „ჰამბურგთანაც“ კი განადგურდნენ (0:4). ასეთ წაგებას მეკარე **დანიელ დავარიმაც** შეუწყო ხელი, როცა ბურთი ხელებს შორის გაუძვრა, მწვრთნელმა **ტორსტენ ლიბერკნეხტმა** კი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მშვენიერი სპექტაკლი დადგა: „ბრაუნშვაიგს“ თავად „ბრაუნშვაიგის“ ფეხბურთელებიც კი არ სცემენ პატივს, კლუბს, რომელიც მათ ხელფასებს უხდის, სწორედ ისე აშარდავენ, როგორც დღეს მოხდა და რა გასაკვირია, რომ მსაჯებიც არაფრად ჩაგვაგდებენ,“ - ყვიროდა ლიბერკნეხტი ჯერ გასახდელში და მერე პრესკონფერენციაზეც,

- „ჰოფენჰაიმი“ წინა სეზონთან შედარებით აშკარად უკეთესი გუნდია, მაგრამ მხოლოდ იმით, რომ თავდამსხმელები თამაშობენ გაცილებით ეფექტურად. დაცვაში კი „სოფლელები“ ვერა და ვერ დალაგდნენ. 4 ტურის შემდეგ „ჰოფეს“ უკვე 12 გოლი აქვს მიღებული - ყველაზე მეტი ამ დროისთვის. სამაგიეროდ, „ჰოფენჰაიმს“ ყველაზე მეტი, ასევე 12 გოლი აქვს გატანილი. „შტუტგარტთანაც“ (2:6) სწორედ დაცვა ჩავარდა და მეკარე **კოენ კასტეელსიც** ძალიან ცუდად გამოიყურებოდა.

- „ნიურნბერგის“ მწვრთნელი **მიხაელ ვიზინგერი** უფრო და უფრო მძიმე წნეხის ქვეშ ექცევა. მისი გუნდი ფრანკენ-შვაბენ-დერბიში „აუგსბურგთან“ 0:1 დამარცხდა, რაც ზედიზედ მეორე წაგება გახლდათ და 4 ტურის შემდეგ ვიზინგერის გუნდს მხოლოდ 2 ქულა აქვს.

- „გლადბახის“ საყრდენმა ნახევარმცველმა **ჰავარდ ნორდტვეიტმა** 6 მეტრიდან თავური დარტყმით ბრწყინვალე გოლი გაიტანა, მაგრამ ცუდი ის იყო, მან საკუთარი კარი დალაშქრა. თუმცა საბოლოო ჯამში ამაზე თავად ნორდტვეიტიც ბევრს გაიცინებდა, რადგან „გლადბახმა“ „ვერდერს“ 4:1 მოუგო.

- „ლევერკუზენის“ სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** ამბობდა, ჩვენი მცველი **იომერ თოფრაქი** შესანიშნავ ფორმაშიაო და მართალიც იყო, ოღონდ მანამ, სანამ „ლევერკუზენი“ „შალკეს“ არ ესტუმრა. გელზენკირხენში თოფრაქმა უპატიებელი შეცდომა დაუშვა და „შალკემ“ ანგარიში სწორედ მისი შეცდომის შემდეგ გახსნა.

- „ვოლფსბურგისა“ და „ჰერტას“ მატჩში (2:0 „მგლების“ სასარგებლოდ) მსაჯმა **რობერტ ჰარტმანმაც** უპატიებელი შეცდომა დაუშვა: „ვოლფსბურგის“ ბრაზილიელი გამთამაშებლის, **დიეგოს** სიმულაციაზე წამოეგო და „ჰერტას“ კარში პენალტი დანიშნა, რომლის შედეგად ანგარიში 2:0 გახდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ჰენრიხ მხითარიანმა აინტრახტთან დუბლი შეასრულა და დორტმუნდი გაალიდერა

### საუკეთესო ფეხბურთელები

„კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 4 | 1.67 |
| 2. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 4 | 2.00 |
| 3. ალექსანდრუ მაქსიმი | შტუტგარტი | 2 | 2.00 |
| 4. არიენ რობენი | ბაიერნი | 3 | 2.00 |
| 5. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 4 | 2.13 |
| 6. მაქს კრუზე | გლადბახი | 4 | 2.25 |
| 7. კევინ ფოლანდი | ჰოფენჰაიმი | 4 | 2.25 |
| 8. ნიკოლაი მიულერი | მაინცი | 4 | 2.38 |
| 9. პიერ-ემერიკ ობამეიანგი | დორტმუნდი | 4 | 2.50 |
| 10. ტონი კროოსი | ბაიერნი | 4 | 2.50 |

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 4 | 3 | 3 | 6 |
| 2. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 4 | 5 | 0 | 5 |
| 3. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 4 | 2 | 3 | 5 |
| 4. ალექსანდრუ მაქსიმი | შტუტგარტი | 2 | 2 | 3 | 5 |
| 5. ნიკოლაი მიულერი | მაინცი | 4 | 5 | 0 | 5 |
| 6. სიდნი სემი | ლევერკუზენი | 4 | 3 | 2 | 5 |
| 7. კევინ ფოლანდი | ჰოფენჰაიმი | 4 | 3 | 2 | 5 |
| 8. რ. ვან დერ ვაარტი | ჰამბურგი | 4 | 3 | 1 | 4 |
| 9. მაქს კრუზე | გლადბახი | 4 | 2 | 2 | 4 |
| 10. მამე დიუფი | ჰანოვერი | 4 | 2 | 2 | 4 |

### IV ტურის გმირი

**ვედად იბიშევიჩი (შტუტგარტი)**



სხვა ვინ უნდა დაგვესახელებინა ტურის გმირად, თუ არა „შტუტგარტის“ გოლეადორი ვედად იბიშევიჩი, რომელმაც „ჰოფენჰაიმს“, ანუ, თავის ყოფილ გუნდს 3 გოლი გაუტანა?! ბოსნიელისთვის ეს ბუნდესლიგაში რიგით მესამე ჰეთთრიკი იყო (პირველი „ჰოფენჰაიმის“ რიგებში „ჰერტასთან“ შეასრულა, მეორე „შტუტგარტში“ 2012 წელს, „შალკესთან“). სხვათა შორის, ვედოს 9 ოფიციალურ მატჩში 9 გოლი აქვს გატანილი, ზოგადად კი, შვაბებისთვის 49 შეხვედრაში 28 გოლის გატანა მოახერხა.

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A II ტურის გამოხმაურება

# ბევრი გოლი და დიდი ინტრიგა

## კალჩო არც ისე უინტერესოა, როგორც ბევრს ჰგონია



ჯუზეპე როსიმ „ჯენოასაც“ გაუტანა

სერია A-ს მეორე ტურში ფავორიტებმა იმარჯვეს და დაგეგმილი ქულები მოიპოვეს. ჯერჯერობით, იტალიური საკლუბო ფეხბურთის გრანდები მაგრად დგანან და თუ ასე გაგრძელდა, სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში ვითარება უკიდურესად დაიძაბება. მართალია, ცხრილზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, რომ მიმდინარე ჩემპიონატში ძლიერნი ამა ქვეყნისანი „დაჭამენ“ ერთმანეთს.

### არც ისე მოსაწყენი კალჩო

ჯერ კიდევ გავრცელებულია აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ იტალიური ფეხბურთი ზედმეტად ჩაკეტილი და შესაბამისად, მოსაწყენია. განვლილი ტურით თუ ვიმსჯელებთ, ასე ნამდვილად არაა, რადგან 10 შეხვედრაში 43 გოლი გავიდა - ანუ, ერთ თამაშში საშუალოდ 4.3 გოლი. ასეთი რამ ბოლოს სერია A-ს 2004-2005 წლების სეზონის 34-ე ტურში მოხდა.

ყველაზე მეტი გოლი „ჯენოა“-“ფიორენტინას“ შეხვედრაში გავიდა, სადაც ფეხბურთელებმა შვიდჯერ დალაშქრეს კარი. ექვსი გოლი გავიდა „კიევო“-“ნაპოლის“ პაექრობაში, „იუვენტუსმა“ და „ლაციომ“ კი ხუთი გოლი იკმარეს, რომელთაგან ოთხი რომაელთა კარში გავიდა. მოკლედ, კალჩო რიხით დაიწყო, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს...

### ტენდენცია და სიურპრიზი

„იუვენტუსის“ მიერ „ლაციოს“ განადგურება უკვე ტენდენციაა, „ნაპოლის“ მოგებაც არ გვიკვირს, აი „ინტერის“ ასეთი წარმატებული სტარტი კი მართლაც მოულოდნელობაა. თავად ის ფაქტი, რომ „ნერაძურიმ“ „კატანიას“ სძლია, გაოცებას ნამდვილად არ იწვევს, მაგრამ **ვალტერ მაცარის** გუნდის შთამბეჭდავი სტარტი მართლაც მოულოდნელია... ერთი, რომ „ინტერის“ მესვეურებმა სატრანსფერო ბაზარზე ვერ იაქტიურეს და სხვათა გაძლიერების ფონზე, შესუსტებულნი ჩანან და მეორე, მოსამზადებელ ციკლში მილანური გრანდი ძალიან შორს იყო ოპტიმალური ფორმისგან - თვითონ მაცარი ამბობდა, ჯერ გუნდად უნდა ვიქცეთ და დანარჩენზე შემდეგ ვილაპარაკოთო... ორი უპასუხო გოლი „ჯენოას“ კარში, სამი „კატანიას“ და ნუთუ, „ინტერი“ უკვე იქცა გუნდად?...

### აღზევებულთა მჩაგვრელი

პირველ ტურში, „რომამ“ „ლივორნოს“ სძლია, მეორეში კი „ვერონაც“ მოინელა - გუნდები, რომლებიც ელიტაში ახალაღზევებულნი არიან. რაც მთავარია, **რუდი გარსიას** „ჯალოროსი“ ლაღ და შემტევ ფეხბურთს თამაშობს, რაც გულშემატკივრებს განსაკუთრებულად მოსწონთ - მოკლედ, გარსიას „რომა“ უტევს ისე, როგორც **ზემანის** „რომა“ უტევდა, მაგრამ თავს გაცილებით უკეთ იცავს, რაზეც განვლილ ორ ტურში არც ერთი გაშვებული ბურთი არ მეტყველებს. დაცვის ხაზს **დუგლას მაიკონი, მეჰდი ბენატია, ლეანდრო კასტანი** და **ფედერიკო ბალცარეტი** ამაგრებენ, ფეხბურთელები, რომლებსაც კლასი და გამოცდილება ნამდვილად არ დაეწუნებათ. მაიკონი ცალკე სალაპარაკო თემაა - ბრაზილიელმა „ვერონასთან“ ბრწყინვალედ ითამაშა და პირველ გოლში ლომის წილი დაიდო. საინტერესოა, საბოლოოდ დასძლევს თუ არა კრიზისს ბრაზილიელი მცველი და ვიხილავთ თუ არა ისეთ მაიკონს, რომელიც „ინტერიდან“ გვახსოვს...

### სასიკვდილო იარაღი

„ფიორენტინა“ „ჯენოას“ ესტუმრა და გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა, 5:2. ორ-ორი გოლი **ჯუზეპე როსიმ** და **მარიო გომესმა** გაიტანეს, ფორვარდებმა, რომლებზეც ფლორენციაში უდიდეს იმედებს ამყარებდნენ. *„თავდამსხმელთა ტანდემი, რომელიც მეტოქეთათვის სასიკვდილო იარაღია“* - ასე დაასათაურა „ჯენოა“-“ფიორენტინას“ შეხვედრა „გაძეტა დელო სპორტმა“ და ამ ფრაზას ნამდვილად აქვს არსებობის უფლება. ერთი მხრივ, ტანმორჩილი, მოძრავი და ტექნიკური ჯუზეპე როსი და მეორე მხრივ, გიგანტი, ფიზიკურად ძლიერი და მეორე სართულის ბატონ-პატრონი მარიო გომესი - ეს ყველაფერი ერთ გუნდში კი უდავოდ დიდი ძალა და გნებავთ, სასიკვდილო იარაღია. აქამდე, გომესს უჭირდა დამაგვირგვინებელ ფაზაში, გენუაში გატეხა ნავსი და „ვიოლამაც“ გადაურბინა მეტოქეს...

#### ციფრები და ფაქტები

■ **მარეკ ჰამშიკი** ერთადერთი ფეხბურთელია ბოლო 10 სეზონში, რომელმაც ჩემპიონატის პირველ ორ შეხვედრაში დუბლი შეასრულა.

■ “ნაპოლიმ“ ისტირიაში მეორედ სძლია „კიევოს“ ვერონაში.

■ „იუვენტუსმა“ და „ნაპოლიმ“ მიჯრით მესამე სეზონი დაიწყეს ორ-ორი გამარჯვებით.

■ „ლაციოს“ „იუვენტუსისთვის“ ჩემპიონატში 2003 წლის შემდეგ არ მოუგია.

■ **მირკო ვუჩინიჩმა** მე-100 გოლი გაიტანა სერია A-ში.

■ **მიროსლავ კლოზემ** პირველი გოლი გაუტანა „იუვენტუსს“ კარიერაში.

■ „ვერონამ“ ბოლო შვიდი მატჩი წააგო რომში, გაუშვა რა 22 გოლი.

■ „მილანმა“ მიჯრით მეათე საშინაო მატჩი მოუგო „კალიარის“. „როსონერის“ სარდინიელებთან 22 მატჩია არ წაუგია.

■ „ატალანტამ“ 5-მატჩიანი საშინაო მოუგებელი სერია შეწყვიტა.

■ „ტორინოს“ და „სამპდორიას“ გასვლაზე იანვრის შემდეგ არ მოუგიათ.

■ „ინტერმა“ პირველად დაიწყო ჩემპიონატი ორი მოგებით 2003-2004 წლების სეზონის შემდეგ.

■ „ჯენოას“ სერია A-ში 5-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს.

■ **ალბერტო ჯილარდინომ** 160-ე გოლი გაიტანა სერია A-ში; მოქმედი ფეხბურთელებიდან წინ მხოლოდ **ფრანჩესკო ტოტი** და **ანტონიო დი ნატალე** არიან.

■ „ფიორენტინას“ გასვლაზე 30 მარტის შემდეგ არ წაუგია, ბოლო 5 შეხვედრაში კი გაიმარჯვა.

■ **სიმონე ძაძამ** „სასუოლოდან“ პირველი გოლი გაიტანა სერია A-ში.

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




● ტრანსფერი



რიკარდო კაკას ისევ ვიხილავთ შავ-წითელი მაისურით

# კაკა სახლში დაბრუნდა

ესეც ასე - გასრულდა საგა, რომელიც რა ხანია გრძელდებოდა: **რიკარდო კაკა** მადრიდის „რეალიდან“ „მილანში“ გადაბარგდა და იმ გუნდის ღირსებას დაიცავს, სადაც საუკეთესო წლები აქვს გატარებული. დიახ, 2003-2009 წლებში რიკი „როსონერის“ ღირსებას იცავდა, ამ გუნდის შემადგენლობაში 193 მატჩი აქვს გამართული, 70 გოლი გატანილი და პრაქტიკულად ყველაფერი მოგებული, რისი მოგებაც შეიძლებოდა.

თავიდან, ვრცელდებოდა ცნობები, რომ კაკა „მილანში“ იჯარის წესით გადავიდოდა, მაგრამ „როსონერის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მხარეებმა სრულფასოვან ტრანსფერზე მიაღწიეს შეთანხმებას. ლომბარდიული გრანდის მესვეურები 31 წლის ბრაზილიელთან 2-წლიან კონტრაქტს გააფორმებენ, ფეხბურთელის წლიური გასამრჯელო კი 4 მილიონი ევრო იქნება. ცნობისთვის, რიკი „რეალში“ დაახლოებით 10 მილიონ ევროს იღებდა და „მილანში“ გადაბარგების სანაცვლოდ, ხელფასის 60%-ით შემცირებას დათანხმდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა თანხას გადაიხდის „მილანი“ რიკარდოს სანაცვლოდ. კაკამ „მილანის“ ოფიციალურ ვებგვერდს მოკლე კომენტარი მისცა:

*„უბედნიერესი ვარ, რადგან სახლში ვბრუნდები, იქ, სადაც დიდი ხანია მელოდებიან. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ძველ-ახალ გუნდს წარმატების მიღწევაში დავეხმარო. ჩემთვის ფული არასდროს ყოფილა მთავარი და როდესაც მივხვდი, რომ „როსონერიში“ დაბრუნებას ალტერნატივა არ ჰქონდა, ხელფასის ჩამოკლებას უყოყმანოდ დავთანხმდი. ვფიქრობ, „მილანი“ სწორ გზას ადგას და მალე არანაკლებ ძლიერი იქნება, ვიდრე კარლო ანჩელოტის პერიოდში“.*

შეგახსენებთ, რომ კაკა სწორედ **კარლო ანჩელოტის** „მილანში“ ბრწყინავდა, სადაც გამთამაშებლის ფუნქცია ეკისრა - იმ გუნდში, ნახევარდაცვას **ანდრეა პირლო, ჯენარო გატუზო** და **კლარენს ზეედორფი** ამაგრებდნენ, თავდასხმაში კი **ანდრეი შევჩენკო** და **ფილიპო ინძაგი** დომინირებდნენ. დაცვა უფრო ხშირად განიცდიდა როტაციას, თუმცა **პაოლო მალდინი** და **ალესანდრო ნესტა** იმ გუნდის განუყოფელი ნაწილი გახლდნენ - საბედნიეროდ, ამ ვარსკვლავურ მარაქაში **კახა კალაძეც** იყო გარეული, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა იმ ფორმაციის „მილანის“ უდიდეს გამარჯვებებში.

● იტალიის ნაკრები



ტიაგო მოტა

# პრანდელიმ გუნდი დარაზმა

იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ** იმ ფეხბურთელთა გვარები დაასახელა, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის უახლოეს ორ შეხვედრაში დაეყრდნობა. პირველ მატჩს „სკუადრა აძურა“ ბულგარეთთან 6 სექტემბერს გამართავს, ოთხ დღეში კი ჩეხეთს დაუპირისპირდება. იტალიელები ორივე შეხვედრას საკუთარ მოედანზე გამართავენ, ბულგარელებთან პალერმოში: „სტადიო რენცო ბარბერაზე“, ჩეხებთან კი ტურინში: „იუვენტუს არენაზე“. სანამ მთელ შემადგენლობას გაგაცნობდეთ, აღვნიშნოთ, რომ პრანდელიმ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, **ტიაგო მოტა** გამოიძახა, **მანოლო გაბიადინის** კი ეროვნულ გუნდში დებიუტი ექნება. ბოლოს, დავძინოთ, რომ დისკვალიფიკაციის გამო ბულგარეთთან შეხვედრას **მარიო ბალოტელი, პაბლო ოსვალდო** და **რიკარდო მონტოლივო** გამოტოვებენ...

**მეკარეები:** **ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი), **ფედერიკო მარკეტი** (ლაციო), **სალვატორე სირიგუ** (პსჟ, საფრანგეთი).

**მცველები:** **ინაციო აბატე** (მილანი), **ლუკა ანტონელი** (ჯენოა), **დავიდე ასტორი** (კალიარი), **ანდრეა ბარცალი** (იუვენტუსი), **ლეონარდო ბონუჩი** (იუვენტუსი), **ჯორჯო კიელინი** (იუვენტუსი), **კრისტიან მაჯო** (ნაპოლი), **ანდრეა რანოკია** (ინტერი).

**ნახევარმცველები:** **ალბერტო აკვილანი** (ფიორენტინა), **ანტონიო კანდრევა** (ლაციო), **ალესიო ჩერჩი** (ტორინო), **დანიელე დე როსი** (რომა), **ალესანდრო დიამანტი** (ბოლონია), **ალესანდრო ფლორენცი** (რომა), **ემანუელე ჯაკერინი** (სანდერლენდი, ინგლისი), **რიკარდო მონტოლივო** (მილანი), **ტიაგო მოტა** (პსჟ, საფრანგეთი), **ანდრეა პირლო** (იუვენტუსი), **მარკო ვერატი** (პსჟ, საფრანგეთი).

**თავდამსხმელები:** **მარიო ბალოტელი** (მილანი), **სტეფან ელ შაარავი** (მილანი), **მანოლო გაბიადინი** (სამპდორია), **ალბერტო ჯილარდინო** (ჯენოა), **ლორენცო ინსინიე** (ნაპოლი), **პაბლო ოსვალდო** (საუთჰემპტონი, ინგლისი).

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

● ესპანეთი. ლა ლიგა. III ტურის შეჯამება

# ვიდრე გარეთი მოვა
## ლეოს 23-ე ჰეთთრიკი

**ლა ლიგის III** ტური ოდნავ დაჩრდილა ბოლო სატრანსფერო ამბებმა, განსაკუთრებით გარეთ ბეილის ტრანსფერით მსოფლიოს ახალი რეკორდის დამყარებამ და კარს მომდგარმა სანაკრებო ბატალიებმა, თუმცა ტურნირზეც ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა: ლეო მესის პირველი ჰეთთრიკი სეზონში, კრიშტიანო რონალდოს პირველი გოლი სეზონში, „ატლეტიკოს“ სერიოზული „მესიჯი“ და „ვილიარეალის“ მორიგი სიურპრიზი...

### ლიდერები და აუტსაიდერი

დღეისათვის ლა ლიგის 20 გუნდიდან მხოლოდ 5-ს ჰყავს უცხოელი მწვრთნელი და მათგან 3-ის ქულის დაუკარგავად თანალიდერობს ცხრილში: არგენტინელი **ხერარდო მარტინოს** „ბარსელონას“ (ბურთების შეფარდება 11:2), მისი თანამემამულე **დიეგო სიმეონეს** „ატლეტიკოს“ (10:2) და იტალიელი **კარლო ანჩელოტის** „რეალს“ (6:2) 9-9 ქულა აქვს. მათ დავაში ჩაერია სეგუნდადან აღზევებული „ვილიარეალი“ (8:3), რომელსაც ლიდერთაგან ერთადერთს, ჰყავს ესპანელი თავკაცი (**მარსელინო**). როგორც ხედავთ, ლიდერ კვინტეტს ბილბაოს „ატლეტიკი“ გამოაკლდა, რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დამარცხდა - 1:3.

ცხრილის ფსკერზე კი „ოსასუნაა“ - ნავარულ კლუბს კატასტროფული სტარტი აქვს - 0 ქულა, ერთადერთი გოლი 3 თამაშში. **ხოსე ლუის მენდილიბარს** უკვე ცუდად აქვს საქმე, „ვილიარეალთან“ მატჩში მე-3 გოლის შემდეგ პუბლიკამ პროტესტის ნიშნად სტადიონი დატოვა.

### მესი მესტალიაზე

ტურის ცენტრალური მატჩი „მესტალიაზე“ გაიმართა, სადაც „ვალენსიამ“ და „ბარსამ“ საოცარი პირველი ტაიმი უჩვენეს მაყურებელს - **ლეო მესის** ჰეთთრიკით ჩემპიონი დაწინაურდა და როცა ბევრს ეგონა „ღამურებს“ განადგურება არ ასცდებოდა, ტაიმის ბოლომდე პორტუგალიელმა **ელდერ პოშტიგამ** დუბლის შესრულება მოასწრო - 2:3. თუმცა ამაზე მეტს **მიროსლავ ჯუკიჩის** გუნდმა ველარ მიაღწია და ჩემპიონატში 3 ქულის ამარა დარჩა.


ჩვეული აღნიშვნა - ლეო მესიმ „მესტალიაზე“ სამჯერ გაიტანა

შესანიშნავი სეზონი აქვს **ვიქტორ ვალდესს**. მართალია, ამჯერად მას კარი მშრალად აღარ შეუნახავს, მაგრამ „ბარსას“ გამარჯვებაში მესისთან ერთად ლომის წილი დაიდო.

ჩემპიონი ამ შეხვედრაში ტრავმების გარეშე ვერ გადარჩა: **სერხიო ბუსკეტსმა** ფეხში ტკივილი იგრძნო, მას დამატებითი ტესტირება დასჭირდება, რომ ექიმებმა გაიგონ, რამდენად სერიოზულია ტრავმა. **ხავიერ მასკერანომ** კი შეჯახებისას მცირე ტვინის შერყევა მიიღო, თუმცა საგანგაშო არაფერია.

■ ლიონელ მესიმ სეზონი ფანტასტიკურად დაიწყო - დუბლი და ჰეთთრიკი ორ მატჩში (ერთი ტრავმის გამო გამოტოვა), არგენტინელი 5 გოლით ბომბარდირთა დავაში ლიდერობს და უახლოეს მდევარს 2 გოლით უსწრებს.

■ მესიმ „ბარსელონას“ მაისურით 23-ე ჰეთთრიკი შეასრულა.

■ სულ ლეოს პროფესიულ კარიერაში 26 ჰეთთრიკია (3 სანაკრებოა).

■ მესიმ გაუსწრო ქუბის და ახლა 220 გოლით „ბარსელონას“ ისტორიაში მე-5 ადგილზეა ბომბარდირებში. ერთი გოლიც და ის მე-4 ადგილზე მყოფ სესარს გაუსწრებს.

■ „ბარსელონას“ 13 ფეხბურთელია გამოძახებული სხვადასხვა ნაკრებში ამ დღეებში.

**ტურის და ჩემპიონატის ციფრები**

■ ჰეთთრიკი შეასრულა ლიონელ მესიმ (ბარსელონა) „ვალენსიას“ კარში.

■ დუბლი შეასრულეს: **ისკომ** (რეალი) „ბილბაოს“ კარში; ელდერ პოშტიგამ (ვალენსია) „ბარსელონას“ კარში და **კევინ გამეირომ** (სევილია) „მალაგას“ კარში.

■ ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია: **დავიდ კოსტასი** (სელტა) - 18 წლის.

■ ჩემპიონატში გაიმართა 30 მატჩი, რომლებშიც გავიდა 89 გოლი. საშუალო შედეგიანობა არის 2,97 მატჩი თამაშში.

■ ამ სეზონში უკვე 2 ავტოგოლი ვიხილეთ.

■ 30-დან მხოლოდ 2 მატჩი დასრულდა უგოლოდ.

■ ყველაზე უხვგოლიან მატჩში 7 გოლი გავიდა.

■ ყველაზე მეტი გოლი „ბარსას“ ანგარიშზეა - 11.

■ ყველაზე მეტმა ფეხბურთელმა „ატლეტიკოში“ გამოიჩინა თავი - 7-მა ფეხბურთელმა 10 გოლი გაიტანა. შემდეგ მოდის „ბარსა“ - 6 ფეხბურთელი - 11 გოლი.

■ მესის ჰეთთრიკი „ვალენსიას“ კარში იყო პირველი ჰეთთრიკი ჩემპიონატში.

■ ჩემპიონატში დუბლების რიცხვი უკვე 9 არის.

■ ჯერჯერობით ლა ლიგის 2013/14 წლების სეზონში 252-მა ესპანელმა ითამაშა.

■ შემდეგ მოდიან: არგენტინელები (25), ბრაზილიელები (16), პორტუგალიელები (14) და ფრანგები (13).

■ ესპანეთში ყველაზე ხშირად ისევ 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემას იყენებენ.

■ ოდნავ განსხვავებული ტაქტიკით თამაშობს „ვილიარეალი“ (4-4-2), „ატლეტიკო“ (4-4-2), „მალაგა“ (4-1-4-1), „სელტა“ (4-3-3) და „ბარსელონა“ (4-3-3).

■ ყველაზე სწრაფი გოლი **კორომინასმა** (ელჩე) გაიტანა II ტურში, „რეალ სოსიედადის“ კარში - წუთი და 18 წამი.

■ ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი მიიღო „სევილიამ“ - 10.

■ ყველაზე მეტი წარმომადგენელი ლა ლიგაში ჰყავს ანდალუსიას - 5. შემდეგ მოდის მადრიდი და ვალენსია - 4-4.

■ საშუალოდ მატჩს 26 447 მაყურებელი ესწრება.

■ ■ ■

**ბომბარდირები:** 5 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 3 - ისკო (რეალი), როდრი რიოსი (ალმერია), დიეგო კოშტა (ატლეტიკო), ელდერ პოშტიგა (ვალენსია)

**ასისტენტები:** 4 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა).

**მომდევნო ტური**

14 სექტემბერი: **ატლეტიკო-ალმერია, ლევანტე-სოსიედადი, ბარსელონა-სევილია, ვილიარეალი-რეალი**

15 სექტემბერი: **გრანადა-ესპანიოლი, ხეტაფე-ოსასუნა, მალაგა-რაიო ვალეკანო, ბეტისი-ვალენსია**

16 სექტემბერი: **ელჩე-ვალიადოლიდი, ატლეტიკი-სელტა**

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით





ვალენსიელი ელდერ პოშტიგას დუბლი ბარსასთან საკმარისი არ აღმოჩნდა

● ტრანსფერი

„ჰალა მადრიდ“, - ესპანურად მიესალმა **გარეთ ბეილი** „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შეკრებილ პუბლიკას, როდესაც მადრიდის „რეალმა“ 24 წლის უელსელი კლუბის ახალ ფეხბურთელად წარადგინა და 11-ნომრიანი მაისურა გადასცა. ასე დასრულდა სატრანსფერო საგა, რომელიც თვეები გრძელდებოდა, გარეთ ბეილის ტრანსფერს, რომელიც ინგლისური წყაროების მტკიცებით (ოფიციალურად „რეალი“ არ იუწყება სატრანსფერო თანხას) მსოფლიოს ახალი რეკორდია, ბოლო დღეს, 2 სექტემბერს გაფორმდა. ბეილში „სამეფო კლუბმა“ 85.3 მილიონი გირვანქა სტერლინგი (ანუ 100 მილიონი ევრო) გადაიხადა. ეს კი 2009 წლის მსოფლიოს რეკორდის - **კრიშტიანო რონალდო** „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „რეალში“ (94 მილიონი ევრო) გადავიდა.

*„ტოტენჰემში“ 6 ფანტასტიკური წელიწადი გავატარე, ახლა კი წასვლის დროა“*, - განაცხადა ბეილმა, რომელმაც 2 სექტემბერს წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება და ჟურნალისტებსაც წარუდგა.

უელსელმა 6-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, ის კვირაში 300 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

*„რეალში“ თამაში ჩემი ოცნება იყო, რომელიც ასრულდა. მადლობა ყველას დიდებული დახვედრისთვის, ჰალა მადრიდ! ბევრს საუბრობენ ჩემს სატრანსფერო თანხაზე. მინდა ვთქვა, რომ „რეალში“ უსასყიდლოდაც გადმოვიდოდი“*, - განაცხადა მან პრესკონფერენციაზე, რომლის შემდეგაც მან „სანტიაგო ბერნაბეუს“ მინდვრის საფარი „დააგემოვნა“.

ბეილის პრეზენტაციას სტადიონზე „რეალის“ 20 ათასზე მეტი ფანი დაესწრო.

**გვერდი მოამზადა ნიკოლოზ ნეფარიძემ**




**დოსიე**

### გარეთ ფრენკ ბეილი

დაიბადა: 1989 წლის 16 ივლისს
დაბ. ადგილი: კარდიფი (უელსი)
სიმაღლე: 186 სმ.
პოზიცია: უნივერსალი

**კარიერა**

2006/07: საუთჰემპტონი - 40 თ, 5 გ
2007/2013 - ტოტენჰემი - 146 თ, 42 გ
უელსის ნაკრები: 41 თ, 11 გ



ინგლისი. პრემიერლიგა. III ტურის შეჯამება

# ორი დიდი დერბის ტური



ბენ არფამ ტურის ყველაზე ლამაზი გოლი გაიტანა

**პრემიერლიგის** მესამე ტური უჩვეულოდ დაბალშედეგიანი გამოდგა - 10 შეხვედრაში (ადრე გამართული „ჩელსი“-„ასტონ ვილას“ ჩათვლით) მხოლოდ 16 გოლი გავიდა. ამ სიტუაციაში, არც არის გასაკვირი, რომ დუბლიც კი არავის შეუსრულებია, ჰეთთრიკზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ტურის მთავარი მატჩები კვირას გაიმართა, როდესაც ჯერ „ლივერპული“ შეხვდა „მანჩესტერ იუნაიტედს“, შემდეგ კი ჩრდილოლონდონურ დერბიში ერთმანეთს „არსენალი“ და „ტოტენჰემი“ დაუპირისპირდნენ.

## ენფილდის წყევლა და შენქლის იუბილე

**დევიდ მოიესს** „ენფილდზე“ არასდროს უმარჯვია. შოტლანდიელ სპეციალისტს ამ სტადიონზე „ევერტონი“ სათამაშოდ 12-ჯერ ჰყავდა გაყვანილი, საიდანაც მისმა გუნდმა 7 თამაში წააგო და 5 ფრედ დაასრულა. ამჯერად, მოიესი ლივერპულში გაცილებით ძლიერი გუნდით დაბრუნდა, თუმცა გამარჯვება კვლავ ვერ მოიპოვა.

ინგლისური და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული დაპირისპირების გამარჯვებული „ლივერპული“ გახდა, რასაც თავისი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა - თამაშის მეორე დღეს ხომ მერსისაიდელთა ლეგენდარული დამრიგებლის, **ბილ შენკლის** დაბადების დღე იყო. შენკლი გუშინ 100 წლის გახდებოდა და ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს სიამაყით ჩახედავდა - „ლივერპული“ ხომ იმ ადგილზეა, რომელსაც ეს გუნდი სწორედ მან შეაჩვია.

შეხვედრის ერთადერთი გოლი **დანიელ სტარიჯმა** გაიტანა, რომელსაც დაბადების დღე ჰქონდა. დიახ, ინგლისის ნაკრების ფორვარდი 24 წლის გახდა და ბოლო 8 შეხვედრაში მე-9 გოლი გაიტანა. ამაზე უკეთეს საჩუქარს სტარიჯი საკუთარ თავს ნამდვილად ვერ გაუკეთებდა.

საბოლოოდ, „ლივერპულმა“ მესამე თამაშიც 1:0 მოიგო და აღსანიშნავია, რომ გუნდის სამივე გოლი სტარიჯმა გაიტანა. მერსისაიდელებმა პირველ სამი ტურში სამი გამარჯვება 1994 წლის შემდეგ პირველად მოიპოვეს, ხოლო მიჯრით სამჯერ კარი მშრალად აქამდე ბოლოს 2005 წელს ჰქონდათ შენახული.

## ლონდონელი ჟირუ

„ლივერპულს“ ვერ მიჰბაძა „ტოტენჰემმა“ - ლონდონელებს პირველი ორი მატჩი ასევე 1:0 ჰქონდათ მოგებული. მართალია, ამ ტურის შეხვედრაც ამ ანგარიშით დასრულდა, ოღონდ, სხვაობა ის იყო, რომ **ანდრე ვილაშ-ბოაშის** გუნდმა წააგო. „დეზების“ რიგებში დებიუტი ჰქონდა **ერიკ ლამელას**, თუმცა არგენტინელს მცირე დრო მიეცა და მან თავის გამოჩენა ვერ მოასწრო.

შეხვედრის ერთადერთი გოლი **ოლივიე ჟირუმ** გაიტანა - ფრანგმა **მაიკლ დოუსონს** დაასწრო და **უგო ლორისს** ახლო კუთხეში დაურტყა. პრემიერლიგის 20-ვე გუნდი ლონდონიდან რომ იყოს, ჟირუ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ულაპარაკოდ გახდებოდა, რადგან 26 წლის ფორვარდმა „არსენალში“ თავისი მე-14 გოლი გაიტანა, აქედან 12 მან „ემირეტსზე“ შეაგდო, თითო კი „აპტონ პარკზე“ და „ქრეივენ კოტეჯზე“. როგორც ხედავთ, „არსენალის“ თავდამსხმელს გოლები მხოლოდ ლონდონში გააქვს.

## სიტის გაუჭირდა

„მანჩესტერ სიტიმ“ „ჰალ სიტის“ გაჭირვებით მოუგო. **მანუელ პელეგრინის** შეგირდები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ სტუმრების წინააღმდეგობის გატეხა „სიტიმ“ მხოლოდ 65-ე წუთზე შეძლო - გოლი ცვლილებაზე შემოსულმა **ალვარო ნეგრედომ** გაიტანა, ვინც **პაბლო საბალეტას** გადაცემით ისარგებლა.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გამორჩეული იყო **იაია ტურე** - ივუარელი მოედნის ცენტრშიც აქტიური გახლდათ და შეტევაშიც ერთვებოდა. 90-ე წუთზე ტურემ საჯარიმო დარტყმა შეასრულა და ულამაზესი გოლიც შეაგდო.

მართალია, ინგლისის 2012 წლის ჩემპიონებმა სამი ქულა აიღეს, მაგრამ ფაქტია, რომ გუნდი დამაჯერებლად ვერ თამაშობს და თუ არ მოუმატა, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალიან გაუჭირდება.

## დაბნეული გებიდონი

„კრისტალ პალასმა“ სეზონში პირველი ქულები მოაგროვა. **იან ჰოლოვეის** ბიჭებმა **პაოლო დი კანიოს** „სანდერლენდს“ სძლიეს. მასპინძლებს დახმარების ხელი **ჯონ ოშიმ** გაუწოდა - ირლანდიელმა სულელური შეცდომა დაუშვა, რისი გამოსწორებაც ფეხებში ვარდნით სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. საბოლოოდ, პენალტი და წითელი ბარათი „მოიპოვა“. 11-მეტრიანი დაზარალებულმა **დუაიტ გეილმა** გამოიყენა, წერტილი კი შეხვედრას **სტიუარტ ოკიფიმ** ულამაზესი გოლით დაუსვა.

„სანდერლენდიდან“ თავის გამოჩენა **სტივენ ფლეტჩერმა** შეძლო - შოტლანდიელი ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ პირველ შეხვედრას ატარებდა. მოკლედ, სტივენ ფლეტჩერის გარდა, „შავი კატებიდან“ გოლის გატანა პრაქტიკულად არავის შეუძლია.

აუცილებლად უნდა ვთქვათ პირველ გოლზეც, რომელიც **დენი გებიდონის** ანგარიშზე ჩაიწერა. ვეტერანმა უელსელმა პრემიერლიგაში თავისი პირველი გოლი გაიტანა და ვერც კი მიხვდა, რომ ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის მომსწრე გახდა - 34 წლის მცველს ბურთი მოხვდა და სტუმართა კარში აღმოჩნდა, თავად გებიდონი კი **დიკგაჩოისკენ** გაიქცა და გოლს მას ულოცავდა.

## ბენ არფას ჯადო

ალან პარდიუს „ნიუკასლმა“ „ფულჰემი“ ბოლო წუთებზე წააქცია - **ატემ ბენ არფამ** მორიგი მინიშედევრი შემოგვთავაზა და საკუთარ გუნდს სეზონში პირველი გამარჯვება მოუტანა. ფრანგმა ამ ლონდონური კლუბის წინააღმდეგ მესამედ ითამაშა და მესამედაც გაიტანა.

„ნიუკასლს“, პოტენციურად, ნამდვილად კარგი შემადგენლობა ჰყავს, რომელსაც ხუთეულისთვისაც კი შეუძლია ბრძოლა, ოღონდ მაღალი მიზნების მისაღწევად, „ახალციხელებს“ მინიმუმ ერთი კარგი ფორვარდის დამატება და ლიდერების შენარჩუნება დასჭირდებათ.

ჰო, რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს შარშანდელი სიტუაციაც, როდესაც **პარდიუს** ლამის მთელი ძირითადი შემადგენლობა ტრავმირებული ჰყავდა.

## მსაჯობით უკმაყოფილონი

ფეხბურთში ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი გუნდის წარმომადგენლები მსაჯობით უკმაყოფილონი არიან, მაგრამ ძალიან იშვიათად ისეც ხდება, რომ არბიტრს ორივე გუნდის ხელმძღვანელ-ფეხბურთელები ერჩიან. ასეთ დღეში აღმოჩნდა გამოცდილი **ჰოვარდ ვები**, ვისთანაც პრეტენზიები „ნორვიჩის“ და „საუთჰემპტონის“ წარმომადგენლებს ჰქონდათ. პირველ ტაიმში მსაჯმა აშკარა პენალტი არ დანიშნა მასპინძელთა კარში - **ადამ ლალანას** დარტყმა **ბრედლი ჯონსონმა** ორი ხელით, გამოცდილი გოლკიპერივით მოიგერია.

მეორე ნახევარში კი ვებმა სტუმრები დაინდო, როდესაც **ჟოზე ფონტეს** და **რაიან სნოდგრასის** ეპიზოდი ყურადღების გარეშე დატოვა. ამ მომენტისთვის „იადონები“ 1:0-ს იგებდნენ. საბოლოოდ, მატჩი მათი გამარჯვებით დასრულდა, რის გამოც **კრის ჰიუტონი** არბიტრის შეცდომაზე შედარებით მშვიდად საუბრობდა, აი, **მაურისიო პოჩეტინო** კი გაცხარებული იყო...

გააბრაზეს **რობერტო მარტინესიც**. **ენტონი ტეილორმა** „ევერტონის“ სასარგებლოდ აშკარა 11-მეტრიანი არ დანიშნა და გარდა ამისა, დაინდო **კრეიგ ბელამი**, ვინც **ლეიტონ ბეინსს** სახეში ხელი ჩაარტყა. „უიგანის“ ყოფილი დამრიგებლის საქმეები ჯერჯერობით იდეალურად ნამდვილად არაა - მერსისაიდელებმა სამივე მატჩი ფრედ დაასრულეს.

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ტრანსფერი

## ვალტერ გარგანო ნაპოლიდან პარმაში გადავიდა

ურუგვაის ნაკრების 29 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ვალტერ გარგანო** სატრანსფერო ფანჯრის უკანასკნელ დღეს „ნაპოლიდან“ „პარმაში“ გადავიდა.

შეთანხმების თანახმად, გარგანო „პარმაში“ იჯარით ითამაშებს და თუ „სტადიო ენიო ტარდინიზე“ თავს გამოიჩენს, სრულყოფილ ხელშეკრულებასაც გააფორმებს.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელ სეზონში გარგანო იჯარით მილანის“ ინტერში“ თამაშობდა. „ნაპოლიში“ ფეხბურთელი 2007 წელს „დანუბიოდან“ გადავიდა.

ურუგვაელი 5-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, მას სანაკრებო პაუზის შემდეგ წარადგენენ, რადგან გარგანოს პერუსთან (6 სექტემბერი) და კოლუმბიასთან (10) მატჩები ელის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვალტერ გარგანო

ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. შეჯამება

# რიოში დანახული ნაკრები

## გაორებული გრძნობების ჩემპიონატი

რიო დე ჟანეიროში, მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლა ჩვენმა ვაჟთა ნაკრებმა სუსტად დაიწყო, მაგრამ ძლევამოსილად დაასრულა, ტრიუმფით მოიგო გუნდური პირველობა. თავი დავანებოთ იმას, რომ ფინალში რუსებს მოვუგეთ; იმასაც, რომ 0:2-დან ამოვქაჩეთ და 3:2 ვიმარჯვეთ, ნაკრებმა ჭიდაობის ძალიან კარგი ხარისხი აჩვენა. გუნდურში ისეთებიც გამოცოცხლდნენ, ინდივიდუალურში მთლად დამაჯერებლად რომ ვერ იასპარეზეს. ეტყობა, ამის მიზეზი თავად ტურნირის ფორმატშია – პირად პირველობაში თუ მხოლოდ საკუთარ თავზე ხარ დამოკიდებული და შენს შეცდომას ვერავინ გამოასწორებს, გუნდურში შეიძლება ეს სხვამ გააბათილოს. ამის მაგალითი ამ ტურნირზე უკლებლივ ყველა შეხვედრაში ვნახეთ, ხოლო რუსებთან ფინალი სულაც კლასიკური შემთხვევაა. მართალია, გუნდურში შენი შეცდომით საერთო საქმესაც აფუჭებ, ანუ სხვასაც ურთულებ მდგომარეობას, რაც დამატებითი ტვირთია, მაგრამ ვილაცის იმედი მაინც გაქვს, საკუთარ თავთან პირისპირ დგომა კი, ეტყობა, ბევრად ძნელია.

გუნდურისგან განსხვავებით, პირადმა პირველობამ გაორებული შეგრძნება და ბევრი საფიქრალი დაგვიტოვა – თავიდან ცუდად დავიწყეთ და პრობლემების უმეტესობაც აქ გამოჩნდა, მაგრამ ბოლოს საერთო სურათი მნიშვნელოვნად გამოსწორდა.



გამარჯვებული ნაკრები

### სტაბილურობიდან შედეგამდე

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მხოლოდ მეორედ შევძელით, მსოფლიოზე ერთბაშად ორი ფინალი გვეჭიდავა – პირველად ეს 2007-ში იმავე რიოში მოხდა. თუმცა ევროპის წლევანდელი ტრიუმფალური პირველობის დარად, მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** ამჯერადაც შემოგვთავაზა რეკორდი - 7 წონიდან 4-ში ნახევარფინალში ვიჭიდავეთ, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა. ეს ძალიან კარგია და უდავოდ მიანიშნებს გუნდის სტაბილურობაზე, მაგრამ ცუდია, რომ ამ 4 შესაძლო ჯილდოდან მხოლოდ 2 მოვიპოვეთ და მათ შორის არც ერთია ოქრო – უჩემპიონობა ლიდერებისთვის მიღწევა არაა. მით უფრო, რომ მეტი ნადვილად შეიძლებოდა და ბავშვური შეცდომებით წავაგეთ. ეს შედეგი საშუალო დონის ნაკრებისთვისაა წარმატება, მაგრამ არა ჩვენთვის. თუმცა მედალს მეორე მხრიდან თუ შევხედავთ, გუნდის ამ გამოსვლას ზემოხსენებული ნახევარფინალების სიუხვისა და სტაბილურობის გამო ვერც წარუმატებელს დავარქმევთ – საშუალოები ამდენს ვერ აღწევენ. ამიტომ ვამბობთ, რომ ძნელია, ერთნიშნად შეაფასო ნაკრების ასპარეზობა. საუკეთესო გზაა, მიღწევებთან ერთად ის ნაკლოვანებებიც დავინახოთ და გავაანალიზოთ, რამაც მართლაც ღირსეულ, ევროპის პირველობის სადარ გამოსვლაში ხელი შეგვიშალა – ამის მიზეზი სწორედ იმ პატარ-პატარა ხარვეზებშია.

ევროპის ჩემპიონატი სიძლიერით ბევრად ჩამოუვარდება მსოფლიოსას და უტოპია იქნებოდა იმაზე ოცნება, რომ რიოშიც გავიმეორებდით ბუდაპეშტში ნაჩვენებ შედეგს, სადაც 7 წონიდან 6-ის ფინალში ვიასპარეზეთ (იმ ერთ წონაში – 100-ში საერთოდ ჩავარდნა გვაქვს ანუ ყველა „ცოცხალ" წონაში ფინალში გავედით), ხოლო 9-დან 7-მა სპორტსმენმა მედალი მოიპოვა. თუმცა არსებობდა შიში – ხომ არ განმეორდებოდა ბოლო წლებში დამკვიდრებული ცუდი ტრადიცია, როცა სეზონის დასაწყისში ანუ ევროპის ჩემპიონატში კარგ გამოსვლას წლის ბოლოს, სეზონის მთავარ ტურნირებში – მსოფლიოს პირველობებსა და ოლიმპიადაზე საშინელი ასპარეზობა მოსდევდა? სიმართლე გითხრათ, პირველ 3 დღეში ეს ფიქრი არ მშორდებოდა იმის მიუხედავად, რომ ჭიდაობის ხარისხი ამჯერად ბევრად უკეთესი იყო და არა ადრინდელივით კატასტროფული. ბოლო დღეებმა ეს შიში გააქარწყლა, ძირითადად მსოფლიოს ახალი ვიცე-ჩემპიონების – **ავთანდილ ჭრიკიშვილისა** (81) და **ვალერი ლიპარტელიანის** (90) კარგი ჭიდაობით, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ გუნდი ევროპის პირველობაზე ბევრად უკეთ იყო მომზადებული. ევროპაზე თვით **ზებედა რეხვიაშვილიც** (73) კი, რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა კარგი ფიზიკური მომზადებით და მალე ილლებოდა, ბუდაპეშტში მშვენიერ ფორმაში იყო – არც იქანცებოდა, მშვენივრადაც სუნთქავდა, გამძლეობითაც სხვებს ალემატებოდა და არათუ კონკრეტული შეხვედრის ბოლომდე მყარად იდგა ფეხზე, მთელ შეჯიბრებას მშვენივრად გაუძლო. სამწუხაროდ, ახლა მასაც და სხვებსაც „ფიზიკაში" სერიოზული ხარვეზები გამოაჩნდათ. რიოში ჩვენს მთავარ პრობლემად გაურესებული ფიზმომზადება გამოჩნდა, თუმცა ბუდაპეშტში ბევრი ტაქტიკურადაც უკეთ ჭიდაობდა და – ჩოქბჯენშიც, ახლა კი ზოგი თითქოს არ უჯერებდა მწვრთნელს, ან დაგვიანებით რეაგირებდა მის შენიშვნებზე... არადა, როგორც უკვე ვთქვით, ევროპირველობა სიძლიერით ჩამოუვარდება მსოფლიოსას და ამიტომ ის უფრო ძლიერისთვის მზადების ეტაპად უნდა გამოვიყენოთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ევროპიდან მსოფლიომდე მზადების ეტაპი აღმავალი დინამიკისა უნდა იყოს – იქ მიღწეული დონე მსოფლიოსთვის აუცილებლად უნდა გააუმჯობესონ, თორემ ერთ ადგილზე გაჩერებაც კი ვერ მოიტანს შედეგს, არათუ უკან დახევა. თუმცა, როგორც გითხარით, ჩვენი ათლეტების გარკვეული ნაწილი ბუდაპეშტში უკეთ იყო მომზადებული (არ ვგულისხმობთ ტრავმირებულებს – **ლაშა შავდათუაშვილსა და ლევან ნიკლაურს**). ეტყობა, მზადების პროცესში მაინც გაიპარა რაღაც შეცდომები, რის გამოც გუნდი ფორმის პიკში ვერ შეხვდა მთავარ შეჯიბრებას. სამწვრთნელო შტაბმა უკეთ იცის, რაა გამოსასწორებელი და რა იყო შეცდომა. ეს მწვრთნელთა ამ გუნდისთვისაც სადებიუტო შეჯიბრება იყო და, ალბათ, ისინიც ბევრს დაინახავდნენ. მართალია, ყველა მათგანს დიდი გამოცდილება კი აქვს, მაგრამ ერთია ასაკობრივი ან თუნდაც უცხოური ნაკრები და მეორე – ქართული რეალობა, სადაც მათ ჩამოყალიბებულ ან ახლო მომავლის ვარსკვლავებთან უწევთ მუშაობა – ვარსკლავურ ნაკრებთან ურთიერთობა ხომ ორმაგად ძნელია. მათ იმაზეც უნდა იფიქრონ, რისი ბრალია ამდენი უნებლიე, ბავშვური შეცდომა. ძიუდო სპორტის საბრძოლო სახეობაა და აქ კრიტიკულ მომენტში სწრაფი აზროვნება გადამწყვეტია, რასაც ჩვენები ხშირად ვერ ავლენდნენ.

### პროგრესული დუეტი

საბედნიეროდ, რიოში პროგრესის მაგალითებიც ვნახეთ, თუმცა უფრო ცოტა. თუნდაც ჭრიკიშვილზე ვთქვათ - ფიზიკურად მაშინაც კარგ ფორმაში იყო, მაგრამ ახლა შეუდარებელ სისწრაფეს და რაც მთავარია, ჩინებულ კოორდინაციას ავლენდა. ეს წინასწარ ეტაპებზე იმდენად არა (იქ მეტოქეებმა სერიოზული საფრთხე ვერ შეუქმნეს), მაგრამ ნახევარფინალში რუსთა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონთან, ოლიმპიურ პრიზიორ **ივან ნიფონტოვთან** და ფინალში ფრანგ **ლოის პიეტრისთან** ნათლად გამოჩნდა – მათ რამდენჯერმე კატასავით შეუტრიალდა ჰაერში და ერთი შეხედვით, უიმედო სიტუაციიდან გაექცა. მეტოქეებს სერიოზულად უჭირდათ მისი დაგდება, თუმცა პიეტრისთან თავადაც გამოავლინა ხარვეზები, როცა დაუთმო პირველი ჩავლების უპირატესობა, ვერაფრით მოახვია თავს მისთვის ხელსაყრელი სტილი და ვერც თვითონ შეცვალა ჭიდაობა, როცა მეტოქე მის მცდელობას – აელო ზედა ჩავლება, ყოველთვის კისრულით პასუხობდა. ზემოხსენებული კოორდინაციის დამსახურებით, ამ მცდელობას უმეტესად გაექცა, მაგრამ ერთხელ მაინც მოჰყვა გდებაზე, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა. როგორ უნდა ეჭიდავა ფრანგთან, ეს გუნდურში დაგვანახვა, როცა თავისუფლად აულო 2 ვაზარი. ამასთან, მას „ლიპარტელიანის სინდრომიც" სჭირს – გული უფრო სანახაობრივ ჭიდაობაზე, ილეთებზე მიუწევს და არა შედეგზე. გუნდურში მონღოლ **ნიამ-ოშირ საინჯარგალთან** გაფრთხილებებით მოგება ისე განიცადა, ილეთზე ვერ დავაგდეო, ტატამიდან გასული უზნაძემ მსუბუქად დატუქსა, მთავარია, მოიგე და რა გაწუხებსო. თუმცა ის ჯერ 22 წლისაა და ასეთი რეაქცია გასაგებია - „სისხლი უდუღს". ეს პრობლემა წლების განმავლობაში აწუხებდა ლიპარტელიანს და, როგორც იქნა, წლეულს მოაგვარა. ევროპის ჩემპიონატთან შედარებით, ის ახლა ბევრად დადინჯებულია, უფრო ტაქტიკურად ჭიდაობს და აქცენტი შედეგზე გადააქვს – მან რიოში სხვაგვარი პროგრესიც გამოავლინა, მაგრამ უმთავრეს წინსვლად პრაგმატიზმი მიგვაჩნია. კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ გუნდურში მისი შეხვედრა უზბეკ **ერკინ დონიაროვთან**, როცა ჩოქბჯენში გაეკიდა თითქოს არაფრისმომცემ სიტუაციაში, საბოლოოდ კი შებოჭვას გამორჩა – ადრე ის არც იფიქრებდა ჩოქბჯენში ჩაყოლას.

ზემოთქმულიდან ერთი დასკვნის გაკეთებაც შეიძლება – ევროპის პირველობის შემდეგ ვისაც პროგრესი ჰქონდა, წარმატებაც მოიპოვა, ხოლო ვინც თუნდაც ნახევარი ნაბიჯი გადადგა უკან, წააგო.

### მომავლის ნაკრები

დასასრულს, ერთ მომენტზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება – როგორც უნდა შევაფასოთ რიოში გამოსვლა (ვინ წარმატებად მიიჩნევს, ვინ – წარუმატებლობად), ფაქტია, რომ ძალიან ახალგაზრდული და პერსპექტიული გუნდი გვყავს. რიოში ყველაზე უფროსი **ნიკლაური** იყო – 27 წლის, დანარჩენები კი 25 წლისები ან უფრო უმცროსები არიან. მათ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ აქვთ. უბრალოდ, ერთი ტურნირის წაგებით ნურავის ჩამოვწერთ. უპირველესად, **შავდათუაშვილს** ვგულისხმობთ, რომელიც ტრავმირებული ჭიდაობდა. **ჭრიკიშვილი** 22 წლისაა, **ლიპარტელიანი** – 24-ის, მაგრამ თავიანთ წონებში უკვე ფავორიტებად იქცნენ. წაგების მიუხედავად, ასეთთა შორის უნდა მივიჩნიოთ 21 წლის შავდათუაშვილიც. 24 წლისაა **ოქრუაშვილიც, ამირან პაპინაშვილი** (60) – 25-ის, **ნუგზარ ტატალაშვილი** (73) და რეხვიაშვილი –22-22-ის, მაგრამ ისინიც წონის ლიდერებში ტრიალებენ. ამას იმის ხაზგასასმელად ვამბობთ, რაოდენ ძლიერია ჩვენი გუნდი, მაგრამ აქვე ახალგაზრდული ნაკრების ბოლო წლების შედეგებიც გავითვალისწინოთ, კარგი ბიჭები მოდიან იქიდან, ეს კი უახლოეს სეზონშივე აუცილებლად აამაღლებს შედეგებს. მთავარია, ერთმა წარმატებამ სხვა ნაკლოვანებები არ გადაფაროს ანუ დაშვებული შეცდომები დავინახოთ და გავაანალიზოთ.

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის მილოცვა**

ვულოცავ ჩვენს საამაყო ძიუდოისტებს, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ძიუდოში მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვებას და ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას.

ვულოცავ ამ გამარჯვებას თითოეულ მოასპარეზეს - ამირან პაპინაშვილს, ლაშა შავდათუაშვილს, ნუგზარ ტატალაშვილს, ზებედა რეხვიაშვილს, ავთანდილ ჭრიკიშვილს, ლევან ნიკლაურს, ვარლამ ლიპარტელიანს, ლევან ჟორჟოლიანს, ნოდარ მეტრეველსა და ადამ ოქრუაშვილს.

ვულოცავ ამ ბრწყინვალე გამარჯვებას ნაკრების მთავარ მწვრთნელს ირაკლი უზნაძეს, მწვრთნელებს გიორგი ვაზაგაშვილსა და დავით ასუმბანს და მადლობას ვუხდი მათ ასეთი გუნდის მომზადებისათვის.

მადლობა ყველას ჩვენი გახარებისთვის.

მჯერა, ჩვენი სახელოვანი ძიუდოისტები კვლავაც არაერთ გამარჯვებას მოიპოვენ და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ამაყად ააფრიალებენ საქართველოს დროშას.

ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო", ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი და ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ჩემპიონთა კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატის გუნდურ პირველობაში ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებ გუნდს, თითოეულ ფალავანს და მწვრთნელთა შტაბს.

მრავალჟამიერ, ბიჭებო!

მშვილდოსნობა. ბათუმის საერთაშორისო ტურნირი

# მშვილდოსანთა ბათუმური უქმეები

ამ უქმეებზე ბათუმმა მე-19-დ უმასპინძლა მშვილდოსანთა საერთაშორისო ტურნირს, რომელიც წლეულს უჩვეულოდ ხალხმრავალი გამოდგა – დაახლოებით 80-მდე სპორტსმენი გამოდიოდა. გაიზარდა მონაწილეთა გეოგრაფიაც. ტრადიციულ სტუმრებს – თურქებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს ახლა ყაზახებიც დაემატნენ, მასპინძლები კი რამდენიმე გუნდით გამოდიოდნენ – საკუთრივ ბათუმი, ხელვაჩაური, თბილისი, ქუთაისი. თურქები მოზრდილი, 15-კაციანი გუნდით ჩამოვიდნენ, რომელთა შორის საქართველოდან წასული **ნატო ნასარიძეც** იყო. სამაგიეროდ, მასპინძელთაგან არ გამოსულან **ხათუნა ნარიმანიძე** და **ასმათ დიასამიძე**, მასპინძელთა სხვა ლიდერები კი გამოდიოდნენ – მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა**, უკრაინიდან გადმოყვანილი **იულია ლობჟანიძე, ლაშა ფხაკაძე**...

ქალთა შორის მთავარი ლიდერების არყოფნის მიუხედავად, ოქროს მედალი მაინც მასპინძლებს დარჩათ – **იულია ლობჟანიძემ** მოიპოვა, რომელიც თბილისიდან ხელვაჩაურში გადავიდა სავარჯიშოდ და ახლაც მათი სახელით გამოვიდა. მან მოიგო საკვალიფიკაციო ეტაპი 639 ქულით. 630-ით მეორეზე ყაზახი **ელენა ლი** გავიდა, მესამეზე – ესებუა 626-ით. ნასარიძე მეექვსე იყო 578-ით. გამოჩნდნენ ახალი სახეებიც - თბილისელი **ნინი მეკოკიშვილი** მე-7-ზე გავიდა 551 ქულით, ბათუმელი **მარიკა მახარაძე** – მე-11-ზე 537-ით, ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების წევრები კი მათ გვარიანად ჩამორჩნენ.

პლეი ოფში ყველაზე უკეთ ლობჟანიძემ და ყაზახმა ლიმ ისროლეს. ფინალშიც ისინი გავიდნენ, სადაც ლობჟანიძემ 132:126 მოიგო და ოქროსაც დაეუფლა. ბრინჯაო ესებუამ მოიპოვა, რომელმაც საამისოდ აზერბაიჯანელი **სვეტლანა სიმონოვა** დაამარცხა.

ვაჟებში ოქრო ყაზახმა **ტამერლან ბაიგალიევმა** მოიგო, რომელიც შესარჩევში VIII იყო 598 ქულით. მან ფინალში ქუთაისელ **ჯაბა მოსეშვილს** მოუგო, ბრინჯაო კი ისევ ყაზახმა **კონსტანტინ კიმმა** დაისაკუთრა.

შერეულ წყვილებში გამარჯვება ფხაკაძისა და ესებუას თბილისურმა დუეტმა მოიპოვა, მეორეზე ხელვაჩაურელები გავიდნენ – **მამუკა შუშაძე** და ლობჟანიძე, მესამეზე – ბაიგალიევისა და ლის ყაზახური წყვილი.

ქალთა შორის გუნდური პირველობა თბილისის გუნდმა მოიპოვა – ესებუა, **ნინი მეკოკიშვილი, თეონა კუტალაძე**. ვერცხლი თურქების იმ გუნდმა მოიპოვა (მათ რამდენიმე გუნდი ჰყავდათ), რომელშიც ნასარიძეც შედიოდა, ბრინჯაო კი აზერბაიჯანელებმა დაისაკუთრეს.

ვაჟთა გუნდურში როლები გაიცვალა – ფინალში თურქებმა თბილისს აჯობეს (ფხაკაძე, **ზურაბ მესტვირიშვილი, გიორგი მეჟევიძე**), ბრინჯაოს კი ყაზახები დაეუფლნენ.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძემ**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# ხვედურელი ბოლოთაშვილის ხვედრი

ზემო ხვედურეთი (ქარელის რაიონი) საქართველოს ორგზის ფალავნის და სამბოში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ჯემალ მჭედლიშვილის მშობლიური სოფელია. ქართული ჭიდაობის ფედერაციამ ახალი საჭიდაო არენა 31 აგვისტოს თრიალეთის ქედის უბეში გაშენებულ სწორედ ამ ლამაზ სოფელში გახსნა. *„როდესაც დადგა საკითხი თუ სად უნდა გაკეთებულიყო ახალი საჭიდაო არენები, ერთ-ერთი, სადაც მისი აგება მალვე გადაწყდა, ზემო ხვედურეთი იყო. შეგახსენებთ, რომ ქარელის რაიონს ქართულ ჭიდაობაში ხუთი აბსოლიტური ფალავანი ჰყავს აღზრდილი და თანაც ამ სოფელშიც ხომ ჭიდაობა ხალხსაც ტრადიციულად ძალიან უყვარს“* - გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა **გელა ბერუაშვილმა.** ახალგახსნილი სარბიელის ადგილზე, რომელსაც **ჯემალ მჭედლიშვილის** სახელი ენოდა, აქამდე მარტივი ტიპის ნახერხის საჭიდაო იყო. მჭედლიშვილთან ერთად აქ ადრე მეზობელი სოფლებიდან ჩამოსული სახელოვანი ფალავნები **შოთა ჩოჩიშვილი, კობა კურტანიძე, მალხაზ და გელა ბერუაშვილები, თემურ ხუბულური** პირველ ნაბიჯებს დგამდნენ სპორტის საყვარელ სახეობაში. სარბიელის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრების მონაწილენი ძირითადად შიდა ქართლიდან იყვნენ, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე თელაველ სპორტსმენს, რომელთაც საპრიზო ადგილამდე ვერ მიაღწიეს. შეჯიბრება აბსოლუტურ წონაში გამართული საკმაოდ დაძაბული და საინტერესო შეხვედრებით გამოირჩა. მართალია, ამჯერად ნაკლებად ფიქსირდებოდა სუფთა გამარჯვებები, მაგრამ სამაგიეროდ საუკეთესოები ქულათა მცირე უპირატესობით უშელავათო ბრძოლებში იგებდნენ შეხვედრებს. ნიშანდობლივია, რომ აბსოლუტურში სუფთა გამარჯვებით დასრულებულ ორივე დაპირისპირებაში **სოსო გუზიტაშვილს** (გორი) და **გიორგი ბოლოთაშვილს** (ზემო ხვედურეთი) შესაბამისად **გიორგი ხუციშვილის** (გორი) და **კახა გაზაშვილის** (ქარელი) ბეჭებზე გასაკრავად ათ-ათი წამი ეყოთ! ფინალში გასულმა ადგილობრივმა ფალავანმა გიორგი ბოლოთაშვილმა და **გიორგი ნოზაძემ** (ხაშური) დანარჩენ პაექრობებში ქულათა მინიმალური სხვაობით სძლიეს მეტოქეებს და მათ შორის გამართულ გადამწყვეტ, უკიდურესად დაძაბულ შეხვედრაშიც ბოლოთაშვილმა თავგანწირულად იბრძოლა და ერთი ქულით მაინც აჯობა მოწინააღმდეგეს. ამ უკანასკნელმა ფინალში გადასასვლელ ეტაპზე ვარიანელ **უტა კოკაურს** მოუგო, ხოლო ნოზაძემ რუისელ **პაატა ღვინიაშვილს.** არადა, ნახევარფინალში ორივე დამარცხებული სპორტსმენი შეჯიბრების აშკარა ფავორიტთა შორის იყო. სამწუხაროა, რომ ღვინიაშვილის გამოუცხადებლობის გამო მათი დაპირისპირება მესამე ადგილის მოსაპოვებლად არ შედგა. სხვა წონებში აღსანიშნავი იყო **ლაშა გიუნაშვილის** (60 კგ) მრავალფეროვანი ჭიდაობა. **ზურაბ ნოზაძის** (70 კგ, ხაშური) მიერ უკვე მერამდენედ მოგებული შეჯიბრება. ორი ზვიადის - **კაპანაძისა** (ქარელი) და **ბაზანდარაშვილის** (გორი) მორიგი პრინციპული დუელი 80 კგ-ის ფინალში, რომელიც ისევე როგორც ერთი კვირის წინათ - კაპანაძის გამარჯვებით დასრულდა.


უტა კოკაური

ალსანიშნავია, რომ ამ დღეს ავდარი იდგა, რამაც, ცხადია, ხელი ველარ შეუშალა ასპარეზობას. არადა, წვიმის მიზეზით ჩაშლილი ტურნირები უწინ არაერთხელ გვინახავს. შარშანაც შეჯიბრება ზემო ხვედურეთში სწორედ წვიმის გამო შეწყდა და მონაწილეები და მაყურებლები მის გასაგრძელებლად რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ქარელის სასპორტო სკოლაში ჩავიდნენ.

შეჯიბრებას ბევრი სახელოვანი ფალავანი და მწვრთნელი სტუმრობდა, რომელთა გამოჩენას მაყურებელი ოვაციით ეგებობდა, მაგრამ ყველაზე დიდი აპლოდისმენტები 19 წლის გორელი გოლიათის, თავისუფალ ჭიდაობაში ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონის ახალგაზრდებს შორის **გენო პეტრიაშვილის** სტუმრობამ გამოიწვია.

**ქვარცხლბექი**

**60 კგ.** 1. ლაშა გიუნაშვილი (ქარელი), 2. ლაშა ჩადუნელი (ხაშური), 3. რამაზ გუგულაშვილი (კასპი).

**70 კგ.** 1. ზურაბ ნოზაძე (ხაშური), 2. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი), 3. შალვა მურაჩაშვილი (გორი).

**80 კგ.** 1. ზვიად კაპანაძე (ქარელი), 2. ზვიად ბაზანდარაშვილი, 3. გიორგი პაპუნაშვილი (ორივე - გორი).

**აბსოლუტური.** 1. გიორგი ბოლოთაშვილი (ზემო ხვედურეთი), 2. გიორგი ნოზაძე (ხაშური), 3. უტა კოკაური (ვარიანი).

შეჯიბრების ორგანიზება და საუკეთესოების თანხით დაჯილდოება ქართული ჭიდაობის ფედერაციამ, ქარელის რაიონის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანებამ (**გია ბერუაშვილი**) და ხვედურეთის თემის (გამგებელი **ედუარდ ცხოვრებაშვილი**) ხელმძღვანელობამ ერთობლივად უზრუნველყვეს. პერსონალური პრიზი აბსოლუტურ წონაში გამარჯვებულს ადგილობრივი ტაძრის წინამძღვარმა **მამა ექვთიმემაც** გადასცა.

**ვასილ ბალახაძე**
ზემო ხვედურეთიდან
ფოტო: www.qartlisport.ge

ამბები

**ჭადრაკი**

## ლიჩელი, დაუმარცხებლად პირველზე

შვიდი მოგება და ორი ყაიმი - ასეთი შედეგით დაასრულა ასპარეზობა (143 მონაწილე) დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) მე-12 ახალგაზრდულ საჭადრაკო ფესტივალზე **ლიკა ლიჩელმა.** ქართველი მოჭადრაკე მე-7 ტურში აზერბაიჯანელ **რუსტამ ბანიატოვს,** მეცხრეში კი ირანელ **სიავოშ ვოიდანის** დაუზავდა, მოაგროვა 8 ქულა და სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. მთავარ პრიზთან ერთად მან რეიტინგი 51,3 პუნქტით გაიმდიდრა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები რუსტამ ბანიატოვმა, **აბდულა გადიმბაილიმ** (ორივე-აზერბაიჯანი) და სიავოშ ვოიდანიმ გაინაწილეს.

ფესტივალში მონაწილეობდა **გურამ კოკაიაც.** მან 6 მოგებით, ორი ყაიმითა და ერთი წაგებით 7 ქულას მოუყარა თავი, რაც მეექვსე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. გურამმა საკუთარ რეიტინგს 12,9 პუნქტი შესძინა.

**ცურვა**

## დუბაის დაემშვიდობა

ქართველმა სპორტსმენმა **თეიმურაზ კობახიძემ** (მწვრთნელი **მანა თურქია**) დუბაიში მოცურავეთა მსოფლიოს მე-4 ახალგაზრდული პირველობის ბოლო დღეს 200 მეტრზე ბატერფლაითაც მოსინჯა ძალები. 46 მონაწილეს შორის მას 2.05,69-ით 22-ე ადგილი ერგო.

შეგახსენებთ, რომ კობახიძემ 50 მეტრზე ბატერფლაით 41-ე (25,84), ამავე დისციპლინაში 100 მეტრზე 29-ე (56,18), 100 მეტრზე თავისუფალი ყაიდით 54-ე (53,44) და 50 მეტრზე ბრასით 39-ე (30.11) ადგილები დაიკავა.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ვაჟები შინ, ქალები სტუმრად

თელავში დაიწყო ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი), რომელშიც ქართველი სპორტსმენები მრავლად არიან წარმოდგენილი. ექვსი მათგანი საკვალიფიკაციო ეტაპზე იბრძოდა ძირითად ბადეში მოსახვედრად. ამოცანას მხოლოდ ორმა გაართვა თავი წარმატებით: **გიორგი რევაზიშვილმა** ჯერ უკრაინელი არტიომ ვუ (6:1, მეორეში ანგარიში იყო 4:1, მეტოქემ ტრავმის გამო ბრძოლა რომ შეწყვიტა), შემდეგ კი რუსი ალექსანდრ კუნინი ჩამოიშორა (6:2, 6:3) გზიდან. თბილისელი **სურენ ვართანიანი** პირველ წრეში თავისუფალი იყო, მეორეში ანდრეა ატრიკეს (იტალია) აჯობა - 3:6, 7:5, 7:5. **გიორგი დათაშვილმა** სლავკო ბელიცასთან (სერბეთი) წააგო - 1:6, 3:6, ამ უკანასკნელმა რობერტ ჩაჩავა-რობასაც გადაუკეტა ძირითადი ბადისკენ მიმავალი გზა. თბილისელი **კარენ სარქისიანი** კი ხორვატ ტონი ანდროიჩს დანებდა - 0:6, 0:6.

გუშინ პირველი წრის შეხვედრები გაიმართა: **ალექსანდრე მეტრეველმა** „უალდ ქარდით“ მიწვეული თანამემამულე **ალექსანდრე ბაკში** დაამარცხა - 6:2, 6:1. კვალიფიკაციიდან ამოზრდილმა რევაზიშვილმა მაქსიმ დმიტრიევთან (რუსეთი) წააგო - 2:6, 3:6. დანარჩენი შეხვედრები: სურენ ვართანიანი - აზიზ ავლოევი (რუსეთი), **მიხეილ ხმიადაშვილი** - არკადიუშ კოსულა (პოლონეთი), შოთა მეფარიძე - რომაინ არნეოდო (საფრანგეთი), **გიორგი ციცაძე** - რონალდ სლობოდჩიკოვი (რუსეთი), **გიორგი ჯავახიშვილი** - მარატ დევიატიაროვი (უკრაინა) დღეს გაიმართება.

წყვილებში ითამაშებენ: **შოთა მეფარიძე**, ალექსანდრე მეტრეველი (ორივე - საქართველო) - არკადიუშ კოსულა, ბლაზეჯ კონიუში (პოლონეთი), მიხეილ ხმიადაშვილი (საქართველო), იური კრივოი (უკრაინა ) - კონსტანტინ გერლახი, მიხაილ ხალდეევი (რუსეთი), **დავით კვერნაძე** (საქართველო), მაქსიმ დმიტრიევი (რუსეთი) - დენის ბორისოვი, რონალდ სლობოდჩიკოვი (რუსეთი), ალექსანდრე ბაკში, გიორგი ჯავახიშვილი (საქართველო) - მარატ დევიატიაროვი (უკრაინა), ალექსიოს ჰალებიანი (აშშ), ტონი ანდროიჩი (ხორვატია), გიორგი ციცაძე (საქართველო) - რომაინ არნეოდო (საფრანგეთი), ბენჟამინ ბალერეტი (ჩერნოგორია).

■ ■ ■

ტრაბზონში ჩოგბურთელ ქალთა 50.000-იანი ტურნირის ერთეულთა თანრიგის საკვალიფიკაციო ბადეში **თამარ ჭალაგანიძე** სტარტზევე დამარცხდა ემილი ვებლი-სმითთან (ბრიტანეთი) 2:6, 0:6, წყვილებში კი სომეხ ანი ამირაგიანთან ერთად მესამე ნომრად განთესილ უკრაინელებს - იულია დეიგელზიმერსა და მარინა ზანევსკას დაუპირისპირდა და აქაც წააგო.

■ ■ ■

იტალიურ მესტრეში **მარგალიტა ჩახნაშვილიც** ქალთა სართაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) საკვალიფიკაციოში ჩაება. პირველ წრეში იოლად სძლია მასპინძელ კოსტანცა ზანონის (6:0, 6:0), მეორეში სარა ეკელი (იტალია) ელოდა. პირველ სეტში მასპინძელმა ჩვენებურს იოლად აჯობა, მეორეში, როცა კონსტანცა 4:1 დაწინაურდა, ჩახნაშვილმა ტრავმა მიიღო და ასპარეზობას გამოეთიშა.

■ ■ ■

ყაზანიდან მოსკოვის 25.000-იან ტურნირში გადაინაცვლა **სოფიო შაფათავამ.** პირველ წრეში იგი ჩინელ იი იანს გაუწევს მეტოქეობას. წყვილებში იულია კალაბინასთან (რუსეთი) შეამხანაგებული მე-4 ნომრადაა განთესილი და ამინატ კუშხოვა (რუსეთი)-განა როზნიხირენკოს (უკრაინა) დუეტთან გაარკვევს ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**


სოფიო შაფათავა

თვის მონაგარი

**აგვისტო**

**1. ფეხბურთი.** ევროპალიგის III საკვალიფიკაციო ეტაპზე გორის „დილამ“ სტუმრად დაამარცხა ხორვატული „ჰაიდუკი“ - 1:0.

**3. ჭადრაკი.** ევროპის ჩემპიონატზე **სალომე მელიამ** ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**3-4. ძიუდო.** ბერლინის ახალგაზრდულ მსოფლიო თასზე ქართველმა ძიუდოისტებმა ჯამში 10 მედალი დაიმსახურეს.

**6. ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში თბილისის „დინამო“ სტუმრად 1:1 დაუზავდა „სტიაუას“ და ევროპალიგაზე გადაერთო.

**7. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში იტალიასთან 69:85 წააგო.

**8. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში პოლონეთთან 75:87 წააგო.

**8. ფეხბურთი.** ევროპალიგის III საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში გორის „დილამ“ ხორვატული „ჰაიდუკი“ 1:0 დაამარცხა და პლეი ოფში გავიდა.

**8-10. ძიუდო.** მაიამიში მსოფლიოს ჩემპიონატზე კადეტებში **კობა მჭედლიშვილი** (66 კგ) ჩემპიონი გახდა, **მარიამ ჯანაშვილმა** (52 კგ) და **თამაზ კირაკოზაშვილმა** (73კგ) ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

**9. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში ისრაელს 79:77 მოუგო.

**10. ფეხბურთი.** დაიწყო საქართველოს XXV ჩემპიონატი.

**13. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში ბოსნიასთან 63:68 წააგო.

**14. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში ბოსნიას 81:78 მოუგო.

**14. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე **შმაგი ბოლქვაძემ** (66 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**14. ფეხბურთი.** საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სტუმრად ყაზახეთთან ამხანაგური მატჩი წააგო - 0:1.

**14. ფეხბურთი.** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლატვიის ნაკრები სტუმრად ამხანაგურ მატჩში გაანადგურა - 4:0.

**16. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში სერბეთი 75:71 დაამარცხა.

**17. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში საფრანგეთთან 71:86 წააგო.

**17-18. თავისუფალი ჭიდაობაში** მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო **გენო პეტრიაშვილმა** (120 კგ), **დავით ბუზიაშვილმა** (66) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო **ბექა ბუჯიაშვილმა** (55) და **შოთა ფარტენაძემ** (60) - ბრინჯაოსი.

**18. ჩოგბურთი.** აპიანოს (15 ათასი) საერთაშორისო ტურნირი **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** მოიგო.

**20. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში** ჭაბუკებში **ზვიად პატარიძე** (100 კგ) ჩემპიონი გახდა, **ლევან ქავჟარაძემ** (58) კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**22. ფეხბურთი.** ევროპალიგის პლეი ოფში თბილისის „დინამო“ შინ 0:5 დამარცხდა „ტოტენჰემთან“, ხოლო „დილამ“ სტუმრად „რაპიდთან“ 0:1 წააგო.

**24-25. თავისუფალი ჭიდაობაში** მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭაბუკებში **რამაზ ზოიძემ** (58 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, **ირაკლი მხეიძემ** (50) და **გივი მაჭარაშვილმა** (100) - ბრინჯაოსი.

**25-26. ძალოსნობა.** დუშეთში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი.

**26. ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატზე **ამირან პაპინაშვილმა** (60 კგ) მე-5 ადგილი დაიკავა.

**26. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრები ტესტმატჩში ისრაელს შეხვდა სტუმრად და 74:73 მოუგო.

**27. ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატზე **ლაშა შავდათუაშვილი** (66 კგ) მე-3 ეტაპზე დამარცხდა.

**28. ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატს **ნუგზარ ტატალაშვილი** და **ზებედა რეხვიაშვილი** (73 კგ) მე-3 ეტაპიდან გამოეთიშნენ.

**28. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრები ტესტმატჩში ისრაელს შეხვდა სტუმრად და 75:77 დამარცხდა.

**29. ფეხბურთი.** ევროპალიგის პლეი ოფში თბილისის „დინამომ“ სტუმრად 0:3 წააგო „ტოტენჰემთან“. ასეთივე ანგარიშით „დილა“ შინ „რაპიდთან“ დამარცხდა. ორივე გუნდი ევროთასებს ჩამოშორდა.

**29. ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატზე **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო **ლევან ნიკლაურმა** (81 კგ) მე-2 ეტაპზე წააგო.

**30. ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატზე **ვარლამ ლიპარტელიანმა** (90 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**31. ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატზე **ლომერ ყორყოლიანმა** (100 კგ) მე-2 ეტაპზე წააგო, **ადამ ოქრუაშვილი** (100კგ+) მე-5 ადგილზე გავიდა.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ინტერვიუ თემურ ბენდიაშვილთან

# უძლეველი გუნდები არ არსებობენ

**ქართული** რაგბის ფლაგმანი თბილისის „ლოკომოტივი" გასულ სეზონში მისთვის უჩვეულო, მეექვსე ადგილს დასჯერდა. კლუბისთვის, რომლისთვისაც, პირველი ადგილის გარდა, ყველა სხვა წარუმატებლობად მიიჩნევა, ცხადია, ეს ძალიან ცუდი შედეგი იყო. რკინიგზელები საქართველოში ყველაზე ტიტულოვანნი არიან და, სავარაუდოდ, წლეულსაც უმაღლესი სინჯის ჯილდოსთვის იბრძოლებენ. გუნდი მუდმივად გამოირჩეოდა სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თამაშის ხელწერით. შეძლებს თუ არა „ლოკომოტივი" მის შენარჩუნებას და რა გეგმები აქვს სამომავლოდ, ამის თაობაზე გუნდის მთავარ მწვრთნელს თემურ ბენდიაშვილს ვესაუბრეთ.



ბურთით ვახტანგ კავთიძე

**- გასული სეზონი „ლოკომოტივისთვის" წარუმატებელი გამოდგა. მეექვსე ადგილი ის არ არის, რისთვისაც გუნდი მუდმივად იბრძვის. რამ გამოიწვია ასეთი მკვეთრი ჩავარდნა?**

- ყველანაირ ჩავარდნას თავისი ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს. ის ყალიბდება მოთამაშეების დამოკიდებულებით ერთმანეთის, ვარჯიშისა და მწვრთნელების მიმართ. როცა გუნდი ერთ მუშტადაა შეკრული, როცა ვაჟკაცური და პატიოსანი სულისკვეთებაა გამეფებული, ყველანაირი წინააღმდეგობის დაძლევაა შესაძლებელი. ეს ყველაფერი რომ გვქონოდა, ზოგიერთ ისეთ თამაშს, რომელიც შარშან წავაგეთ, არაფრით დავთმობდით.

წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ტრავმების გამო გუნდის ლიდერი ბობა კვინიხიძე დაგვაკლდა. ამან გამოიწვია დალაგებული ურთიერთობის არევა. მწვრთნელებმა ვერ შევძელით ისეთი ლიდერის მონახვა, რომელიც მის ფუნქციებს შეითავსებდა. ლიდერი ზოგადად არის სამი სახის. პირველი, ის თვითონ არის ვარსკვლავი. მეორე, ლიდერს შეუძლია თანაგუნდელებს განწყობა აუმაღლოს, უფრო შემართებით ათამაშოს, და მესამე, ლიდერი, რომელიც თამაშს ალაგებს, წარმართავს. ბობა კვინიხიძე ამ სამივე თვისების მატარებელი იყო. ეს ყველაფერი რომ მოიშალა, ვერ შევძელით ისეთი ადამიანის მონახვა, ვინც ლიდერობას იკისრებდა.

ამასთან ერთად, ისევე როგორც ყოველთვის, გასული სეზონის წინაც გვქონდა ფინანსური პრობლემები. რამდენიმე მოთამაშემ გუნდი დატოვა. ეს ჩვეულებრივი ამბავია, ასეთი რამ წარმატებული სეზონის დროსაც ხდებოდა. მთავარი კი ის არის, რაც ზემოთ მოგახსენეთ.

**- წლევანდელი სეზონის წინ კლუბების უმრავლესობა რთული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. თუმცა, მათ შორის თქვენ არ იყავით, რადგან სპონსორის მოძიება შეძელით...**

- სახელმწიფო წლეულს ყველა გუნდს დაეხმარა. ეს დროული აქცია იყო. ცხადია, თანხის რაოდენობა არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ ახალგაზრდა მორაგბე პროფესიონალი გახდეს, მაგრამ გუნდის არსებობისთვის. სასიხარულოა, რომ ათწლიანი შესვენების შემდეგ „ლოკომოტივი" რკინიგზას დაუბრუნდა. ამ დარგის ამჟამინდელი ხელმძღვანელი მამუკა ბახტაძე ყოფილი მორაგბეა და მის მიერ მიღებული ეს პატრიოტული გადაწყვეტილება, „ლოკომოტივს" დაეხმაროს, ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

**- რამდენიმე წლის წინათ თქვენს კლუბს დიღომში არსებული „ლოკომოტივის" საწვრთნელი ბაზა გადაეცა. რა მდგომარეობაშია ამჟამად ეს ნაგებობა?**

- სავარჯიშო პირობები კარგი გვაქვს. თუმცა, ვიცი, რომ ამ ბაზის რეკონსტრუქცია „ფონდ ქართუს" რაგბის განვითარების პროგრამაში აქვს შეტანილი და ველოდებით სამუშაოების დაწყებას.

**- მომავალი სეზონისთვის ამ ბაზაზე ემზადებით?**

- დიახ, ვარჯიში ჯერ კიდევ 10 ივლისიდან დავიწყეთ. ახლახან ორკვირიანი საწვრთნელი შეკრება დაბა ურეკში გავმართეთ. იქვე ორი საკონტროლო თამაში ჩავატარეთ „ბათუმთან" და ქუთაისის „აიასთან". ექსპერიმენტული შემადგენლობით თამაშში და ორივე მატჩი წავაგეთ. მორაგბეები მოტივირებულნი არიან. თავდადებას ვერ დავუწუნებ, მაგრამ ტაქტიკური გადაადგილება რომ მოახერხონ და თამაშის მონახაზი შეასრულონ, ტექნიკისა და სწრაფი გადაწყვეტილების მიღების სინთეზია საჭირო. ეს დარღვეულია. რამდენიმე მოთამაშეს, რომლებსაც საკვანძო პოზიციებზე მოუწევთ გარჯა, ტექნიკური არსენალი აქვთ გასამდიდრებელი.

**- სეზონებს შორის შესვენებისას რა ცვლილებებია გუნდში?**

- გუნდი სამმა მორაგბემ დატოვა. ზვიად მაისურაძე და ირაკლი ლვინჯილია „არმიაში" გადაბარგდნენ. ზურაბ კორკოტაძე კი, „ჯიქებში" გადავიდა. „ლოკომოტივში" თამაშის სურვილი გამოთქვეს „ჯიქების" მორაგბეებმა ჯაბა კიკვიძემ და ალეკო ზაბახიძემ. „ლელოდან" მგეზავი გოდერძი ჭინჭარაული დავიმატეთ. რუსთავის „ხარებიდან" მეორეხაზელი რატი ხარძიანი მოვიწვიეთ, ხოლო ქუთაისის „აიადან" ლევან თხელიძე და ჯემალ ვასაძე შემოგვიერთდნენ.

**- ამ შემადგენლობით, რაც ამჟამად „ლოკომოტივს" ჰყავს, რა პოტენციალი გააჩნია გუნდს, შეუძლია ჩემპიონობისთვის იბრძოლოს?**

- დიახ, ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. შარშან, მაგალითად, მინიმუმ მესამე ადგილის დაკავება შეგვეძლო. ვფიქრობ, რეალურად შეგვიძლია პირველობისთვის გავისარჯოთ. გვყავს სათადარიგო გუნდი, სადაც ძალიან ბევრი ახალგაზრდა, იმედისმომცემი მოთამაშეა. ჭაბუკთა A და B ლიგის გუნდებიდან უკვე მივიღეთ შევსება. ჩვენი კლუბის სკოლა ნაყოფიერად მუშაობს. თუმცა, მიმაჩნია, რომ მეტი შეგვიძლია, უფრო უკეთაა საჭირო გარჯა. ტექნიკის სწავლება ბავშვობიდანაა საჭირო, სწორი მოძრაობა, გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე - აი, აქ გვჭირდება მეტი მუშაობა. ყოველივე ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ კომპონენტში ხარვეზს ვერაფრით გადაფარავ.

**- ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებთ, მაგრამ, ალბათ, ისიც ცნობილია თქვენთვის, რომ წლეულს კონკურენცია ძალიან დიდი იქნება...**

- უძლეველი გუნდები არ არსებობენ. გააჩნია, იმ წუთში რა განწყობით, რა ხასიათზე გავიდა სათამაშოდ შენი და მეტოქის მორაგბე. წესით, წლევანდელი სეზონი უწინდელზე უკეთესი უნდა იყოს. ბათუმში მივიდა სამუშაოდ კარგი მწვრთნელი ლევან მგელაძე და ამ გუნდს ჯერ კიდევ გასულ სეზონში დაეტყო, რომ წლეულს პროგრესს მიაღწევდა, უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. თავისი მორაგბეები დაიბრუნა „ყოჩებმა, საკმაოდ გაძლიერდა „არმაზი", ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეები დაიმატა „ჯიქებმა". საქმეში ვნახეთ ქუთაისის „აია", რომელიც ძალიან მობილური და კარგი გუნდია. ქუთაისელთა მწვრთნელი ბესიკ ხამაშურიძე საინტერესოდ მუშაობს და გუნდს კარგ რაგბის ათამაშებს. ტრადიციულად ძლიერები იქნებიან და ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ თბილისის „ლელო" და „არმია". ასე რომ, თავად განსაჯეთ, რა საინტერესო ბრძოლები გველის წინ. ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის პირდაპირ რეპორტაჟებს „აფხაზეთის ხმა" გადასცემს, მაყურებელი სტადიონებზე არ უნდა მოგვაკლდეს.

**ბესიკ ჯანგავაძე**



უტევს დავით ჟამუტაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი



ზვიად მაისურაძემ ლოკომოტივი დატოვა

# სარაგბო სეზონის წინ

**წარმოგიდგენთ** ქართული რაგბის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ გუნდს - თბილისის „ლოკომოტივს". რკინიგზული კლუბი 1964 წელს დაარსდა და ამ დროის განმავლობაში (საბჭოთა პერიოდის ჩათვლით) 12-ჯერ აქვს მოგებული ეროვნული ჩემპიონატი (1992, 1994, 2000, 2001, 2003, 2005, 2006, 2008, 2010 წლებში), 3-ჯერ ვერცხლის მედლები, ხოლო 11-გზის ბრინჯაო.

## ლოკომოტივი

წინა სეზონი „ლოკომოტივმა" სრულიად ჩააგდო. **თემურ ბენდიაშვილის** დამოძღვრილმა გუნდმა რეგულარული გათამაშება მეექვსე ადგილზე ჩაამთავრა, რამაც საშუალება მისცა, პლეი ოფში ესპარეზა. თუმცა, იქ პირველივე ეტაპზე 19-ქულიანი სხვაობით წააგო ქუთაისის „აიასთან", რაც თბილისური კლუბისთვის სრული კატასტროფა გახლდათ. რკინიგზელებმა ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში რამდენიმე ლიდერი დაკარგეს, თუმცა კლუბში სპონსორის მოსვლის შემდეგ „ლოკომოტივმა" საკმაოდ საინტერესო შემადგენლობა შეკრიბა და კვლავინდებურად ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად მიიჩნევა.

## შერკინება

გუნდს საკმაოდ დაბალანსებული და გამოცდილი პირველი ხაზი ეყოლება: ბურჯებად ყოფილი „ბორჯღალოსანი" **დავით გასვიანი** და **ხვთისო ელოშვილი** გაირჯებიან, ხოლო ჰუკერის პოზიციაზე „ხულიგანას" აღზრდილი **ლევან გენებაშვილი** იასპარეზებს. გარკვეული პრობლემები შეინიშნება შერკინების მეორე ხაზში, სადაც ახალწვეულ **რატი ხარძიანს**, სავარაუდოდ, **გიორგი სულთანიშვილი** შეუწყვილდება. გუნდი დატოვა შერკინების ლიდერმა მესამეხაზელმა **ზვიად მაისურაძემ**, რომელიც „არმიაში" განაგრძობს კარიერას, მის შემცვლელად გუნდში **ჯაბა კიკვიძე** მოვიდა „ჯიქებიდან", მწყობრშია „ბორჯღალოსანი" გივი ბერიშვილი და გამოცდილი „ვახტანგ ახვლედიანი".

## უკანა ხაზი

„ლოკომოტივის" უკანა ხაზი წარმოადგენს გამოცდილ და ახალგაზრდა მოთამაშეთა ბრწყინვალე ნაზავს, სადაც ნებისმიერ მორაგბეს შეუძლია გადამწყვეტ მომენტში საკუთარ თავზე აიღოს თამაში და გამარჯვებულის ბედიც გადაწყვიტოს. სეზონის წინა პერიოდში ჰავბექის პოზიციაზე დიდი დანაკარგი განიცადა გუნდმა **ირაკლი ლვინჯილიას** „არმიაში" გადასვლით. თუმცა, ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ წევრ **ალექსანდრე ზაბახიძეს** ნამდვილად ძალუძს ღირსეულად შეცვალოს რკინიგზელთა ყოფილი ლიდერი. მგეზავად **ვახტან კავთიძე** ითამაშებს, ხოლო მისი შემცვლელი გამოცდილი **ბობა კვინიხაძე** იქნება, შუამარბებად **ილია გოგიშვილი** და **დავით ჟამუტაშვილი** გაირჯებიან, ხოლო ფულბეკის პოზიციაზე **ბექა წიკლაური**, რომელსაც ხანგრძლივი სეზონის მიმდინარეობისას შეცვლის ხოლმე **გიორგი კობერიძე**. კონკრეტული მეტოქის სათამაშო სტილიდან გამომდინარე სამწვრთნელო შტაბს გარემარბთა პოზიციაზე შეუძლია **დიტო ჭურლულიას, სანდრო ქავთარაძის** და გიორგი **ბიწაძის** ტრიოდან ამოარჩიოს მათთვის ხელსაყრელი ვარიანტი.

## სამწვრთნელო შტაბი

წარმატებული კლუბის ყველაზე ძლიერ რგოლს სამწვრთნელო შტაბი წარმოადგენს: მთავარი მწვრთნელი გამოცდილი **თემურ ბენდიაშვილია**, რომელიც უკვე არაერთი სეზონია ამტკიცებს თავის ნიჭს და უდიდეს კლასს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. აქვეა საქართველოს ნაკრების ყოფილი დამრიგებელი **დავით ჩავლეიშვილი**, რომლის მწვრთნელობის პერიოდში „ბორჯღალოსნებმა" მსოფლიოს თასის გათამაშებებში, ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი აჩვენეს. წლების განმავლობაში სამწვრთნელო შტაბის მიერ გაწეული სწორი სელექცია დღემდე კლუბის ძლიერების საფუძველს წარმოადგენს.

## შემადგენლობა

**პირველი ხაზი:** ირაკლი ანდრიაძე, ომარ ბალიაშვილი, დავით გასვიანი, ლევან გენებაშვილი, ლევან თხელიძე, ხვთისო ელოშვილი, ლევან ზარიძე, ნიკო კაზალიკაშვილი, ლაზარე მარსაგიშვილი;

**მეორე ხაზი:** გიორგი სულთანიშვილი, ლაშა ფოფხაძე, დიმიტრი ცუხიშვილი, რატი ხარძიანი;

**მესამე ხაზი:** გიორგი ხულუაშვილი, თემურ ჩიტიძე, გივი ბერიშვილი, გიორგი გეგია, ჯაბა კიკვაძე;

**№9:** ალექსანდრე ზაბახიძე, შალვა კლიმიაშვილი;

**№10:** ბობა კვინიხაძე, ვახტანგ კავთიძე;

**№12-13:** ჯემალ ვასაძე, ილია გოგიშვილი, დავით ჟამუტაშვილი;

**№11-14:** გიორგი ბიწაძე, სანდრო ქავთარაძე, დიტო ჭურლულია;

**№15:** ბექა წიკლაური, გიორგი კობერიძე

**გიორგი ბარბაქაძე**

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა



ტომაშ ბერდიხი

# ფავორიტები ფორმაში შედიან

ამერიკის ღია პირველობის მორიგ დღეს, მამაკაცებმა მესამე წრე დაასრულეს, ქალებს შორის კი პირველი ოთხი მეოთხედფინალისტი გაირკვა.

თავდაპირველად ფავორიტებზე ვილაპარაკოთ, რომლებსაც, ამჯერად, იოლი გასეირნება გამოუვიდათ. მსოფლიოს პირველმა ნომერმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო **ჟოაო სოუზას**. ეს იყო სერბის მეორე მატჩი ამ ტურნირზე, როცა მან მეტოქისთვის ხუთი ან ნაკლები გეიმი გაიმეტა და ზედიზედ მეთვრამეტედ გავიდა „დიდი სლემის" ტურნირების მერვედფინალში. სერბის შემდეგი მეტოქე იქნება ესპანელი **მარსელ გრანოლერსი**, რომელმაც პირველ სამ წრეში ხუთსეტიანი შეხვედრები მოიგო. ამჯერად, მან ტურნირს გამოთიშა ერთადერთი შემორჩენილი ამერიკელი **ტიმ შმიჩეკი**, რითაც, 1981 წლის შემდეგ პირველად, აშშ-ის ღიას მერვედფინალში ვერ ვიხილეთ ვერც ერთი მასპინძელი მოთამაშე. შმიჩეკს ამ მატჩში არანორმალური სტატისტიკა ჰქონდა: 73 „ვინერსი" და 64 უნებლიე შეცდომა.

**ტომაშ ბერდიხმა** ერთით მეტი გეიმი წააგო **ჟულიან ბენეტოსთან**, ვიდრე ჯოკოვიჩმა სოუზასთან. ჩეხმა 36 „ვინერსითა" და 11 ეისით დაასრულა მატჩი და ჯერჯერობით ამ ტურნირზე სეტი არ წაუგია. მისი მეტოქე იქნება შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკა**, რომელიც კვიპროსელ **მარკოს ბაღდატისს** ეთამაშებოდა. ვავრინკა გაჭირვებით გადაურჩა ხუთი სეტის თამაშს. პირველი ორი პარტიის დამაჯერებლად მოგების შემდეგ, შვეიცარიელმა ტემპი დააგდო და მეტოქეს თამაშში დაბრუნების საშუალება მისცა. მარკოსი თავისუფლად ათამაშდა და სიამოვნება მიანიჭა მაყურებელს ლამაზი შეტევებით. კვიპროსელმა მოიგო მესამე სეტის ტაი-ბრეიკი და მეტოქის მოწოდება აიღო მეოთხე სეტის სტარტზე. ბაღდატისმა ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და წააგო მატჩში მეორე ტაი-ბრეიკი. ეს იყო ამ ჩოგბურთელთა მესამე შეხვედრა და ვავრინკას მესამე მოგება. რაც შეეხება შვეიცარიელის ურთიერთშეხვედრებს ბერდიხთან, აქ ანგარიშია 6:5 ვავრინკას სასარგებლოდ.

მივადექით **ენდი მარეის**, რომელიც, ტრადიციულად, ტურნირის მსვლელობისას იკრეფს ფორმას. მან ბრძოლაში მოიგო პირველი სეტი **ფლორიან მაიერის** წინააღმდეგ, სამაგიეროდ, მეორე და მესამე სეტებში გადაუარა მოწინააღმდეგეს. ეს იყო ბრიტანელის მე-40 მოგება მიმდინარე სეზონში.

მარეის მეტოქე მერვედფინალში **დენის ისტომინისა** და **ანდრეას სეპის** შეხვედრაში ირკვეოდა. უზბეკმა შეწყვიტა იტალიელის შვიდი ხუთსეტიანი მატჩის მოგებათა სერია. საინტერესოა, რომ ეს სერია მას შემდეგ დაიწყო, რაც სეპიმ 2012 წლის უიმბლდონზე... ისტომინთან წააგო. კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ მას შემდეგ, ანდრეასმა ორჯერ მოასწრო ხუთ სეტში ისტომინის დამარცხება - წელს ავსტრალიის ღიასა და უიმბლდონზე. ასე რომ, ამ ჩოგბურთელთა ზედიზედ მეოთხე დაპირისპირება ხუთსეტიანი გამოვიდა.

აგრძელებს ბრწყინვალე სვლას ამერიკის ღიაზე ავსტრალიელი ვეტერანი **ლეიტონ ჰიუიტი**. მესამე წრეში **ხუან მარტინ დელ პოტროს** მოულოდნელი დამარცხების შემდეგ, 32 წლის ჩოგბურთელი ფავორიტად მიიჩნეოდა რუს **ევგენი დონსკოისთან** მატჩში. ამ უკანასკნელმა ჩააგდო მატჩის დებიუტი, როცა თავიდანვე დათმო საკუთარი მოწოდება და ეს სეტის წაგებად დაუჯდა. ავსტრალიელს კარგად გამოსდიოდა პირველი მოწოდება, რომლის დროსაც ქულების 75 პროცენტი აიღო. ლეიტონს პირველი რთული მომენტი მეორე სეტის ბოლოს დაუდგა, როცა 5:5-ზე დონსკოიმ სამმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო. ჰიუიტმა საფრთხე მოიგერია და ტაი-ბრეიკამდე მიაღწია, სადაც ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა. მესამე სეტში დონსკოიმ სტაბილურად ითამაშა და შეძლო მატჩში ერთადერთი ბრეიკის გაკეთება, რამაც პარტიაში მოგება მოუტანა, მაგრამ რუსმა მეოთხე სეტში ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა და შანსი აღარ ჰქონდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის წინააღმდეგ.

მერვედფინალში ჰიუიტი ასევე რუს ჩოგბურთელს მიხაილ იუჟნის შეხვდება, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 5:1-ს უგებს. ამ ჩოგბურთელთა ბოლო მატჩი შარშან, ცინცინატის მასტერსზე გაიმართა და ავსტრალიელმა ორ სეტში გაიმარჯვა.

### III წრე

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ჟოაო სოუზა (პორ) 6:0, 6:2, 6:2; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-ტიმ შმიჩეკი (აშშ) 6:4, 4:6, 0:6, 6:3, 7:5; **მიხაილ იუჟნი (რუს, 21)**-ტომი ჰაასი (გერ, 12) 6:3, 6:2, 2:6, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)**-ევგენი დონსკოი (რუს) 6:3, 7:6(5), 3:6, 6:1; **ენდი მარეი (ბრიტ, 3)**-ფლორიან მაიერი (გერ) 7:6(2), 6:2, 6:2; **დენის ისტომინი (უზბ)**-ანდრეას სეპი (იტა, 20) 6:3, 6:4, 2:6, 3:6, 6:1; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 19)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 6:3, 6:2, 6:7(1), 7:6(7); **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5)**-ჟულიან ბენეტო (საფ, 31) 6:0, 6:3, 6:2.

### 1/8 ფინალი

ჯოკოვიჩი (1)-გრანოლერსი; იუჟნი (21)-ჰიუიტი; მარეი (3)-ისტომინი; ვავრინკა (19)-ბერდიხი (5); გასკე (8)-რაონიჩი (10); ტიპსარევიჩი (18)-ფერერი (4); ფედერერი (7)-რობრედო (19); კოლშრაიბერი (22)-ნადალი (2).

# სერენას რევანში

ამ სეზონში საინტერესო ისტორია აქვს **სერენა უილიამსისა** და **სლოუნ სტივენსის** დაპირისპირებას. წლის დასაწყისში, უილიამსმა ბრისბენის ტურნირზე დაამარცხა თანამემამულე, სამაგიეროდ, სტივენსი უფრო ძლიერი აღმოჩნდა ავსტრალიის ღიაზე. ამ მატჩის შემდეგ, სერენამ თავისი „ტვიტერიდან" ამოშალა ახალგაზრდა კოლეგა და საერთოდ შეწყვიტა ურთიერთობა სლოუნთან, რის შესახებაც სტივენსმა ჟურნალისტებს დანანებით მოუყვა.

მათი გუშინდელი მატჩის პირველი სეტი თითქმის ერთი საათი გაგრძელდა. სტივენსი არ ნებდებოდა და ბოლომდე იბრძოდა. მან რამდენიმე ხანგრძლივი გეიმი გადაარჩინა, საკუთარი მოწოდების დაკარგვის შემდეგ კი იქვე ბრეიკის გაკეთება შეძლო - ამაში მას მეტოქეც დაეხმარა, რომელმაც ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა. საერთო ჯამში, სლოუნი საკმაოდ აგრესიულად თამაშობდა და არ ერიდებოდა სერენასთან შეჯიბრებას ძლიერ დარტყმებში. მაგრამ პარტიის ბოლოს თავისი სიტყვა თქვა უილიამსის გამოცდილებამ - მესამე სეტბოლიდან გააკეთა გადამწყვეტი ბრეიკი.

მეორე სეტის დასაწყისიც დაძაბული გამოვიდა. სერენამ ბოლომდე იბრძოლა მეტოქის მოწოდებაზე, საჭირო ჰანდიკაპი შეიქმნა და სტივენსიც გატყდა. მან შეცდომებს უმატა, უილიამსმა კი პირიქით, კიდევ უფრო მოუმატა თამაშს და ძლიერი დარტყმებისა და მოწოდებების წვიმა დაატეხა თავს მეტოქეს - 6:4, 6:1.

საათსა და 28 წუთში ჩოგბურთელებმა სრულიად განსხვავებული სტატისტიკა დააფიქსირეს: სერენას 22 „ვინერსი" და მხოლოდ 13 ორმაგი შეცდომა ჰქონდა (მეორე სეტში ორჯერ შეცდა), სტივენსმა კი აქტიური მოქმედებით 15 ქულა აიღო და 29 შეცდომა დაუშვა.

ბრწყინვალე ფორმაშია ამერიკელის შემდეგი მეტოქე - ესპანელი **კარლა სუარეს ნავარო**, რომელმაც 45 „ვინერსი" მიითვალა გერმანელ **ანჟელიკ კერბერთან** მატჩში. ეს უკანასკნელი ძალიან ჩამოუვარდებოდა მეტოქეს აქტიურობაში, მაგრამ ამ შეხვედრის ბედი ყოველ წამს შეიძლებოდა ნებისმიერ მხარეს გადახრილიყო. მაგალითად, კერბერს გადამწყვეტ სეტში ორი ქულა აშორებდა საბოლოო გამარჯვებამდე, მაგრამ ესპანელი გადამწყვეტ მომენტებში ბრწყინვალედ მოქმედებდა და ძალიან ემოციურად აღნიშნა გამარჯვება.

სუარეს ნავარო პირველი ესპანელია 1998 წლის შემდეგ, ვინც აშშ-ის ღია მერვედფინალში გააღწია. ბოლოს ეს ლეგენდარულმა არანჩა სანჩეს-ვიკარიომ გააკეთა. ისე კი კარლასთვის ეს არის კარიერაში მესამე მეოთხედფინალი „დიდი სლემის" ტურნირებზე - ამ სტადიაზე მან 2008 წელს როლან გაროსზე ითამაშა და 2009 წელს - ავსტრალიის ღიაზე.

■ ■ ■

დღის მთავარი მოულოდნელობის ავტორი გახდა რუსი ჩოგბურთელი **ეკატერინა მაკაროვა**, რომელიც პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკას** ხვდებოდა. ამ ჩოგბურთელთა წინა სამ მატჩში მაკაროვას ერთი სეტიც არ ჰქონდა აღებული და თავიდან ისე ჩანდა, რომ რუსი ამ შეხვედრასაც უიმედოდ წააგებდა. პოლონელმა ძალიან დამაჯერებლად დაიწყო შეხვედრა და მთლიანად აკონტროლებდა თამაშს. აგნიეშკამ სწრაფად წაიყვანა ანგარიში 4:0 და სწორედ აქ მოხდა თამაშში გარდატეხა. რუსმა უფრო თავისუფლად და მახვილგონივრულად დაიწყო თამაში, რადვანსკა კი ანერვიულდა და ზედიზედ რვა გეიმი წააგო, რის გამოც 4:6, 0:2 ჩამორჩა. თუმცა პოლონელმა დანებება არ ისურვა და ზედიზედ სამი გეიმის აღებით თამაშში დაბრუნდა. ჩოგბურთელებმა გააგრძელეს ერთმანეთისთვის საჩუქრების კეთება - ახლა უკვე მაკაროვამ აიღო მიჯრით სამი გეიმი და 5:4 დაწინაურდა. ბოლოსკენ მან ნერვები მოთოკა და მატჩზე „მშრალი" ანგარიშით ჩააწოდა - 6:4, 6:4. რუსისთვის ეს არის მეხუთე მოგება WTA-ის რეიტინგის TOP5-ის წარმომადგენლებზე. ისევე როგორც სუარესი, მაკაროვაც მესამედ ითამაშებს „დიდი სლემის" ტურნირის მეოთხედფინალში. რაც შეეხება რადვანსკას, აშშ-ის ღია პირველობა ერთადერთია „მეიჯორებიდან", რომელშიც მას მეოთხედფინალამდე არ გაუღწევია.

მაკაროვა შემდეგ შეხვედრას ჩინელი **ნა ლის** წინააღმდეგ ითამაშებს, რომელმაც რადვანსკასგან განსხვავებით, ნავსი გატეხა და პირველად გავიდა აშშ-ის ღიას მეოთხედფინალში. ეს მან ძალიან იოლად გააკეთა - 57 წუთში გაანადგურა **ელენა იანკოვიჩი**: 6:3, 6:0.

ჩინელს მხოლოდ ერთი რთული მომენტი ჰქონდა, როცა 3:0 დაწინაურების შემდეგ, ზედიზედ ორი გეიმი დათმო, თუმცა მალე აღადგინა სამგეიმიანი უპირატესობა. მართალია, 5:2-ზე მან ერთი სეტბოლი ვერ გამოიყენა, მაგრამ მეცხრე გეიმში სეტზე იოლად ჩააწოდა. მეორე სეტი კი ნა ლიმ ზედიზედ 15 ქულის აღებით დაიწყო და თამაშის ბედიც გადაწყვეტილი იყო. ჩინელს უნაკლო მეორე სეტი გამოუვიდა - მხოლოდ ორი უნებლიე შეცდომა დაუშვა და გეიმი არ დაუთმო მეტოქეს.

ლი მეცხრედ ითამაშებს „დიდი სლემის" ტურნირების მეოთხედფინალში. ჯერჯერობით მას 4 მოგება და ამდენივე წაგება აქვს. რაც შეეხება მაკაროვასთან ურთიერთდაპირისპირებას, ჩინელს რუსისთვის სამიდან სამი მატჩი აქვს მოგებული.

### 1/8 ფინალი

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-სლოუნ სტივენსი (აშშ, 15) 6:4, 6:1; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 18)**-ანჟელიკ კერბერი (გერ, 8) 4:6, 6:3, 7:6(3); **ეკატერინა მაკაროვა (რუს, 24)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3) 6:4, 6:4; **ნა ლი (ჩინ, 5)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 9) 6:3, 6:0.




გაბუტული თანამემამულეები

# ნოლე და რაფა დევისის თასზე

## ჯოკოვიჩი სირიის დაბომბვის წინააღმდეგია

მსოფლიოსრეიტინგის ორი ლიდერი - **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **რაფაელ ნადალი** დევისის თასზე თავიანთი ქვეყნის ნაკრებებისთვის დახმარებას აპირებენ.

მოგეხსენებათ, რომ სერბეთის ნაკრები ნახევარფინალშია გასული და იქ კანადის ნაკრებს შეხვდება. ჯოკოვიჩის გარდა, სერბების რიგებში ითამაშებენ **იანკო ტიპსარევიჩი, დუშან ლაიოვიჩი** და **ნენად ზიმონჯიჩი**. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ჩეხეთი და არგენტინა. მატჩები 13-15 სექტემბერს ბელგრადსა და პრაღაში გაიმართება.

ამავე პერიოდში ჩატარდება მსოფლიოს ჯგუფის პლეი ოფის მატჩები. ესპანეთი მადრიდში უმასპინძლებს უკრაინის ნაკრებს. პირენეელთა შემადგენლობა ასეთი იქნება: რაფაელ ნადალი, **ტომი რობრედო, ფერნანდო ვერდასკო, მარკ ლოპესი.**

■ ■ ■

ამასობაში, ნოვაკ ჯოკოვიჩმა განაცხადა, რომ მხარს არ უჭერს ამერიკის შეერთებულ შტატებს სირიის წინააღმდეგ აგრესიაში. ჩოგბურთელმა გაიხსენა 1999 წელს, იუგოსლავიის დაბომბვა ნატოს ჯარების მიერ.

*„წინააღმდეგი ვარ ნებისმიერი სახეობის იარაღის, საჰაერო დარტყმის, სარაკეტო შეტევის,* - ამბობს ჯოკოვიჩი სააგენტო „როიტერთან" კომენტარში. - *კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ იმისა, რასაც ნგრევა მოჰყვება. ეს ჩემს თავზე გამოვცადე და მესმის, რომ ასეთი მოქმედება სარგებლობას ვერ მოიტანს. არავის ვუსურვებ იმას, რაც მე და ჩემმა თანამემამულეებმა გადავიტანეთ. თითქმის ორი თვე გავატარეთ საჩოგბურთო კორტებზე, როცა ჩვენს თავზე თვითმფრინავები დაფრინავდნენ. ომი - ყველაზე უარესი რამ არის კაცობრიობის ისტორიაში. ამ დროს მოგებული არავინ რჩება".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ნოვაკ ჯოკოვიჩი

## კალათბურთი. ევრობასკეტი 2013


ესპანეთის ნაკრების მზადება

# ვინ მოდის ოკეანის გაღმიდან?

ევრობასკეტის მონაწილე თითქმის ყველა გუნდმა გამოაქვეყნა საბოლოო განაცხადი და საინტერესოა, როგორი შემადგენლობებით ითამაშებენ ნაკრებები კონტინენტის პირველობაზე.

ოფიციალურ განაცხადებს ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ, დღეს კი გავარკვევთ რა წარმომადგენლობა ექნება ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას ევრობასკეტზე. ცნობისთვის, NBA-ის გუნდების 93.3 პროცენტში ევროპელები თამაშობენ.

### A ჯგუფი

**ბელგია**: NBA-ში მოთამაშეები არ ჰყავს.

**საფრანგეთი**: ფრანგების რიგებში ოთხი ლეგიონერია NBA-დან: **ტონი პარკერი, ნანდო დე კოლო, ბორის დიაო** (სამივე - „სან ანტონიო“) და **ნიკოლა ბატუმი** („პორტლენდი“).

ამ გუნდში ოკეანის გაღმიდან წარმომადგენლობა მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით „მამლების“ რიგებში არ არიან: **ჟოაკიმ ნოა** („ჩიკაგო“), **კევინ სერაფინი** („ვაშინგტონი“), **იან მაინმი** („ინდიანა“), **რონი ტურიაფი** („კლიპერსი“), **იოჰან პეტრო** („ატლანტა“).

**გერმანია**: ევრობასკეტზე არ ითამაშებენ **დირკ ნოვიცკი** („დალასი“) და **ტიმ ოლბრეხტი** („ჰიუსტონი“). ასევე უარი თქვა თამაშზე **კრის კამანმა** („ლეიკერსი“).

**ბრიტანეთი**: ჯერ კიდევ თებერვალში განაცხადა უარი ნაკრებში თამაშზე **ლუოლ დენგმა** („ჩიკაგო“). მოგვიანებით ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო **ჯოელ ფრილენდმა** („პორტლენდი“).

**ისრაელი**: **ომრი კასპი** („ჰიუსტონი“) პირველად ითამაშებს ისრაელის ნაკრებთან ერთად დიდ ტურნირზე.

**უკრაინა**: ამ გუნდის მთავარ მწვრთნელს **მაიკ ფრატელოს** საბოლოო განაცხადი ჯერ არ გამოუქვეყნებია, მაგრამ, სავარაუდოდ, ევრობასკეტზე ვიხილავთ **ვიაჩესლავ კრავცოვს** („ფინიქსი“).

### B ჯგუფი

**ბოსნია**: NBA-ში ერთადერთი ბოსნიელი ლეგიონერი **მირზა ტელეტოვიჩი** („ბრუკლინი“) ევრობასკეტზე იქნება.

**ლატვია**: განაცხადში არ არის **ანდრის ბიედრინში** („გოლდენ სტეიტი“).

**ლიტვა**: მას შემდეგ, რაც **ლინას კლეიზა** ევროპაში დაბრუნდა, ლიტვას NBA-ში ორი ლეგიონერი დარჩა და ორივე ითამაშებს ევრობასკეტზე: **იონას ვალანჩუნასი** („ტორონტო“) და **დონატას მოტეიუნასი** („ჰიუსტონი“).

**მაკედონია**: **პერო ანტიჩი** ამ ზაფხულს გადავიდა „ატლანტაში“ სათამაშოდ, მანამდე კი მას ევრობასკეტზე ვნახავთ.

**ჩერნოგორია**: ორი ლეგიონერიდან საბოლოო განაცხადში ერთია: **ნიკოლა ვუჩევიჩი** („ორლანდო“), ხოლო სლოვენიაში არ იქნება **ნიკოლა პეკოვიჩი** („მინესოტა“).

**სერბეთი**: NBA-დან განაცხადში ერთადერთი კალათბურთელი **ნემანია ნედოვიჩია**.

### C ჯგუფი

**ხორვატია**: ამ ქვეყანას NBA-ში ლეგიონერები არ ჰყავს, რადგან **ბოიან ბოგდანოვიჩი** ჯერ არ არის „ბრუკლინის“ სრულფასოვანი წევრი.

**ჩეხეთი**: ჩეხების ერთადერთი ლეგიონერი **იან ვესელი** („ვაშინგტონი“) ევრობასკეტზე ითამაშებს.

**საქართველო**: **ზაზა ფაჩულია** („მილუოკი“) და **თორნიკე შენგელია** („ბრუკლინი“) საქართველოს ნაკრებს ვერ დაეხმარებიან.

**პოლონეთი**: „ფინიქს სანზის“ ცენტრს **მარცინ გორტატს** ევრობასკეტზე ვიხილავთ.

**სლოვენია**: მასპინძელ ნაკრებს NBA-ში თავისი ლეგიონერების ასპროცენტიანი წარმომადგენლობა ეყოლება: **ბენო უდრიხი** („ნიუ იორკი“) და **გორან დრაგიჩი** („ფინიქსი“).

**ესპანეთი**: საფრანგეთის მსგავსად, ევრობასკეტზე ასევე ოთხი კალათბურთელი ეყოლებათ ოკეანის გაღმიდან ესპანელებს: **ხოსე კალდერონი** („დალასი“), **ვიქტორ კლავერი** („პორტლენდი“), **რიკი რუბიო** („მინესოტა“) და **მარკ გასოლი** („მემფისი“).

### D ჯგუფი

**ფინეთი**: NBA-ში მოთამაშეები არ ჰყავს.

**საბერძნეთი**: NBA-ში ერთადერთი ბერძენი ლეგიონერი **კოსტას კუფოსი** („მემფისი“) ევრობასკეტზე არ იქნება.

**იტალია**: იტალიელთა ოთხი ლეგიონერიდან ევრობასკეტზე ორს ვიხილავთ: **მარკო ბელინელისა** („სან ანტონიო“) და **ლუიჯი დატომეს** („დეტროიტი“).

**რუსეთი**: NBA-ის რუსული კვარტეტიდან ევრობასკეტზე თამაშის სურვილი მხოლოდ **ალექსეი შვედმა** („მინესოტა“) და **სერგეი კარასიოვმა** („კლივლენდი“) გამოთქვეს.

**შვედეთი**: სკანდინაველებს ევროპის ჩემპიონატზე ორივე ლეგიონერი ეყოლებათ: **იონას ჟერებკო** („დეტროიტი“) და **ჯეფ ტეილორი** („შარლოტი“).

**თურქეთი**: არ მოისურვა ევრობასკეტზე თამაში **ენეს კანტერმა**, სამაგიეროდ, თურქეთს სამი ლეგიონერი დაეხმარება: **ომერ აშიქი** („ჰიუსტონი“), **ჰედო თურქოგლუ** („ორლანდო“) და **ერსან ილიასოვა** („მილუოკი“).

■ ■ ■

აქვე გთავაზობთ ამ მომენტისთვის NBA-ში მოთამაშე ევროპელი ლეგიონერების სრულ სიას.

**საფრანგეთი (11)** - ნიკოლა ბატუმი (პორტლენდი), როდრიგ ბობუა (დალასი), ნანდო დე კოლო (სან ანტონიო), ბორის დიაო (სან ანტონიო), ევან ფურნიე (დენვერი), იან მაინმი (ინდიანა), ჟოაკიმ ნოა (ჩიკაგო), ტონი პარკერი (სან ანტონიო), იოჰან პეტრო (ატლანტა), კევინ სერაფინი (ვაშინგტონი), რონი ტურიაფი (მინესოტა)

**ესპანეთი (6)** - ხოსე კალდერონი (დალასი), ვიქტორ კლავერი (პორტლენდი), მარკ გასოლი (მემფისი), პაუ გასოლი (ლეიკერსი), სერჟ იბაკა (ოკლაჰომა), რიკი რუბიო (მინესოტა)

**სერბეთი (4)** - დარკო მილიჩიჩი (ბოსტონი), საშა პავლოვიჩი (პორტლენდი), ვლადიმირ რადმანოვიჩი (ჩიკაგო), ნემანია ნედოვიჩი (გოლდენ სტეიტი)

**თურქეთი (4)** - ომერ აშიქი (ჰიუსტონი), ერსან ილიასოვა (მილუოკი), ენეს კანტერი (იუტა), ჰედო თურქოგლუ (ორლანდო)

**იტალია (4)** - ლუიჯი დატომე (დეტროიტი), ანდრეა ბარნიანი (ნიუ იორკი), მარკო ბელინელი (სან ანტონიო), დანილო გალინარი (დენვერი)

**რუსეთი (4)** - ანდრეი კირილენკო (ბრუკლინი), ტიმოფეი მოზგოვი (დენვერი), ალექსეი შვედი (მინესოტა), სერგეი კარასიოვი (კლივლენდი)

**გერმანია (3)** - დირკ ნოვიცკი (დალასი), კრის კამანი (ლეიკერსი), ტიმ ოლბრეხტი (ფილადელფია)

**ბრიტანეთი (3)** - ლუოლ დენგი (ჩიკაგო), ბენ გორდონი (შარლოტი), ჯოელ ფრილენდი (პორტლენდი)

**საქართველო (2)** - ზაზა ფაჩულია (მილუოკი), თორნიკე შენგელია (ბრუკლინი)

**ლიტვა (2)** - დონატას მოტეიუნასი (ჰიუსტონი), იონას ვალანჩუნასი (ტორონტო)

**ჩერნოგორია (2)** - ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლანდო), ნიკოლა პეკოვიჩი (მინესოტა)

**სლოვენია (2)** - გორან დრაგიჩი (ფინიქსი), ბენო უდრიხი (ნიუ იორკი)

**შვედეთი (2)** - იონას ჟერებკო (დეტროიტი), ჯეფრი ტეილორი (შარლოტი)

**ბოსნია (1)** - მირზა ტელეტოვიჩი (ბრუკლინი)

**ჩეხეთი (1)** - იან ვესელი (ვაშინგტონი)

**საბერძნეთი (1)** - კოსტა კუფოსი (მემფისი)

**ისრაელი (1)** - ომრი კასპი (ჰიუსტონი)

**ლატვია (1)** - ანდრის ბიედრინში (გოლდენ სტეიტი)

**მაკედონია (1)** - პერო ანტიჩი (ატლანტა)

**პოლონეთი (1)** - მარცინ გორტატი (ფინიქსი)

**შვეიცარია (1)** - ტაბო სეფოლოშა (ოკლაჰომა)

**უკრაინა (1)** - ვიაჩესლავ კრავცოვი (ფინიქსი)

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ტრაპანი-პესკარა | 2:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კაიზერი-კოტბუსი | 2:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კაენი-მეცი | 0:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| გრააფსხაპი-დორდრეხტი | 1:2 |
| ექსელსიორი-სპარტა | 1:0 |
| ოსი-ახილესი | 0:1 |
| ფორტუნა-ვილემი | 3:1 |
| ჰელმონდი-ემენი | 5:2 |
| ტვენტე II-ალმერი | 0:0 |
| პსვ II-აიაქსი II | 2:4 |
| ტელსტარი-მაასტრიხტი | 2:1 |
| ვენლო-დენ ბოში | 3:0 |
| ვოლენდამი-ეინდჰოვენი | 1:3 |
| **პორტუგალია** | |
| ესტორილი-აკადემიკა | 1:1 |
| **დანია** | |
| რანდერსი-სონდერიისკი | 0:2 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრინი-სტაბეკი | 1:2 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამარბიუ-ბრაგე | 2:0 |
| ვარნამო-ლანდსკრონა | 0:2 |
| იორგრიტე-იონჩოპინგი | 1:3 |
| ფალკენბერგი-ასირისკა | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვინტერტური-ვილი | 1:2 |
| **საბერძნეთი** | |
| ატრომიტოსი-არისი | 2:0 |
| ოფი-პლატანიასი | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანკარასპორი-ბუიუქსეჰირი | 1:1 |
| **კვიპროსი** | |
| აპოელ-ენოსისი | 3:0 |
| აპოლონი-ერმისი | 1:0 |
| **ჩეხეთი** | |
| იაბლონეცი-ლიბერეცი | 0:2 |
| **პოლონეთი** | |
| პოდბესკიძი-კორონა | 1:0 |
| **ხორვატია** | |
| რიეკა-ლოკომოტივა | 1:1 |
| **ბულგარეთი** | |
| ლოკომოტ. (პ)-ლოკომოტ. (ს) | 3:1 |
| **ლიტვა** | |
| სუდუვა-შალგირისი | 1:1 |
| **ესტონეთი** | |
| კალიუ-კურესაარე | 4:0 |
| **მოლდოვა** | |
| შერიფი-დაჩია | 1:0 |
| **არგენტინა** | |
| არსენალი-არგ. ხუნიორსი | 0:0 |
| ბელგრანო-ატ. რაფაელა | 3:2 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კლიფტონვილი-კოლრეინი | 1:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **WTA. აშშ-ის ლია** | |
| ჯორჯი-ვინჩი | 4:6, 2:6 |
| რისკე-ჰანტუხოვა | 3:6, 7:5, 2:6 |
| ჰალეპი-პენეტა | 2:6, 6:7 |

## TV პროგრამა

**3 სექტემბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. V ტური. არსენალი-არგენტინოს ხუნიორსი.
14:00 ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ზენიტი-ფერეირა. საპასუხო მატჩი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტური. გრონინგენი-აიაქსი.
21:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. შალკე-ლევერკუზენი.
00:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. III ტური. ფერეირა-პორტო.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-როდა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ლეიკერსი.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. აკაპულკო. მექსიკა.
17:10 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ედინბურგი-მანსტერი.
19:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. არსენალი-არგ. ხუნიორსი.
22:00 რალი-კროსი. საფრანგეთი. მიმოხილვა.
23:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. სან ანტონიო. 2006-07 წლები. I ნაწილი.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონრეალი. კანადა.
12:10 სპორტ-NEWS.
12:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონრეალი. კანადა.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონრეალი. კანადა.
18:20 სპორტ-NEWS.
18:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონრეალი. კანადა.
21:10 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონრეალი. კანადა.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 19 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 19 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 19 | 25 | (მზე) |
| ფოთი | 18 | 24 | (მზე) |
| ზუგდიდი | 17 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 17 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 19 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 19 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 8 | 20 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 13 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 12 | 20 | (ხანმოკლე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1962 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6610 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5880 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9952 |

## ველოსპორტი

# ალონსომ პროფესიული გუნდი იყიდა

„ფერარის“ პილოტი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო** ველოსაჯინიბო Euskaltel-ის მფლობელი გახდა.

მხარეებმა უკვე მიაღწიეს პრინციპულ შეთანხმებას, რომელიც გუნდისთვის დიდი მომავლის გარანტია უნდა იყოს. ეს საჯინიბო მრავალი წელია გამოდის „გრანდ-ტურებში“.

ცნობილია, რომ ალონსო ველოსპორტის დიდი მოყვარულია და ჯერ კიდევ 2009 წელს გამოთქვამდა დაინტერესებას საკუთარი გუნდის შექმნაზე. მაშინ ფერნანდო **ალბერტო კონტადორთან** ერთად აპირებდა ამ პროექტის განხორციელებას.

აგვისტოში გახდა ცნობილი, რომ Euskaltel რთულ ფინანსურ სიტუაციაში იმყოფება და შეიძლება უკვე ამ სეზონის შემდეგ შეწყვიტოს არსებობა. სწორედ ამ დროს მოევლინა გუნდს მშველელად ალონსო, რომელმაც ბასკური საჯინიბოს გამოსყიდვა გადაწყვიტა.

როგორც ესპანური პრესა ამტკიცებს, ფორმულა 1-ის პილოტმა გუნდის ბიუჯეტს ექვსი მილიონი ევრო მიუტანა. ეს თანხა 2013 წელს Euskaltel-ის მთლიანი ბიუჯეტის ორი მესამედია. ამ ფულით ალონსო შეინარჩუნებს გუნდის ლიდერს **სამუელ სანჩესს**, აგრეთვე **იგორ ანტონს, მიკელ ლანდუს, მიკელ ნიევესა, გორკასა და იონ ისაგირეს**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გავიხსენოთ ევრო 2011 ზაზასთან ერთად

4 სექტემბერს საქართველოს ნაკრები მეორედ ჩაებმება ევროპის ჩემპიონატის ბატალიებში. სლოვენიაში გასამართ ევრობასკეტზე ჩვენი გუნდი ზაზა ფაჩულიასა და თორნიკე შენგელიას გარეშე ითამაშებს. 2000 წლის შემდეგ ზაზას სანაკრებო ციკლი არ გამოუტოვებია, ამჯერად კი მხოლოდ გულშემატკივრობით მოუწევს შემოფარგვლა.
მკითხველს კარგად ემახსოვრება, რომ 2011 წელს ქართველები მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავიდნენ და საუკეთესო 12 გუნდს შორის მოხვდნენ. ვიდრე ევრო-2013 დაწყებულა და ქართული კალათბურთის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაშლილა, ზაზა ფაჩულიასთან ერთად რუბრიკა „ფოტოინტერვიუში" გავიხსენოთ ემოციებითა და დრამატიზმით ალსავსე ევრობასკეტი 2011.



ისევე როგორც 2013-ში, ორი წლის წინათაც საქართველოს ნაკრებმა ბოლო საკონტროლო შეხვედრა ლიტვაში ჩაატარა. ფოტოზე ზაზასა და რობერტას იავტოკასის შელაპარაკებაა ალბეჭდილი.

*- ეს ის მომენტია, იავტოკასმა თორნიკე შენგელიას წინაალმდეგ რომ იუხეშა. თოკო უხერხულად დაეცა და წამოდგომა გაუჭირდა. იავტოკასს საკადრისი პასუხი გავეცი, რაც ფოტოგრაფებს არ გამოჰპარვიათ.*



2010 წელს შესარჩევ მატჩში თბილისში ბელგიასთან 23 ქულის სხვაობით დავმარცხდით. 2011-ში კი, ევრობასკეტის გახსნის შეხვედრა ქართველებს სწორედ ბელგიასთან ჰქონდათ და რევანშიც შედგა - 81:59.

*- ამ ფოტოზე დიდიე მბენგას ვეთამაშები. იგი წლების განმავლობაში NBA-ში გამოდიოდა. არაერთხელ მითქვამს, რომ ევროპაში იმ კალათბურთელების წინაალმდეგ გამოსვლა, რომლებსაც NBA-ს გამოცდილება აქვთ, ჩემთვის სასიამოვნოცაა და დამატებითი სტიმულიც. კარგად დაემთხვა: ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე პირველი მატჩი ბელგიასთან ვითამაშეთ და სწორედ ეს გამარჯვება ალმოჩნდა გადამწყვეტი მომდევნო ეტაპზე გასვლის საქმეში.*



საქართველო-რუსეთი 58:65. ფაჩულია კიდევ ერთი NBA-ელის წინაალმდეგ. სხვათა შორის, ანდრეი კირილენკო ახალი სეზონიდან თორნიკე შენგელიას გვერდით „ბრუკლინ ნეთსში" იასპარეზებს.

*- ანდრეი კირილენკოსთან მეგობრობა მაკავშირებს. როცა გასვლაზე მის გუნდს ვხვდებით, ყოველი მატჩის შემდეგ მეპატიჟება. როცა ის ჩამოდიოდა „ატლანტაში", მასპინძელი მე ვიყავი. კირილენკო დადებითი პიროვნებაა და ევროპის ჩემპიონატზე მის წინაალმდეგ თამაშიც საინტერესო იყო. დასანანია, რომ რუსეთის დამარცხება ვერ შევძელით, ცოტა დაგვაკლდა.*



ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე საქართველომ ბევრისთვის მოულოდნელად დიდი სხვაობით აჯობა უკრაინის ნაკრებს - 69:53.

*- მახსოვს, ამ შეხვედრაში ქულამოხსნა უხვად არ მქონია, მაგრამ ბევრი ვიშრომეთ და სწორედ უკრაინასთან დამაჯერებელი გამარჯვებით გავედით მეორე ეტაპზე.*



საქართველო-ბულგარეთი 69:79. მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე 6 ქულის სხვაობით ვიგებდით, მაგრამ ბურგარელებმა თამაში შემოატრიალეს...

*- მატჩის მსვლელობისას ვიგრძენი, რომ კუნთი გამიწყდა, მოედანი დავტოვე. მახსოვს, თორნიკე რომ მომეხმარა. ექიმებმა მიწამლეს და რადგან მნიშვნელოვანი ბრძოლა გვქონდა, მაინც დავბრუნდი. მაგრამ თამაშის სრულფასოვნად გაგრძელება ვერ მოვახერხე. სამწუხაროდ, ამ ტრავმის გამო ნაკრებს მეორე ეტაპზე ველარ დავეხმარე.*



2011 წლის ევრობასკეტის ბოლო მატჩის (საქართველო-საბერძნეთი 60:73) საპრესკონფერენციო დარბაზის კართან.

*- მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა პრესკონფერენციაზე გიორგი შერმადინი იახლა. მისი ინგლისურის შესახებ ლეგენდები დადიოდა, მაინტერესებდა, ჟურნალისტებთან როგორ ილაპარაკებდა და შანსი ხელიდან არ გავუშვი.*



სკოლის შენობა არ გეგონოთ, საქართველოს ნაკრების გასახდელია.

*- ახალგაზრდებს ყველა გუნდში სხვადასხვა ხერხით ცდიან. მათემატიკა ძალიან მიყვარდა და ერთ-ერთი ვარჯიშის წინ გადავწყვიტე ახალგაზრდა თანაგუნდელებისთვის გამოცდა მომეწყო. წესების მიხედვით, როცა მოქმედებაში გამრავლებაცაა და მიმატებაც, ჯერ გამრავლება სრულდება. სწორედ ამას შეიძლებოდა დაებნია, თუმცა როგორც მახსოვს, გიორგი შარაბიძემ ყველაფერი კარგად შეასრულა.*



უკრაინა-ბელგიის მატჩს კლაიპედას დარბაზის ლოჟიდან საქართველოს ნაკრები გულისყურით ადევნებდა თვალს. რატომ? ზაზას მოვუსმინოთ:

*- თუ უკრაინელები გაიმარჯვებდნენ, მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავიდოდით, ხოლო ბელგიელების წარმატების შემთხვევაში გზას ბულგარეთი განაგრძობდა. უკრაინელებმა ივაჟკაცეს და მატჩის ბედი მეოთხე პერიოდამდე გადაწყვიტეს. ლოჟაში, ჩვენს ქვემოთ ბულგარეთის ნაკრების კალათბურთელები ისხდნენ და ბელგიას გულშემატკივრობდნენ... მათ მეოთხე პერიოდის დასაწყისშივე დატოვეს ლოჟა.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21)**, **გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44; 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608